

**3. უძრავი ქონების ბაზრის საფასო პოლიტიკა**

განიხილეთ გასაქირავებელი ბინების ბაზრის მიკროეკონომიკური მოდელი. რა არის მიზეზი იმისა, რომ ფასის ცვლილებებზე მიწოდება და მოთხოვნა სრულიად განხვავებული ფორმით რეაგირებენ? რა შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი უძრავი ქონების ბაზარზე „ღორის ციკლის“ არსებობა? რა მოკლე და გრძელვადიანი შედეგები მოჰყვება სახელმწიფოს მხრიდან წონასწორული ქირის გადასახადზე დაბალი მაქსიმალური ქირის გადასახადის შემოღებას.

**4. სავალუტო ბაზარი და გაცვლითი კურსი**

განიხილეთ სავალუტო ბაზრის მიკროეკონომიკური მოდელი, რომელზეც უცხოური ვალუტის მიწოდება და მოთხოვნა დამოკიდებული იქნებოდა უცხოური ვალუტის, შესაბამისად, გაცვლითი კურსის ფასზე. განმარტეთ, რატომ ხდება სახელმწიფოს მხრიდან გაცვლითი კურსის დადგენის შემთხვევაში, უცხოური ვალუტის ღირებულების ზრდა ან მისი გაუფასურება და რაში გამოიხატება იგი?

**გამოყენებული ლიტერატურა**

სრულყოფილად ფუნქციონირებადი ბაზრის მოდელი და შესაძლო საბაზრო ჩავარდნები, რომლებიც ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევის არგუმენტს წარმოადგენენ დაწვრილებით არის განხილული Fritsch-ის მიერ (2011). სახელმწიფოს საფასო პოლიტიკის ინსტრუმენტებს და მის შედეგებს აღწერს Kleps-ი (1996). ევროპის აგრარულ პოლიტიკაში სახელმწიფოს საფასო ჩარევის პრობლემები გაანალიზებულია Koester-ის მიერ (2010), ხოლო სახელმწიფოს მხრიდან უძრავი ქონების ბაზარზე საფასო ჩარევის შედეგები აღწერილია Eekhoff-ის ნაშრომებში (2002).

**რეგულირება და დერეგულირება**

**4.1 საბაზრო ჩავარდნა, რეგულირება და დერეგულირება ..... 95**

**4.2 რეგულირების პოლიტიკის ინსტრუმენტები..... 95**

4.2.1 სახელმწიფოს მარეგულირებელი წესი და სახელმწიფო მიწოდება ..... 95

4.2.2 საზოგადოებრივი საქონლით უზრუნველყოფა ..... 96

4.2.3 გადასახადები და სუბსიდიები გარე ეფექტების აღმოსაფხვრელად ..... 97

4.2.4 ბუნებრივი მონოპოლიების ფასის რეგულირების ინსტრუმენტები ..... 99

**4.3 დერეგულირების პოლიტიკის ინსტრუმენტები..... 100**

4.3.1 ბაზრის ნაკლოვანებების დაძლევა კერძო ხელშეკრულებების საშუალებით ..... 101

4.3.2 ბაზრებზე კონკურენციის წახალისება ..... 102

4.3.3 სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მოლაპარაკებები და სატრანსფერო გადასახდელები ..... 103

**4.4 მაგალითი: ტელეკომუნიკაციების რეგულირება და დერეგულირება გერმანიაში ..... 106**

### სწავლების მიზნები

- ბაზრის ნაკლოვანებების თავიდან აცილება ან მათი აღმოფხვრა სახელმწიფო რეგულირების საშუალებით, ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. თუმცა, არც ბაზრის თვითრეგულირების მექანიზმების უკუღვევლეყოფა იქნებოდა სწორი. სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევის გარეშე შესაძლებელია, რომ თავი იჩინოს ბაზრის სტრუქტურასა და ბაზრის მონაწილეთა ქმედებებში ენდოგენურმა ცვლილებებმა, ბაზრის ნაკლოვანებებზე რეაქციის სახით.
- სახელმწიფოს მხრიდან ბაზრის რეგულირებაში ჩარევის ყველაზე ექსტრემალურ ფორმას წარმოადგენს სავაჭრო ქვოტების დაწესება, მიწოდების გასახელმწიფოებრიობა (ნაციონალიზაცია) და სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქონლის მიწოდების უზრუნველყოფა. მაღალი ხარჯებისა და კერძო აქტივობებზე უარყოფითი გავლენის გამო, ისინი მხოლოდ ბაზრის განსაკუთრებულად შესამჩნევი ნაკლოვანებების შემთხვევაში გამოიყენება.
- გარე ეფექტების შეძლებისდაგვარად ეფექტიანი ინტერნალიზაციის მიზნით, ერთმანეთს უპირისპირდება პრობლემის გადაწყვეტის ორი ვარიანტი – პიკუს გადასახადი და ქოუზის თეორემა. მაშინ, როდესაც პიკუს გარე ეფექტების კორექტირებისათვის გადასახადებისა და სუბსიდიების შემოღებისკენ მოუწოდებდა, ქოუზი თვლიდა, რომ მსგავსი და, შესაძლოა, უკეთესი შედეგის მიღწევა ბაზრის მონაწილეთა შორის კერძო მოლაპარაკებების საშუალებით იყო შესაძლებელი.
- წარმოების პროცესის ტექნოლოგიური თავისებურება შესაძლებელია ბუნებრივი მონოპოლიის მიზეზი გახდეს, რომელიც ხშირად სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ რეგულირებას ექვემდებარება. თუმცა, კარგად ფუნქციონირებდა ბაზრებზე მსგავსი რეგულირებები საჭირო არ არის და შესაძლებელია მათი ლიკვიდაცია.
- ინფორმაციის ასიმეტრიულობის პრობლემატიკა, რომელიც გასაყიდი საქონლის ხარისხთან დაკავშირებულ გაურკვევლობას ეფუძნება, ახალი მეთოდების სიგნალების გაცემისა და სკრინინგის საშუალებით შესაძლებელია, შემცირდეს ან სულ მცირე, შეიზღუდოს მაინც.
- როგორც გერმანიის საფოსტო სისტემაში გატარებული რეფორმის გამოცდილება გვიჩვენებს, ტელეკომუნიკაციის სექტორში სახელმწიფოს მხრიდან ფართომასშტაბიანი რეგულირების მიზეზები მკვეთრად შემცირდა, ასე, რომ ამ სექტორში შესაძლებელი გახდა დერეგულირების პოლიტიკის გატარება. თუმცა საჭირო იყო სახელმწიფო რეგულირების მთავარი ღონისძიებების შენარჩუნება, რათა უზრუნველყოფილიყო ბაზარზე ახალი მონაწილეების შემოსვლის შესაძლებლობა.

## 4.1 საბაზრო ჩავარდნა, რეგულირება და დერეგულირება

საფასო პოლიტიკასთან ერთად, ბაზრის ნაკლოვანებების თავიდან ასაცილებლად ან მათი აღმოფხვრისათვის განვითარდა ეკონომიკური პოლიტიკის უამრავი ინსტრუმენტი. ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკაში ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტებზე მხოლოდ გამოყენება. თუმცა, ამ ფაქტმა გამოიწვია პრობლემები წესრიგის პოლიტიკასთან მიმართებაში. ბაზრის ნაკლოვანებების თეორიის თანახმად, რეგულირების მიზნით, სახელმწიფოს შეუძლია თითქმის ყველა ბაზარზე ჩარევა. როგორც სახელმწიფო საფასო პოლიტიკის ანალიზმა გვიჩვენა, ამით წარმოიქმნება დამატებითი სახელმწიფო ინტერვენციის საშიშროება. საბაზრო ეკონომიკა, სადაც თითქმის ყველა ბაზარზე შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან საფასო პოლიტიკაში ჩარევა და სხვა დამატებითი სახელმწიფო ინტერვენციები, კარგავს თავის განსაკუთრებულ თავისებებს, რომელიც სწორედ სახელმწიფო რეგულირებასთან მიმართებაში კერძო გარიგებების უპირატესობით ყალიბდება. აქედან გამომდინარე, წესრიგის პოლიტიკის მხრივ უფრო გონივრულია, სახელმწიფო შემოიფარგლოს მხოლოდ იმ მცირე ბაზრებზე ჩარევით, სადაც განსაკუთრებულად გამოკვეთილი ხარვეზები ფიქსირდება.

წესრიგის პოლიტიკიდან გამომდინარე, ეს ზოგადი მოსაზრება გამყარებულია სხვა მოსაზრებითაც. ზემოთჩამოთვლილი ნაკლოვანებებიდან ზეერის მოგვარება ან დამუშავება შესაძლებელია საბაზრო მექანიზმების მეშვეობით, სახელმწიფოს მხრიდან უშუალო ჩარევის გარეშე. ეს მოსაზრება განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც ბაზარი აღქმულია როგორც სოციალური ინსტიტუტია, რომლის მოწყობაც დროთა განმავლობაში იცვლება. ამასთან, შესაძლებელია, სწორედ ნაკლოვანებები აღმოჩნდეს ბაზრის კერძო მონაწილეთა მხრიდან ბაზრის ეფექტიანი რეორგანიზაციის სტიმული. ცვლილებების მსგავსი პროცესები სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან ალტერნატივას წარმოადგენს და ქმნიან დერეგულირების მიზანმიმართული სტრატეგიის საფუძველს. დერეგულირება წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ცალკეულ ბაზრებზე ჩარევების გაუქმებას, რომელიც, საბოლოო ჯამში, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის შემდგომ საბაზრო-ეკონომიკურ კოორდინაციას ეფუძნება.

## 4.2 რეგულირების პოლიტიკის ინსტრუმენტები

### 4.2.1 სახელმწიფოს მარეგულირებელი წესი და სახელმწიფო მიწოდება

მაშინ, როდესაც საფასო პოლიტიკა კერძო მიმწოდებლებისა და მომხმარებლების გადაწყვეტილებების თავისუფლებაში პირდაპირ არ ერევა, არსებობს ბაზრის რეგულირების ექსტრემალური ფორმები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ბაზრის მონაწილე სულ მცირე, ერთი მხარის უშუალო მართვა. იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, კერძო მოთხოვნის ფორსირების ან ხელის შეშლის მიზნით, სახელმწიფო კანონმდებლობის მოქმედებაში მოყვანა იმ საქონელთან

მიმართებაში, რომელთა შემთხვევაშიც ინფორმაციის ასიმეტრიულობის გამო, მოსალოდნელია საბაზრო დეფიციტი და რომელთა მიმართაც იმავდროულად არსებობს დიდი საერთო ეკონომიკური ინტერესი. სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნის იძულების მაგალითებია, დაწყებითი სასკოლო განათლება ან გარკვეული სადაზღვევო მომსახურებები (ხანძრისგან დაცვა, მძღოლთა სავალდებულო დაზღვევა), ხოლო სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნის აკრძალვა ფიქსირდება ნარკოტიკების შემთხვევაში. ბაზრებზე, ძლიერი გარე ეფექტებით, შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირ იქნას შემოღებული ეფექტური ინტერვენციის, წარმოებისა და სარგებლიანობის ლიმიტები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ბაზრის დაცვა კონკრეტული პროდუქტების ჭარბი ან დეფიციტური მომარაგებისგან. კერძო გადაწყვეტილებებში სახელმწიფოს მხრიდან ყველანაირი პირდაპირი ჩარევა დაკავშირებულია გაზრდილ კონტროლისა და მონიტორინგის ხარჯებთან, რომელიც ეკონომიკურად მხოლოდ საზოგადოებისათვის სენსიტიური საქონლის შემთხვევაშია გამართლებული.

კერძო მეწარმეების საქმიანობაზე სახელმწიფოს მხრიდან მასშტაბური შეზღუდვების განხორციელება, საბოლოო ჯამში, შესაძლებელია აღნიშნული მეწარმეობის გასახელმწიფოებრიობით. წარსულში სწორედ ამ მეთოდით მოხდა ქსელური ინდუსტრიის უამრავი ბუნებრივი მონოპოლიის, როგორცაა რკინიგზა, ფოსტა, ენერგომატარებლები – ნაციონალიზაცია. ბაზრებზე, რომელთა არსებობა ნაკლოვანებების გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, სახელმწიფო მეწარმეობის მიზანმიმართულმა დაარსებამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს ბაზრის გრძელვადიან განვითარებას. ამის მაგალითად გამოდგება სახელმწიფო ბანკები და სადაზღვევო კომპანიები. წესრიგის პოლიტიკის უარყოფითი გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო კომპანიების დასაშვებზე მეტი რაოდენობის არსებობით (შეადრ. 10.4) და ბაზრის ნაკლოვანებების სავარაუდო ფაქტების თაობაზე სულ უფრო მზარდი კრიტიკული შეფასების გამო, დღეს საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო კომპანიების მოღვაწეობა სულ უფრო მეტად მცირდება. ახალი გასახელმწიფოებრიობა (ნაციონალიზაცია) ან ახალი სახელმწიფო კომპანიების დაარსება იშვიათობას წარმოადგენს, ხოლო არსებული სახელმწიფო საწარმოები კერძო სექტორში გადადიან და ხდება მათი დერეგულირება.

**4.2.2 საზოგადოებრივი საქონლით უზრუნველყოფა**

მიწოდების გასახელმწიფოებრიობის (ნაციონალიზაცია) თვალსაზრისით, უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს არის სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი საქონლის მიწოდება, რომლის გადათარევაც ისევ სახელმწიფოს მიერ კერძო საქონლის შესყიდვით არის შესაძლებელი. გადაწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო წმინდად საზოგადოებრივ საქონელს მოქალაქეთა ჯგუფს უფასოდ მიაწვდის, თუმცა სახელმწიფო მიწოდების დასაფინანსებლად გადასახადის ფორმით ზრდის კოლექტიურ სავალდებულო მოსაკრებელს. საზოგადოებრივი საქონლის მიწოდების მიზეზი თავს იჩენს მოთხოვნის მხარეს, უფრო პოზიტიური, ტექნოლოგიური გარე ეფექტების არსებობის შემთხვევაში, როდესაც ცალკეული მომხმარებლის გამორიცხვა კონკრეტული საქონლის სარგებლიანობიდან ან საერთოდ შეუძლებელია ან შესაძლებელია მხოლოდ გადაჭარბებულიად მაღალი ხარჯების შემთხვევაში.

ამის კარგ მაგალითს იძლევა ქვეყნის თავდაცვის სფერო. ქვეყნის თავდაცვაში ინვესტირება, რომელსაც უზრუნველყოფს ცალკეული მოქალაქე, ზრდის ყველა დანარჩენი მოქალაქის უსაფრთხოებას ისე, რომ მათ არ უწყევთ ხარჯების გაღება. ინდივიდუალური მიწოდებლისათვის ინვესტიციების დამატებითი სარგებელი არ აისახება საბაზრო ფასების რეაქციაში, ასე რომ, როგორც წესი, ადგილი აქვს საქონლით – ქვეყნის თავდაცვა – არასაკმარის უზრუნველყოფას. ამის თავიდან ასაცილებლად გონივრულია, მსგავსი ტიპის ინვესტიციები სახელმწიფოს მხრიდან იყოს გაღებული, რომელიც საზოგადოებრივი საქონლით სარგებლობის საშუალებას აძლევს ყველა თავის მოქალაქეს და სანაცვლოდ ზრდის საერთო გადასახადებს.


საზოგადოებრივი საქონლის ოპტიმალური მიწოდების კანონი განავითარა პაულ სამუელსონმა (1964). აღნიშნული კანონის თანახმად, ოპტიმალური ვარიანტი მაშინ მიიღწევა, როდესაც პროდუქტით უზრუნველყოფის  $C'$  ზღვრული ხარჯები შეესაბამება საქონლის  $n$  მომხმარებლის ყველა ინდივიდუალური ზღვრული სარგებლიანობის რაოდენობას.

$$C' = \sum_{i=1}^n u'_i \tag{4.1}$$

ფორმულაში კარგად ჩანს განსხვავება კერძო ოპტიმალური უზრუნველყოფის შემთხვევაში, რომელიც მიიღწევა მაშინ, როდესაც პროდუქციის ზღვრული საქონლით ხარჯები თითოეული ცალკეული მომხმარებლის ზღვრულ სარგებელს შეესაბამება. ინდივიდუალური სარგებლის ჯამში (4.1) ასახულია ინდივიდუალური სარგებლის ფუნქციებს შორის არსებული დადებითი გარე ეფექტები.

**4.2.3 გადასახადები და სუბსიდიები გარე ეფექტების აღმოსაფხვრელად**

არტურ პიგუ (1920) შემოგვთავაზა გარე ეფექტების აღმოფხვრა სპეციალური სახელმწიფო გადასახადებისა და სუბსიდიების საშუალებით. ამასთან, გადასახადებისა და სუბსიდიების ზომა ისე უნდა გათვლილიყო, რომ მათ საბაზრო წონასწორობის დროს, კერძო და საზოგადოებრივ ზღვრულ სარგებელსა თუ ზღვრულ ხარჯებს შორის განსხვავება ზუსტად დაეზალანსებინათ. ნახაზი 4.1. გვიჩვენებს, ე.წ. პიგუს-გადასახადის მოქმედებას მიწოდების მხარეს უარყოფითი გარე ეფექტის კომპენსაციის მიზნით.



ნახაზი 4.1: პიგუს-გადასახადის მოქმედება

თავდაპირველად საბაზრო წონასწორობა მდებარეობს  $D$  მოთხოვნის მრუდისა და  $S$  მიწოდების მრუდის გადაკვეთის წერტილში, რომელიც წარმოიქმნება კერძო ზღვრული ხარჯების საფუძველზე. უარყოფითი გარე ეფექტების გამო, ისინი მდებარეობენ  $C'_s$  სოციალური ზღვრული ხარჯების ქვევით. გადასახადის შემოღებამ უნდა გამოიწვიოს კერძო ზღვრული ხარჯების ზრდა. საუკეთესო შემთხვევაში, აღნიშნული გადასახადი ისეა შერჩეული, რომ ახალი საბაზრო წონასწორობა მოთხოვნის მრუდის სოციალური ზღვრული ხარჯების მრუდთან გადაკვეთის წერტილში აღმოჩნდება. გადასახადმა ამრიგად სრულად მოახერხა გარე ეფექტების ინტერნალიზაცია.



არტურ პიგუ და გარე ეფექტები

არტურ სესილ პიგუ (1877-1959) დაბადებული რაიდში (სამხრეთ ინგლისი), სწავლობდა ისტორიასა და ეკონომიკას კემბრიჯში, სადაც იგი 1908 წელს, როგორც ალფრედ მარშალის მემკვიდრე, მიწვეულ იქნა პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე. მის მთავარ ნაშრომებს მიეკუთვნებიან The Economics of Welfare (London 1920); The Theory of Unemployment (London, 1933).

პიგუმ ხელი შეუწყო როგორც მიკრო- ასევე მაკროეკონომიკის მოწინავე თეორიების განვითარებას, რომელიც ცნობილია, როგორც „პიგუს გადასახადი“, შესაბამისად „პიგუს ეფექტი“. მიკროეკონომიკაში მას მთავარ გზამკვლევად მიიჩნადა კეთილდღეობის ეკონომიკა, რომელიც ეფუძნებოდა ზაზარსა და საზოგადოებრივ სარგებელს შორის ურთიერთობას იკვლევს. ვინაიდან ეფექტიანი ზაზარი საზოგადოებრივი სარგებლის მაქსიმუმს მხოლოდ კარგად ფუნქციონირებადი ზაზრის შემთხვევაში აღწევს, საჭიროა ზაზარზე არსებული ნაკლოვანებები შეძლებისდაგვარად გამოსწორდეს. გარე ეფექტების შემთხვევაში, რომლებიც თავს იჩენენ კერძო და სოციალური ზღვრული ხარჯების, შესაბამისად, ზღვრული სარგებლის დეზინტეგრაციის შედეგად, პიგუს მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტა მხარს უჭერს სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური გადასახადებისა და სუბსიდიების შემოღებას. მათი დახმარებით შესაძლებელი უნდა გახდეს გარე ეფექტების შეძლებისდაგვარად ზუსტი ინტენალიზაცია. მაკროეკონომიკის სფეროში პიგუს შრომები უმუშევრობის მიზეზებისა და მისი დამარცხების შესაძლებლობების შესახებ, კეინსის ნაშრომის აბსოლუტურად საჩინააღმდეგო პოზიციას უსვამდა ხაზს. პიგუ ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ციკლური მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, ხელფასის შემცირება, ანუ დასაქმების ზაზარზე არსებული აქტუალური ფასის შემცირება, საბოლოო ჯამში უმუშევრობის შემცირებას შეუწყობდა ხელს. ამასთან, მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ვარაუდი, რომ შემცირებული ხელფასები და ფასები გაზრდის ფულის რეალურ მყიდველობით უნარს, რაც გამოიწვევს საქონელზე მოთხოვნის ზრდას. პიგუს საპატივსაცემოდ წოდებული აღნიშნული ეფექტი, საბოლოოდ ხელს შეუწყობს შრომის მოთხოვნას.

ამოსავალი წერტილი გადასახადებისა და სუბსიდიებისათვის შესაძლებელია იყოს მიწოდებისა და მოთხოვნის გადაწყვეტილებების ყველა დეტერმინანტი. საბაზრო ცვლილებების მიმართ ადაპტაცია თავად ზაზრის მონაწილეებზეა მიმდობილი. მისი საშუალებით ხდება ინოვაციების წახალისება, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია მწირი რესურსების მომატებული ან შემცირებული სარგებლიანობის თავიდან აცილება.

თუმცა კი პიგუს-გადასახადის პირობის თანახმად, მარეგულირებელი ინსტიტუცია ვალდებულია, ფლობდეს ზედმიწევნით ზუსტ ინფორმაციას მიწოდებისა და მოთხოვნის ფუნქციების მდგომარეობის შესახებ. იქ სადაც არ სრულდება აღნიშნული პირობა, შეფასების თავისუფლება დაკავშირებულია მაღალ რისკებთან, რომ გადასახადებისა და სუბსიდიების განაწილება ზაზარზე ყოვლად დამახინჯებული ფორმით მოხდება. ახალი გადასახადებისა და სუბსიდიების შემოღებისას, ასევე მნიშვნელოვანია აღმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინება.

4.2.4 ბუნებრივი მონოპოლიების ფასის რეგულირების ინსტრუმენტები

ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო რეგულირებისას, ისმის კითხვა, რა ფორმით არის შესაძლებელი მოხმარებლისათვის მისაღები გახდეს კლებადი საშუალო ხარჯების მხრივ უპირატესობა, ისე რომ მიმწოდებელს არ წარმოემვას ხანგრძლივი დეფიციტი. რეგულირების ტიპური ინსტრუმენტები თავს იჩენენ ფასის ფორმირებისას. ამასთან, მათი მიზანია გასაყიდი ფასის ფორმირების მიზმა კონკრეტული წარმოების ან დარგის ინდიკატორებთან. რეგულირების პრაქტიკაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ფასის რეგულირების სამი ფორმა იმსახურებს:

- ხარჯებზე ორიენტირებული ფასის რეგულირება (*cost plus-regulation*)
- კაპიტალის შემოსავლებზე ორიენტირებული ფასის რეგულირება (*rate of return-regulation*)
- ფასის ზედა ზღვარის რეგულირება (*price cap-regulation*)

ფასის რეგულირების ყველაზე მარტივი ფორმა მონოპოლიურ საწარმოებს უწევს გასაყიდი ფასს, რომელიც გამომდინარეობს წარმოების ხარჯებზე (საშუალო ან ზღვრული ხარჯები) დანამატიდან. ფასწარმოქმნის კონტროლის პირობის თანახმად, სახელმწიფო ინსტანციები ვალდებული არიან, ბუნებრივი მონოპოლიის რეალური ხარჯების სტრუქტურის შესახებ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი. კერძო მიმწოდებელი აღნიშნულ სიტუაციაში მეტად არის დაინტერესებული, რეალურზე მაღალი ხარჯები აჩვენოს, შესაბამისად, დამატებითი ხარჯები მიზანმიმართულადაც კი წარმოქმნას, რათა დარეგულირებული ფასის საშუალებით, მონოპოლიის მაქსიმალურ მოგებას მიუახლოვდეს. იმის გამო, რომ არ არსებობს არანაირი მოთხოვნა ხარჯების შემამცირებელ ინოვაციებთან დაკავშირებით, ფასის რეგულირების აღნიშნული ფორმა დამატებით იწვევს ზაზარზე ალოკაციურ გადახრას, რომელიც დღის წესრიგში აყენებს სახელმწიფოს მხრიდან, მაგალითად საწარმოო შეკვეთების ფორმით, დამატებითი ჩარევების აუცილებლობას.

კაპიტალის შემოსავლიანობაზე ორიენტირებული ფასის რეგულირების დროს, მოცემულმა ფასებმა მონოპოლური საწარმოები ინვესტირებულ კაპიტალზე შესაბამისი სარგებლის (პროცენტებში გამოსახული განაკვეთის) დარიცხვით უნდა უზრუნველყონ. ინვესტირებული კაპიტალის სარგებლის დასაანგარიშებლად საჭიროა გაჩეული კაპიტალდაბანდების რაოდენობის შესახებ სანდო ინფორმაციის მოპოვება. რეგულირების აღნიშნული ფორმის შემთხვევაში, მინიმალური პროცენტის გარანტია ხშირად ხელს უწყობს საწარმოო ფაქტორების გამოყენების გადახრას. გამოყენებულ იქნება შედარებით დიდი რაოდენობის კაპიტალი და მეტისმეტად მცირე შრომა (ე.ი. მაღალი კაპიტალინტენსიურობის პირობა), რაც იმას გულისხმობს, რომ წარმოებაზე დაიხარჯება გაცილებით მეტი კაპიტალი, ვიდრე ეს საჭიროა. აღნიშნულ ფენომენს ასევე ავერს-ჯონსონის- ეფექტსაც უწოდებენ.

ფასის რეგულირების სირთულეების გამო, რომლებიც ცალკეული საწარმოებიდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა, ფასის ზედა ზღვარის რეგულირება

სრულიად შეგნებულად ცდილობს, ორიენტაცია აიღოს კონკრეტული დარგის ან სულაც მთელი ეკონომიკის განვითარების ზოგად ტენდენციებზე. ბუნებრივი მონოპოლიისთვის შემუშავებული ფასის განვითარება ითვალისწინებს ინფლაციის საერთო დონესა და შესაბამის სფეროში მოქმედი საწარმოების პროდუქტიულობის განვითარების ხარისხს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. რეგულირების ეს ფორმა ხარჯების დამზოგველი ინოვაციების განვითარებისათვის განსაკუთრებით ძლიერ სტიმულს წარმოადგენს. სხვა, მსგავს საწარმოებთან შედარებით ინდივიდუალური პროდუქტიულობის ბევრად სწრაფი ზრდის შემთხვევაში მიღებული მოგება რჩება საწარმოს, სადაც განხორციელდა რეგულირება. ყველა შემთხვევაში არსებობს იმის საშიშროება, რომ რეგულირებული საწარმოები შეეცდებიან, ხარჯები პროდუქციის ხარისხის გაუარესების ხარჯზე შეამცირონ. ამ შემთხვევაში აუცილებელია სახელმწიფო კონტროლის ამუშავება წარმოებული საქონლისა და მომსახურებების შემოწმების მიზნით.

### 4.3 დერეგულირების პოლიტიკის ინსტრუმენტები

საბაზრო ჩავარდნის თეორია გვთავაზობს თითქმის ყველა ბაზარზე მარეგულირებელი ჩარევებისათვის საჭირო ამოსავალ წერტილს, მეორე მხრივ სახელმწიფო ინსტანციების ინფორმირებულობა მიწოდებისა და მოთხოვნის დეტერმინანტების შესახებ, როგორც წესი, ფუნქციონირებადი საბაზრო წინასწარობის სუბსიდიებისათვის საკმარისი არ არის. აქედან გამომდინარე, რეგულირების პოლიტიკა მუდმივად დგას ბაზრის ცხოვრებაში მეტისმეტად ფართომასშტაბიანი ჩარევების საშიშროების წინაშე, რომლებიც თავის მხრივ, იწვევენ დიდ ხარჯებთან დაკავშირებულ შემდგომი ინტერვენციების საჭიროებას. გადაჭარბებული რეგულირების შედეგების კრიტიკის გამო, საქმე იქამდე მივიდა, რომ ამასობაში დაიწყო ინტენსიური დისკუსიები სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ბაზრების დერეგულირების შესაძლებლობის თაობაზე. ამასთან, ისმის კითხვა, რამდენად და რა ფორმით არის შესაძლებელი, რომ კერძო ბაზრები ისე გაუმკლავდნენ ბაზრის შესაძლო არასრულფასოვნებას, რომ საბაზრო ალოკაციის ეფექტიანობა სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევების გარეშე იქნას შენარჩუნებული.

დერეგულირების თეორია და პოლიტიკა მოიცავს სამ ძირეულ მოსაზრებას:

- კერძო ბაზრებზე მოლაპარაკებები არა მხოლოდ ფასებისა და რაოდენობის, არამედ ცხადია, ასევე ხარისხის, მიწოდების ვადებისა და ხელშეკრულების ხანგრძლივობის შესახებაც მიმდინარეობს. თუკი ტრადიციულ მიკროეკონომიკის საბაზრო მოდელს ამ ფაქტორებზე განვავრცობთ, თავს იჩენს პოტენციური საბაზრო ჩავარდნის დაძლევის ენდოგენური შესაძლებლობები, იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის ყველა მონაწილე ამისგან მეტ სარგებელს იღებს.
- ბაზრის რეალური მონაწილეების გარდა ასევე ყოველთვის გასათვალისწინებელია პოტენციურ მონაწილეთა ქცევებიც. პოტენციურად მაღალი კონკურენციის შემთხვევაში, საბაზრო ძალაუფლების განხორციელება არც ცალკეულ მიმწოდებელს არ შეუძლია.

- სახელმწიფოს საბაზრო ალოკაციის ეფექტიანობის გაძლიერება შეუძლია საბაზრო გაცვლითი ოპერაციების სამართლებრივი ჩარჩო პირობების, მაგალითად, დაბალი ხარისხის შემთხვევაში პასუხისმგებლობის უფლების მკაფიო დეფინიციითა და მისი განხორციელებით.

#### 4.3.1 ბაზრის ნაკლოვანებების დაძლევა კერძო ხელშეკრულებების საშუალებით

ადაპტაციის პრობლემების თავიდან ასაცილებელ ყველაზე მარტივ საშუალებას, რომელსაც ობობას ქსელის თეორემა გვთავაზობს, წარმოადგენს მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის მხოლოდ გარკვეული პერიოდისათვის მოქმედ ხელშეკრულებებზე უარის თქმა. გრძელვადიანი ხელშეკრულებების დადება შეამცირებდა ფასისა და რაოდენობის დროში გაგრძელებული მერყეობის რისკებს და, შესაბამისად, ბაზრის ორივე მხარისათვის მომგებიანი იქნებოდა. სინამდვილეში შესაძლებელია დაუასკვნათ, რომ გერმანიაში სვიის ბაზარზე ევროკავშირის აგრარული საბაზრო წესრიგის ფარგლებში, მყარი ფასების შემოღებამდე არსებობდა ფასის სტაბილიზების ფორმა, რომელიც სვიის მომყვან ფერმერებსა და ლუდსახარშებს შორის მიწოდების გრძელვადიანი ხელშეკრულებების დადებას უკავშირდება (იარხოვი, 1980).

შრომის ბაზარზე პროთეკავშირებსა და დამსაქმებლებს შორის არსებული მოლაპარაკებები შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც არსებობს ან სტაბილურობის შესაძლო პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის გარეშეც არის შესაძლებელი. მსგავსი მოლაპარაკებების შედეგია შრომით ტარიფებთან დაკავშირებული შეთანხმებები, რომლებიც შრომის ანაზღაურებას ჩვეულებრივ, ხანგრძლივი დროის მანძილზე აფიქსირებს. მსგავსი სატარიფო შეთანხმებები ალოკაციის პოლიტიკის თვალსაზრისით იგივე მიზანს ემსახურებიან, რასაც სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური ხელფასის განსაზღვრა. იგი ხელს უშლის მაღალი არასაიმედოობის შემთხვევაში შრომის ხარისხზე საბაზრო ფასის მოქმედებას, შესაბამისად, შრომის მიწოდების ფუნქციის შესაძლო ინვერსიული მიმდინარეობის გამო, არ მოხდება საბაზრო ფასთან სტაბილური ადაპტაცია.

ინფორმაციის ასიმეტრიულობის პრობლემები შესაძლებელია გადაიჭრას ბაზრის მონაწილეთა შორის ხელშეკრულებით გამყარებული მოლაპარაკებების გზით, რომლებიც სცდება მხოლოდ ფასთან დაკავშირებულ შეთანხმებებს. გასაყიდი საქონლის ხარისხობრივი თვისებების შესახებ დამატებითი ინფორმაციით მიზანმიმართული უზრუნველყოფა ხელს უწყობს უკეთ ინფორმირებული ბაზრის მონაწილე მხარის სანდოობის ზრდას. ამ ე.წ. Signaling-ის (სიგნალების გაცემა) შესაძლებლობებს იძლევა საგარანტიო დაპირებების გაცემა, დაზღვევის ხელშეკრულებაში ფრანშიზის გათვალისწინება ან ტარიფებზე, გამოუყენებელი დაზღვევის შემთხვევაში, ფასდაკლების ასახვა. ამით შეზღუდული ან სულაც თავიდან აცილებულ უნდა იქნას როგორც არახელსაყრელი არჩევანი, ისე მორალური რისკები.


კიდევ ერთ შესაძლებლობას, ინფორმაციის ასიმეტრიულ განაწილებასთან მიმართებაში, წარმოადგენს სკრინინგი, რომელიც ხარისხობრივი თვისებების შესახებ მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას ეფუძნება. თავდაპირველად ნაკლებად ინფორმირებულ ბაზრის მონაწილე მხარეს შეუძლია

თავად მოიპოვოს ინფორმაცია ან საქმეში ჩართოს მესამე პირი სპეციალიზებული კონსულტანტის სახით. ამ პრაქტიკის შედეგად, კერძოდ, იზრდება საბაზრო გაცვლითი ოპერაციის ხარჯები, თუმცა სამაგიეროდ უმჯობესდება საბაზრო წონასწორობის არსებობის შანსები.

სახელმწიფოს შეუძლია ბაზრის კერძო მონაწილეთა სურვილი, უფრო კონკრეტული გახდეს ხელშეკრულების პირობები, გაამყაროს შესაბამისად მოქნილი სახელშეკრულებო კანონმდებლობით. მას ასევე შეუძლია საქონლის ხარისხობრივი თვისებების შესახებ დამატებითი ინფორმაციით უზრუნველყოფა. ამ საკითხის მოგვარება ეკისრებათ სახელმწიფო ინსტიტუციებს, მაგალითად ისეთი მგრძობიარე პროდუქტების შემთხვევაში, როგორცაა მედიკამენტები – სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ კონტროლის პუნქტებს, პროდუქტის კონტროლის უწყებას ან სახელმწიფოს მიერ ვთქვათ, მეორადი მანქანის ღირებულების შეფასების მიზნით, დაქირავებულ ექსპერტებს.

**4.3.2 ბაზრებზე კონკურენციის წახალისება**

ბუნებრივი მონოპოლიების შესახებ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მსჯელობაში, კონკურენციული ბაზრების თეორიის მიხედვით ჩამოყალიბდა ახლებური ხედვა, რომლის საფუძველზეც ძალიან ბევრ ბაზარზე დაინერგა დერეგულირების სისტემა. კონკურენციის თეორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიქსირებულ და აუნაზღაურებელ ხარჯებს შორის განსხვავება.



ნახაზი 4.2: საბაზრო წონასწორობა სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე

სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე საბაზრო მიწოდება ყველა ახალი კონკურენტის ბაზარზე შემოსვლის მომენტში იზრდება, მანამ სანამ არ მიიღწევა მოგება. კლებადი ზღვრული და საშუალო დანახარჯების დროს საბაზრო წონასწორობა უნდა მდებარეობდეს იქ, სადაც ბაზრის ყველა მონაწილის საშუალო დანახარჯების მრუდი უშუალო შეხებაშია მოთხოვნის მრუდთან. აღნიშნულ პირობებში არ ხდება ბუნებრივი მონოპოლიის ჩამოყალიბება.

ფიქსირებული ხარჯები არ არის არაუკუქცევადი არარევერსული, თუ კი არსებობს მეორად ბაზრებზე კონკრეტული აქტივების განმეორებითი გამოყენებით მათი, სულ მცირე, ნაწილობრივი უკან დაბრუნების შესაძლებლობა. თუკი არსებობს ფიქსირებული დანახარჯები, ხოლო კლებადი საშუალო დანახარჯებისა და აქედან გამომდინარე შესაძლო ბუნებრივი მონოპოლიის წარმოქმნა კლებ

ბისაკენ არ არის მიმართული, ახალი კონკურენტების გამოჩენისთვის არ არსებობს გადაუღებელი წინააღმდეგობები. ექსტრემალურ სიტუაციაში პოზიტიური მოგების არსებობა აღნიშნულ ბაზარზე გამოიწვევდა პოტენციური კონკურენტების საჭირო ფიქსირებული ხარჯებით ბაზარზე შემოსვლას და ბაზარზე არსებული მოგების ოდენობის გადანაწილებას. როგორც კი ბაზარზე გაქრება მოგების მიღების საშუალება, ისინი კვლავ გავლენ ბაზრიდან და გააგრძელებენ საერთო ინვესტიციების განხორციელებას, ისე რომ გრძელვადიან დანაკარგებს ადგილი არ ექნება.

აუნაზღაურებელი დანახარჯების არარსებობის დროს, ბაზრის სტრუქტურა ენდოგენურია. ყველა მიმწოდებლის აგრეგირებული საშუალო დანახარჯების მრუდი მარჯვენა მხარეს გადაადგილდება მანამ, სანამ გრძელვადიან წონასწორობაში მოგების მიღების საშუალება აღარ იქნება. აღნიშნული წონასწორობა, როგორც ეს ნახაზზე 4.2. ჩანს, აღარ მდებარეობს ზღვრული ხარჯების მრუდისა და მოთხოვნის მრუდის გადაკვეთის წერტილში, თუმცა ხელს უშლის იმავდროულად მონოპოლური მოგების წარმოქმნას, ან დეფიციტის დაფარვის აუცილებლობას.

საკმარისად მაღალი პოტენციური კონკურენციის არსებობის შემთხვევაში, კონკურენტულ ბაზრებზე სახელმწიფოს მხრიდან ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირების აუცილებლობა არ იქნებოდა. კონკურენტუნარიანობის დიაგნოზის დასასმელად მნიშვნელოვანია მრეწველობის კონკრეტულ დარგთან მიმართებაში ტიპური ფიქსირებული ხარჯების არსზე თვალის გადავლება. სარკინიგზო რელსების ქსელის ან საკაბელო სატელეფონო ქსელის აგებისათვის საჭირო ტიპური აუნაზღაურებელი ხარჯები ფიქსირებულ ხარჯებს წარმოადგენს. ხარჯები საშაერო ფლოტისთვის არ ითვლება აუნაზღაურებლად, თუ შესაძლებელია თვითმფრინავების მეორად ბაზრებზე გაყიდვა ან მათი გაქირავება. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმ გარემოებისა, რომ საშაერო ტრანსპორტი აღმოჩნდა ის სფერო, სადაც დერეგულირების პროცესი ყველაზე მასშტაბურად და სწრაფად განხორციელდა. ამის საპირისპიროდ, სარკინიგზო რელსებისა და კაბელების ქსელები კვლავინდებურად ექვემდებარებიან ინტენსიურ სახელმწიფო რეგულირებას.

საბაზრო ძალაუფლების კონკურენციის გზით დისციპლინირება შესაძლებელია მაშინაც, როდესაც სახელმწიფო აუქციონზე ყიდის დროებით ბუნებრივ მონოპოლიებს და აუქციონზე გაყიდვის შემდეგ უარს ამბობს ფასის რეგულირებაზე. თუკი აუქციონზე გაყიდვა კონკურენციის ფარგლებში ხორციელდება, ყველა კონკურენტი მონაწილეთა თავიანთი, მომავალში მოსალოდნელი, მოგების შესაბამისად. აუქციონიდან მიღებულ შემოსავალში, შესაბამისად, აისახება მომავალში მისაღები მონოპოლიური მოგება. ამ ამონაგებიდან სახელმწიფოს შეუძლია მომხმარებლებისათვის კომპენსაციის გაცემა და ამ გზით მონოპოლიური ფასწარმოქმნის ნეგატიური შედეგების გაბათილება.

**4.3.3 სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მოლაპარაკებები და სატრანსფერო გადასახდელები**

ტექნოლოგიური გარე ფაქტორებით გამოწვეული საბაზრო არასრულყოფილება სრულად იქნებოდა თავიდან აცილებული, რომ არსებობდეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესები იმ შემთხვევაში, თუ



განხორციელებოდა მესამე პირთა აქტივობებზე საკუთარი ქმედებებით გაყენების მოხდენა. ფართომასშტაბიანი და ნებისმიერ დროს განხორციელებადი სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგალითად, თავიდან აგვარიდებდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნეგატიურ გარე ეფექტებს, შეძლებისდაგვარად მოხერხდებოდა ეკოლოგიისათვის ზიანის მიყენების დროული აღკვეთის საფუძვლების შემუშავება. სამართლებრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებისას განასხვავებენ ორ სხვადასხვა პრინციპს:


- მუქარის ან საფრთხის შექმნის შემთხვევაში სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი ეფუძნება ყველა მიყენებული ზიანისთვის ზარალის ანაზღაურების უნივერსალურ ვალდებულებას და აქედან გამომდინარე, ზარალის გამომწვევ პირებში ზრდის ზიანის დროულად თავიდან აცილების მოტივაციას.
- დანაშაულის ჩადენის ან დავალიანების შემთხვევაში სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი ითვალისწინებს ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობას მხოლოდ წინასწარი განზრახვით ან გულგრილი დამოკიდებულების შედეგად გამომწვეული ზარალის შემთხვევაში და, შესაბამისად, ზიანის დროულად აცილებისათვის ნაკლებ მოტივაციას ქმნის.

თუ დამზარალელების წინააღმდეგ მრავალგვარი პრეტენზიის წაყენება არ ხერხდება, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გარე ეფექტების შედეგად დამდგარი პრობლემების გადალახვა პირადი ურთიერთობის დონეზე შეუძლებელია. როგორც რონალდ ქოუზმა გვიჩვენა (1960), გარე ეფექტების ეფექტიანი ინტერნალიზაცია, წმინდად პირადი მოლაპარაკებების გზით, არ არის დამოკიდებული საკუთრებისა და მოხმარების უფლების განაწილებაზე. წინაპირობას წარმოადგენს მხოლოდ ის, რომ სამართალი ერთმნიშვნელოვნად ვრცელდება, როგორც დამზარალელებზე, ასევე დაზარალელებზეც და, რომ იგი არანაირ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული.

პირადი მოლაპარაკებების გზით გარე ეფექტების პრობლემის გადაწყვეტის ქოუზისეული თეორემა წარმოადგენს პიგუს-მოდელის საპირისპირო ვარიანტს, რომელიც გულისხმობს პრობლემის გადაჭრას სახელმწიფოს მხრიდან გადასახადებისა და სუბსიდიების შემოღების გზით. მისი ლოგიკის გაგებაში გვეხმარება ნახაზი 4.3, რომლის მიხედვითაც, ზღვრული ზარალის ანაზღაურება ხორციელდება ზარალის მასშტაბიდან გამომდინარე, ხოლო ზარალის თავიდან ასაცილებლად საჭირო ზღვრული ხარჯები იფარება ზარალის თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებების მასშტაბიდან გამომდინარე. ზღვრული ზარალის მრუდის ქვეშ არსებული ველი ზომავს საერთო ზარალს, ხოლო ზღვრული ხარჯების მრუდის ქვეშ არსებული ველი ზომავს ზარალის ასაცილებლად საჭირო საერთო ხარჯებს. საზოგადოებისათვის მისაღები ოპტიმალური სიდიდე მდებარეობს ორივე მრუდის გადაკვეთის წერტილში C პუნქტთან.

თუ დამზარალელებს აქვს ზარალის მიყენების უფლება, ზარალის მასშტაბი თავდაპირველად მაქსიმუმს მიაღწევს და შესაბამისად A პუნქტთან იქნება. ამ სიტუაციაში დაზარალელები იქნება მოტივირებული, დამზარალელებს გადაუხადოს AF რაოდენობით განსაზღვრული ტრანსფერი, რათა AE = FC რაოდენობის ზარალი დაიყვანოს საზოგადოებისთვის მისაღებ ოპტიმალურ სიდიდემდე. საკომპენსაციო გადასახდელთან დაკავშირებული მსგავსი ტიპის შეთანხმება ორივე მხარისათვის მომგებიანი იქნებოდა. დამზარალელები მიიღებდა სატ-

რანსფერო თანხას, E AFC მართკუთხედის ფართობის შესაბამისად მაშინ, როდესაც მისი ზარალის თავიდან ასაცილებელი ხარჯები EAC სამკუთხედის ოდენობით განისაზღვრება.



ნახაზი 4.3: ქოუზის-თეორემა გარე ეფექტების ინტერნალიზაციისთვის

მარცხენა ნახაზზე გამოსახულია დამზარალელების ზარალის მიყენების უფლება, იმდენად, რამდენადაც საწყის მომენტში დაზარალელებს თავის მაქსიმალურ A დონეს, ხოლო ზღვრულმა ზარალმა თავის მაქსიმალურ B დონეს მიაღწია. დაზარალელების მიერ დამზარალელებისათვის გადახდილი საკომპენსაციო თანხა, რომელიც E AFC მართკუთხედის ფართობს შეესაბამება, გამოიწვევდა ზარალის E-მდე შემცირებას. ამასთან, საკომპენსაციო თანხა ზარალის შემცირების ღირებულებასთან შედარებით ნაკლები იქნებოდა, რაც CEAB ოთხკუთხედის სახით ზღვრული ზარალის მრუდის ქვეშ იზომება. დამზარალელებისათვის საკომპენსაციო თანხა პირიქით, CEA ზარალის თავიდან ასაცილებლად საჭირო ზღვრულ ხარჯებზე მეტი იქნებოდა.

მარჯვენა ნახაზზე გამოსახულია პოტენციური დაზარალელების უფლება დაუზარალელობის შესახებ. შესაბამისად, დამზარალელებს არ შეუძლია გამოიწვიოს ზარალი, ხოლო ზარალის ასაცილებლად საჭირო ზღვრული ხარჯები აღნიშნულია თავის მაქსიმალურ G დონეზე. დაზარალელებისათვის გადასახდელი საკომპენსაციო თანხა OECD-ის ოდენობით, ზარალის E-მდე გაზრდის საშუალებას იძლევა. დაზარალელებისათვის ეს თანხა საწყის ზარალზე მეტია, რომელიც OEC სამკუთხედის ფართობით ზღვრული ზარალის მრუდის ქვეშ დაიანგარიშება. დამზარალელებს საკომპენსაციო თანხის გადახდა ყველა შემთხვევაში ზარალის სრულყოფილად თავიდან აცილებაზე იათუ უჭდება, რაც OECG ოთხკუთხედის ფართობით გამოისახება.

შესაბამისად, წმინდა ეფექტი ერთმნიშვნელოვნად დადებითია. დამზარალელებისათვის E AFC მართკუთხედის ფართობის შესაბამის სატრანსფერო გადასახდელს უპირისპირდება ზარალის შემცირება OECD მართკუთხედის ფართობის მიხედვით. შესაბამისად, ნეტო-ეფექტი მისთვისაც დადებითია.

თუ პოტენციური დაზარალელები, პირიქით, დაუზარალელობის უფლებით სარგებლობს, თავდაპირველად სიტუაცია დაზარალელების გარეშე O წერტილთან წარმოიქმნება. დამზარალელები იქნება მოტივირებული, დაზარალელებისგან საკომპენსაციო თანხის გადახდის გზით შეესყიდოს დაუზარალელობის უფლება C წერტილამდე. ზარალი ამ შემთხვევაში შეესაბამება OEC სამკუთხედს, სატრანსფერო თანხა OECD მართკუთხედს, ნეტო-ეფექტი, შესაბამისად, ცალსახად და-

დებითა. დამზარალებელს დაეზოგება ზარალის თავიდან აცილების ხარჯები, რომელიც შესაბამისაა OECG მართკუთხედს. OECD მართკუთხედის ფართობის შესაბამისი საკომპენსაციო თანხის გათვალისწინებით, საერთო ეფექტი ამ შემთხვევაშიც დადებითი იქნება.

ქოუზის თეორემის დაკონკრეტება შესაძლებელია პოტენციური დამზარალებლისა და დამზარალებულისათვის ზარალის მიყენების უფლების (სერთიფიკატის) განაწილების გზით. მსგავსი სერთიფიკატით ვაჭრობის გზით ყალიბდება დამზარალებლის უფლების საბაზრო ფასი. იმის მიხედვით, თუ რა ფორმით ხდება დამზარალებლის უფლების თავდაპირველი განაწილება, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას განაწილების ასპექტები. შესაბამისი ბაზრებზე სერთიფიკატების ფასის განვითარება ზარალის თავიდან ასაცილებლად საჭირო ინვესტიციებისა და ინოვაციებისათვის ხელშესაწყობად და მათ სამართავად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. ამ მოსაზრებების საფუძველზე აშშ-ში 1990 წელს ე.წ. „სუთა ჰაერის აქტი“ (Clean Air Act) სახით პირველად შემოიღეს ფასიანი სერთიფიკატები ეკოლოგიის სფეროში. 2005 წელს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შემოღებული იქნა ევროკავშირის საემისიო ვაჭრობის სისტემა, რომლის ფარგლებშიც წარმოებებს, რომლებიც მოიხმარენ ინტენსიური გამონახოლოქვის გამოწვევას საწარმოო ალტერნატივებს, გამოეყოთ ფასიანი საემისიო სერთიფიკატები. მიზანი ერთია: ამ ფორმით მოხდეს კლიმატისათვის მავნე არისებრი საწვავის გამოყოფის მნიშვნელოვანი შემცირება.

### 4.4 მაგალითი: ტელეკომუნიკაციების რეგულირება და დერეგულირება გერმანიაში

1989 წლამდე გერმანიაში არსებობდა მკაცრად დარეგულირებული სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ბაზარი. რეგულირების მიზნად სახელდებოდა შესაძლო საბაზრო ხარვეზების სხვადასხვა სახეები:

- ქსელის გარე ეფექტები: სატელეკომუნიკაციო ქსელის, მაგალითისათვის სტანდარტული სატელეფონო ქსელის აგების ფაზაში, ქსელში ჩართული შემდგომი მონაწილის (აბონენტის) კოლექტიური ზღვრული სარგებელი აჭარბებს ინდივიდუალურ ზღვრულ სარგებელს. მსგავსი ქსელის კერძო და კონკურენტუნარიანი საწარმო ვერ შეძლებდა ფასის ფორმულირებისას საკმარისად გათვალისწინებინა მასშტაბური ქსელის დადებითი გარე ეფექტები.
- განუყოფლობა და ბუნებრივი მონოპოლიები: საკაბელო სატელეკომუნიკაციო ქსელის აგება მოითხოვს მაღალ ფიქსირებულ ხარჯებს, რომლებსაც აუნაზღაურებელი ხარჯების სახე აქვთ. ეს ქმნის ბუნებრივი მონოპოლიის წარმოქმნის კლასიკურ წინაპირობას. ნამდვილი მონოპოლიური ფასების შემოღების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სახელმწიფო რეგულირება.
- ინფორმაციის ასიმეტრიულობა: გამოყენებული ხელსაწყოების განსაკუთრებული ტექნიკური ხარისხობრივი თვისებების გამო, არსებობდა იმის საშიშროება, რომ კონკურენტუნარიანი ბაზარზე მომხმარებლები ვერ განავი-

თარებდნენ საკმარის მოთხოვნას კარგი ხარისხის პროდუქტზე და აქედან გამომდინარე, სახელმწიფო რეგულირების გარეშე ვერ იარსებებდა მსგავსი პროდუქტის ბაზარი.

მსგავსი საბაზრო ხარვეზების დიაგნოზმა ხელი შეუწყო სახელმწიფო საწარმოს – გერმანიის ფედერალური ფოსტის, როგორც ქსელური მონოპოლიის არსებობის გამართლებას. გერმანული ფოსტა ტელეფონების მწარმოებლებთან მიმართებაში ასევე ფლობდა მონოპოლიის გარკვეულ ხარისხს, ისე რომ მომხმარებლებს განსაზღვრული ხარისხის სტანდარტების მქონე ტელეფონები ექსკლუზიურად ფედერალური ფოსტისგან უნდა შეეძინათ. ამ ფოსტის სატელეფონო ქსელისთვის არსებობდა ერთიანი სატარიფო სისტემა. ასევე არსებობდა კონტრაქტის გაფორმების იძულება, ისე რომ ვერცერთი პოტენციური მომხმარებელი ვერ გამოაკლდებოდა ქსელით სარგებლობას. რეგულაციების შემოღების შედეგად, ქსელური საწარმოდან შესაძლო დეფიციტის დასაფარად ფედერალურ ფოსტას შეეძლო თავისი საწარმოს სხვა სფეროებიდან განეხორციელებინა შიდა სუბსიდირება.

80-იან წლებში ტრადიციული რეგულირების პრაქტიკა მაინც მოექცა წნეხის ქვეშ. არსებობდა ამის რამდენიმე მიზეზი. პირველ რიგში, გერმანიის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, მაგალითად, უკაბელო ტელეფონის განვითარების გამო, ასევე იმის გამო, რომ უცხოეთის ქვეყნებში გერმანიისგან განსხვავებით მსგავსი ბაზრები რეგულირებას არ ექვემდებარებოდა, გაიზარდა კონკურენცია ჩამნაცვლებელი პროდუქციის მხრიდან, ამის გამო პოტენციური კონკურენტების შემეფობით მოიმატა ბუნებრივი მონოპოლიის კონკურენციამ, ისე, რომ შეუზღუდავი მონოპოლიური ფასწარმოქმნის საშიშროება სახელმწიფო რეგულირების გარეშე მკვეთრად შემცირდა. ტელეფონების ბაზრისთვის დაინერგა სკრინინგისა და სიგნალების გაცემის სულ უფრო უკეთესი მეთოდები, რამაც გამოიწვია ინფორმაციის ასიმეტრიული განაწილების საშიშროების შემცირება, და ბოლოს, გაიზარდა ნდობა იმისა, რომ კერძო მოლაპარაკებების გზით, შესაძლებელია გარე ეფექტებით გამოწვეული პრობლემების გადალახვა. გერმანიის სატელეკომუნიკაციო ბაზრის დერეგულირებას დამატებით მხარს უჭერს ფინანსურ-პოლიტიკური მოსაზრებები. რეგულირებადი მონოპოლიის სხვა დანარჩენი დეფიციტები და ქსელის შემდგომი განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციები მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დასაფარი უნდა ყოფილიყო. ამის საწინააღმდეგოდ, დერეგულირების საშუალებით გაჩნდა ფედერალური ფოსტის პრივატიზების და აქედან გამომდინარე, გაყიდვიდან მიღებული მოგებით ფედერალური ბიუჯეტის დაფინანსების შესაძლებლობა. იგივე მოლოდინები იყო დაკავშირებული ახალი ქსელების აგებასთან, მიმდინარე მონოპოლიური უფლებების აუქციონზე გაყიდვის შედეგად მიღებული მოგებით.

ტელეკომის სექტორში დერეგულირების პროცესი გერმანიაში სამ ეტაპად განხორციელდა: საფოსტო რეფორმა I, II, III. 1989 წელს გატარებული რეფორმა I შეეხებოდა ფედერალური ფოსტის იურიდიულ დანაწევრებას, რამაც საფუძველი ჩაუყარა სამი დამოუკიდებელი კომპანიის – საფოსტო მომსახურების, საფოსტო ბანკისა და გერმანული ტელეკომის (დოიჩე ტელეკომი) ჩამოყალიბებას, ასევე ტელეფონების ბაზარზე სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციას და პირველი მობილური კავშირის ლიცენზიის თაობაზე სატენდერო პირობების გამოცხადებას. 1994 წელს საფოსტო რეფორმა II-ის შედეგად, სამმა ახალმა კომპანიამ მიიღო სააქციო საზოგადოების იურიდიული ფორმა და მოხდა მათი



ფორმალური პრივატიზაცია. დოიჩე ტელეკომის აქციების გაყიდვით იმავდროულად დაიწყო მატერიალური პრივატიზაცია. კავშირი ტელეკომის სექტორის მასშტაბურ ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, თავის თავზე იღებდა პასუხისმგებლობას, რისთვისაც საჭირო იყო მონოპოლიური სუვერენული უფლებების ლიკვიდაცია. აღნიშნული სექტორის ახალი წესრიგის ინსტიტუციური ჩარჩოები ჩამოყალიბდა 1996 წელს საფოსტო რეფორმა III-ის შედეგად. მთავარ ადგილს იკავებდა ახალი სატელეკომუნიკაციო კანონის მიღება, რომლის საშუალებითაც მოხდა ჯერაც არსებული რეგულირების ინსტრუმენტების დიაპაზონის აღწერა. რეგულირების ამ ღონისძიებების გამოყენება 1998 წელს ახლად შექმნილი ტელეკომუნიკაციებისა და ფოსტის მარეგულირებელი ორგანოს ხელშია. შემდგომ პერიოდში მას დაევალა გერმანიის ეკონომიკის სხვა დერეგულირებად სექტორებში დარჩენილი რეგულირებების დანერგვა და მათი რეალიზება. 2005 წლიდან მას ეწოდება ელექტროენერჯის, გაზის, ტელეკომუნიკაციების, ფოსტისა და რკინიგზის ფედერალური ქსელური სააგენტო.

ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი საკანონმდებლო ინსტრუმენტები, სექტორის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ავსებენ ჩარევების შესაძლებლობების შესახებ გერმანიის კონკურენციის მარეგულირებელ ზოგად საკანონმდებლო ნორმებს, იმ მიზნით, რომ მოხდეს მანამდე განსაკუთრებით ძლიერად რეგულირებად ბაზრებზე კონკურენციის შეძლებისდაგვარად სწრაფი ფორმირება და მისი ხანგრძლივი დროით უზრუნველყოფა. გერმანიაში სატელეფონო მომსახურებაში ტელეკომის მონოპოლიის დასრულების შემდეგ, ახალ მიმწოდებლებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ ფედერალურ ქსელურ სააგენტოს ახალი სატელეფონო ქსელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ლიცენზიისათვის.

ლიცენზიის გაცემა დამოკიდებულია ლიცენზიის ამღების სანდოობაზე, კომპეტენციასა და ეფექტურობაზე. მხოლოდ შეზღუდულად ხელმისაწვდომი ლიცენზიის შემთხვევაში, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება უსადენო მომსახურებებს, გამოიყენება საკონკურსო და აუქციონზე გაყიდვისთვის საჭირო მეთოდები. მსგავსი რამ მოხდა 2000 წელს UMTS (Universal Mobile Telecommunications System) ლიცენზიის აუქციონზე გაყიდვის შემთხვევაში.

ჯერაც არსებული რეგულირების შესაძლებლობები, უპირველეს ყოვლისა, ეხება ახალი მიმწოდებლების დაცვას ძველი, მყარი პოზიციების მქონე მონოპოლისტის საბაზრო ძალაუფლებისგან, რომელიც, როგორც კერძო ბიზნესი, ცხადია, საკუთარი მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული. განასხვავებენ რეგულირების სამ ფორმას:


- ტექნიკური რეგულირება: მარეგულირებელი ორგანო აკონტროლებს, რომ ბაზრის ყველა მონაწილე თავისუფალი იყოს პროვაიდერის არჩევისას, რაც გულისხმობს ტელეფონის ნომრებთან დისკრიმინაციისაგან თავისუფალ წვდომას, პროვაიდერის შეცვლის შემთხვევაში ნომრის პორტირებას და ანგარიშსწორების ერთიან სისტემას (pre-selection ან call-by-call).
- უნივერსალური მომსახურების რეგულირება: მარეგულირებელი ორგანო ზრუნავს სატელეფონო მომსახურების ფართო სპექტრის მინიმალური შეთავაზების უზრუნველყოფაზე. საჭიროების შემთხვევაში, მას შეუძლია, ბაზარზე გაბატონებული პროვაიდერებისგან მოითხოვოს მსგავსი ტიპის უნივერსალური მომსახურება. საჭიროების შემთხვევაში, წარმოქმნილი დეფიციტი იფარება ფონდიდან, რომელიც, თავის მხრივ, ფინანსდება ქსელში ჩართუ-

ლი ყველა პროვაიდერი ფინანსგან უნივერსალური მომსახურებისთვის ერთგვარი საწევრო შენატანის სახით. აღნიშნული საწევრო არის გადასახადი, რომელიც უზრუნველყოფს ტელეკომუნიკაციების უნივერსალურ სარგებლიანობას, რის გამოც იგი ერთგვარად საზოგადოებისათვის საჭირო პროდუქტის ხასიათს იღებს.

- ბაზრის რეგულირება აუნაზღაურებელი ხარჯების მქონე სფეროში: იქ, სადაც ბუნებრივი მონოპოლია არსებობს განაგრძობს, კერძოდ, ფიქსირებული სადენიანი ქსელის შემთხვევაში, მარეგულირებელი ორგანო აკონტროლებს, რომ ტელეკომის კონკურენტებისთვისაც ხელმისაწვდომი იყოს დისკრიმინაციისგან თავისუფალი ქსელის ხარჯებზე ორიენტირებულ (არა მონოპოლიის გზით გაზრდილ) ფასებზე წვდომა. ქსელის მონოპოლისტის ფასწარმოქმნაში პირდაპირი ჩარევა გამართლებულია ე.წ. ძირითადი საშუალებების დოქტრინით (Essential Facilities Doctrin). აღნიშნული დოქტრინის თანახმად, რეგულირება უნდა განხორციელდეს იქ, სადაც მონოპოლისტები ყველაზე ხშირად უშლიან ხელს ბაზარზე ახალი მოთამაშეების გამოჩენას. ფიქსირებულ ქსელში დისკრიმინაციისგან თავისუფალი წვდომის გარეშე ძველ მონოპოლიურ კომპანიასა და ახალ მოთამაშეებს შორის ქმედითუნიანი მეტოქეობის არსებობა შეუძლებელია.

გერმანიის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე დერეგულირების გამოცდილება ცალსახად დადებითია. გაიზარდა მიმწოდებელთა რაოდენობაც, იმის მიუხედავად, რომ ტელეკომის წილი ბაზარზე ჯერაც დომინირებს. ბაზარზე საერთაშორისო ზარების თვალსაზრისით, ინტენსიური კონკურენციის შედეგად ფასები საგრძნობლად შემცირდა. ფასების შემცირება ნაკლებად შეეხო ლოკალურ ზარებს, სადაც დოიჩე ტელეკომი სადენიანი ქსელის გამო, კვლავაც დომინანტია. როგორც რეალური, ასევე პოტენციურად მზარდი კონკურენციის გამო, დოიჩე ტელეკომიც კი გახდა იძულებული, ეზრუნა ხარჯების მაღალ ეფექტიანობაზე, ინოვაციებსა და ფასდათმობებზე. კრიტიკის საფუძველს მხოლოდ დერეგულირების პოლიტიკის ინსტიტუციური ჩამოყალიბება იძლეოდა. მარეგულირებელი ორგანოს, შესაბამისად, ფედერალური ქსელის სააგენტოს მემკვიდრით, გაჩნდა ახალი ორგანო, რომელიც ფედერალური ანტიმონოპოლიური კომიტეტის ზოგადი კონკურენციის პოლიტიკის კონკურენტულად მოქმედებს. სექტორულად დიფერენცირებული კონკურენციის პოლიტიკა გამართლებულია ძველი მონოპოლისტის ჭარბი ძალაუფლებით. მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება ახალი, მსხვილი კონკურენტების გამო იმდენად შემცირდება, რომ განსაკუთრებული რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენება სრულიად ზედმეტი აღმოჩნდება და საჭირო იქნება მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი საკონკურენციო წესების გამოყენება, დღის წესრიგში დადგება ფედერალური ქსელის სააგენტოს გაუქმების საჭიროება. კრიტიკოსები ამის საწინააღმდეგოდ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამასობაში ენერჯეტიკა, ფოსტა და რკინიგზაც ახალი უწყების კონტროლქვეშ აღმოჩნდა. იმ შემთხვევაში, თუ გაიზრდება განსაკუთრებული რეგულირების დაქვემდებარებაში მყოფი სექტორების რაოდენობა, კონკურენციის ზოგადი პოლიტიკა თავის მნიშვნელობას დაკარგავს.

**საერთაშორისო ზარების მინიმალური ტარიფები ფიქსირებული ქსელისთვის**



ნახაზი 4.4: გერმანიაში საერთაშორისო ზარების ფასების განვითარება 1999-2002 წწ.

გერმანიის სატელეკომუნიკაციო ბაზრის დერეგულირების პირველ წლებში ინტენსიურმა კონკურენციამ საერთაშორისო ზარებზე ფასების მნიშვნელოვანი კლება გამოიწვია.

**ძირითადი ცნებები**

- რეგულირება მარეგულირებელი კანონმდებლობა სკრინინგი სიგნალების გაცემა
- ხარჯებზე ორიენტირებული ფასის რეგულირება შემოსავლებზე ორიენტირებული ფასის რეგულირება ფასის ზედა ზღვარის რეგულირება კონკურენტული ბაზრები აუნაზღაურებელი ხარჯები გასახელმწიფოებრიობა საზოგადოებრივი საქონელი სამუელსონის კანონი
- პიგუს გადასახადი ქოუზის თეორემა სერტიფიცირება მუქარის ან საფრთხის შექმნის შემთხვევაში სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენის ან დავალიანების შემთხვევაში სამართლებრივი პასუხისმგებლობა
- ძირითადი საშუალებების დოქტრინა გერმანიის ფედერალური ქსელური სააგენტო

**დავალეები**

**1. ვარემოს სერთიფიკატები ეკოგადასახადების წინააღმდეგ**

ასხენით, რატომ შეიძლებოდა მავნე ნივთიერებების გამოყოფასთან დაკავშირებული ნეგატიური გარე ეფექტების ინტერნალიზაციისათვის, ენერგომატარებლებზე გადასახადებთან შედარებით ვარემოს სერთიფიკატების პრინციპულად უკეთ მისადაგება. რატომ არის ეკოგადასახადების პრაქტიკაში დანერგვა უფრო მარტივი?

**2. მიკროფინანსები**

დიდი ხნის მანძილზე გავრცელებული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ განვითარებად ქვეყნებში არსებული მნიშვნელოვანი საბაზრო ხარვეზების გამო, შეუძლებელი იყო ეფექტური საკრედიტო ბაზრების არსებობა. დროთა განმავლობაში გამოიკვეთა მრავალი დადებითი გამოცდილება მიკროფინანსების ფორმით. საკრედიტო ინსტიტუტები აფორმებენ საკრედიტო ხელშეკრულებებს კრედიტით მოსარგებლე მცირე, შეზღუდულ ჯგუფებთან, რომლებიც თავის მხრივ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე პასუხისმგებელი არიან. რამდენად არის შესაძლებელი საბაზრო ხარვეზების ამ ფორმით აღმოფხვრა?

**3. გაზის სექტორის დერეგულირება**

მანამ, სანამ გაზომონარეგების კომპანიები ფედერალური ქსელური სააგენტოს რეგულირებას დაექვემდებარებოდნენ, აღნიშნულ სექტორში ქსელთან წვდომა რეგულირდებოდა ქსელის პროვაიდერთა ასოციაციებსა და კორპორაციულ და კერძო აბონენტებს შორის ე.წ. „თანამშრომლობის ხელშეკრულებით.“ იმსჯელებთ, კერძო დონეზე შეთანხმებულმა დერეგულირების ამ გამოცდილებამ, რატომ არ გამოიწვია გაზის ბაზარზე უფრო მეტი კონკურენციის არსებობა და გაზის ტარიფის შემცირება.

**4. რკინიგზის სექტორის დერეგულირება**

გერმანიაში რკინიგზის სექტორის დერეგულირების საკითხთან მიმართებაში საკამათო თემაა: უნდა დარჩენილიყო თუ არა სააქციო საზოგადოება გერმანიის რკინიგზა პრივატიზაციის შემდეგ სარკინიგზო ქსელის მფლობელად, თუ სამომავლოდ სარკინიგზო ქსელის მართვა დამოუკიდებელი საჯარო კომპანიის ხელში უნდა გადავიდეს. იმსჯელებთ ორივე შესაძლებლობის დადებით და უარყოფით მხარეებზე სააქციო საზოგადოება გერმანიის რკინიგზის, კონკურენტი კომპანიებისა და საზოგადოების პოზიციიდან.

**გამოყენებული ლიტერატურა**

ვრცელ ინფორმაციას ბაზარზე არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად საჭირო ინსტრუმენტების, ასევე დერეგულირების შესაძლებლობების შესახებ გვთავაზობს Borrmann/Finsinger-ისა (1999) და Knieps-ის (2008) სახელმძღვანელოები.

მნიშვნელოვანი ქსელური სექტორების რეგულირებისა და დერეგულირების მაგალითების ანალიზს იხილათ Knieps/Brunekreeft-ის (2003) მიერ გამოცემულ

კრებულში. გერმანიის სატელეკომუნიკაციო სექტორის დერეგულირების გამოსცდილებას გვიზიარებს Immenga და სხვ. (2001).

გერმანიაში ქსელური სექტორების რეგულირების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ფედერალური ქსელური სააგენტო ([www.bundesnetzagentur.de](http://www.bundesnetzagentur.de)).

## კონკურენციის პოლიტიკა

|            |  |            |
|------------|--|------------|
| <b>5.1</b> | <b>კონკურენციის თეორია</b> .....   | <b>115</b> |
| 5.1.1      | სტატიკური კონკურენციის თეორია .....  | 115        |
| 5.1.2      | დინამიკური კონკურენციის თეორია .....                                       | 118        |
| 5.1.3      | ეკოლოგიური კონკურენციის თეორია .....                                       | 120        |
| <b>5.2</b> | <b>კონკურენციის პოლიტიკის მოდელები</b> .....                               | <b>120</b> |
| 5.2.1      | სრულყოფილი კონკურენცია .....   | 120        |
| 5.2.2      | ქმედიტუნარიანი კონკურენცია .....   | 122        |
| 5.2.3      | კონკურენციის თავისუფლება .....   | 124        |
| <b>5.3</b> | <b>კონკურენციის პოლიტიკის ინსტრუმენტები</b> .....                          | <b>124</b> |
| <b>5.4</b> | <b>მაგალითი: კონკურენციის პოლიტიკის<br/>ინსტრუმენტები გერმანიაში</b> ..... | <b>126</b> |



### სწავლების მიზნები

- საბაზრო გარიგებები საზოგადოებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულად ეფექტიანი მხოლოდ მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის კონკურენციის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი. ანუ მაშინ, როდესაც არც ერთ მიმწოდებელსა თუ მომხმარებელს არ შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე საბაზრო ფასზე გავლენის მოხდენა.
- სტატიკური კონკურენციის თეორია გვიჩვენებს, რომ სრულყოფილი კონკურენციისგან განსხვავებით, მიწოდების მონოპოლიას მიყვავართ მაღალ საბაზრო ფასამდე, ბაზრის არასაკმარის უზრუნველყოფამდე, მიმწოდებლის მონოპოლიურ მოგებამდე და საზოგადოებრივი კეთილდღეობის შემცირებამდე.
- დინამიკური (მრავალპერიოდული) კონკურენციის თეორიაში დროებითი მონოპოლიები ხელს უწყობენ ინოვაციების განვითარებას მაშინ, როდესაც კონკურენციის ევოლუციურ თეორიაში, კონკურენცია გვევლინება, როგორც ერთგვარი აღმოჩენის მეთოდი, ბაზრის ჯერაც გამოუყენებელი მანქანების ძიების გზაზე.
- ქმედითუნარიანი კონკურენციის პოლიტიკის მოდელი ბაზრის შედეგებისა და ქცევების შეფასებისგან გამოყოფს იმ ჩარევებს, რომლებიც ბაზრის სტრუქტურის შესაცვლელად არის საჭირო.
- თავისუფალი კონკურენციის მოდელი კი, პირიქით, გვაფრთხილებს ბაზრის სტრუქტურაში მარეგულირებელი ჩარევების შესახებ და ამის ნაცვლად გამოადის წესრიგის პოლიტიკის ღონისძიებების უპირატესობის დამკველად, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ქმედითუნარიანი საფასო სისტემის უზრუნველყოფა.
- კონკურენციის პოლიტიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს წარმოადგენს კარტელის აკრძალვა, საბაზრო ძალაუფლებით არაკეთილსინდისიერად სარგებლობის დასჯა და კომპანიების გაერთიანებების კონტროლი. ისინი მოქმედებენ კონკურენციის პოლიტიკის ზოგადი თამაშის წესების, ასევე ბაზრის გამჭვირვალობისა და ახალი პროდუქტების მეტისმეტად სწრაფი გაყალბებისგან დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებების თანხლებით.
- გერმანიის კონკურენციის პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ მიმართული კანონი (GWB – Gesetz gegen Wettbewerbsbeschränkungen), რომელიც ცალსახად გამომდინარეობს ქმედითუნარიანი კონკურენციის მოდელიდან. უცხოური კონკურენტებისათვის შიდა ბაზრების გახსნამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გერმანიაში ინტენსიური კონკურენციის უზრუნველყოფას. 2007 წლიდან მოხდა გერმანიის კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის სტანდარტების ევროპულ სტანდარტებთან მისადაგება.

### 5.1 კონკურენციის თეორია

ჯერ კიდევ პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსები, განსაკუთრებით ადამ სმიტი (1776), ხაზს უსვამდნენ კონკურენციაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოწყობის მნიშვნელობას, კეთილდღეობის მზარდი ეფექტიანობის თვალსაზრისით. კონკურენციის თეორიის შემდგომი განვითარებისას, აღნიშნული ჰიპოთეზის მიკროეკონომიკური დასაბუთება განსაკუთრებული პრიორიტეტით სარგებლობდა. არგუმენტაცია თავდაპირველად მოყვანილ იქნა სტატიკური მოდელის ფარგლებში, რომელიც წარმოების ფაქტორების მოცემული ალტერნატივიდან, მომხმარებელთა არსებული პრიორიტეტებიდან და ტექნიკური ცოდნის სტაბილური დონიდან გამომდინარეობს. სტატიკური კონკურენციის თეორია მიზნად ისახავდა ამ ვარაუდების გათვალისწინებით გაანალიზებინა, თუ რა გავლენას ახდენს ბაზრის შედეგებზე, ე.ი. ეკონომიკაში საქონლით უზრუნველყოფის არსებულ დონეზე, სხვადასხვა, უკვე არსებული ბაზრის სტრუქტურები. ამის საწინააღმდეგოდ, დინამიკური კონკურენციის თეორია ითვალისწინებს ბაზრის შედეგების საპასუხო ზემოქმედებას ბაზრის სტრუქტურაზე.

#### 5.1.1 სტატიკური კონკურენციის თეორია

სტატიკური კონკურენციის თეორიის ამოსავალი წერტილი იმ პირობების დახასიათებაა, რომლებიც საკვლევ ბაზრებზე რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით არიან გაბატონებულნი. ხარისხობრივ მახასიათებლებს, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნებიან ბაზრის სრულყოფილობის ხარისხი, ბაზრის გამჭვირვალობის მასშტაბი, ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობა და ბაზრის მონაცემების ცვლილებებზე ბაზრის მონაწილეთა რეაქციის სისწრაფე. ბაზრების რაოდენობრივი დახასიათება გამომდინარეობს ბაზარზე გამოსული მიმწოდებლებისა და მომხმარებლების რაოდენობიდან. ამასთან, იგი ყველაზე მარტივი ფორმით, განასხვავებს მიწოდებისა და მოთხოვნის მხარეს არსებულ ერთ, რამდენიმე და ბევრ მონაწილეს და ამდენად, ექვემდებარება ნახაზზე, 5.1. გამოსახულ ტიპოლოგიას. ექსტრემალურ შემთხვევებში ადგილი აქვს ორმხრივ (ბილატერალურ) მონოპოლიას ერთი მომხმარებლითა და ერთი მიმწოდებლით, ასევე პოლიპოლიას, რომლის დროსაც ერთმანეთის წინაშე აღმოჩნდება ბევრი მომხმარებელი და ასევე ბევრი მიმწოდებელი.

სტატიკური კონკურენციის თეორიის ეკონომიკურ-პოლიტიკური ხასიათის დასკვნის გასაკეთებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრის შედეგების შედარება, რომელიც წარმოიქმნება სრულყოფილად ფუნქციონირებად ბაზარზე პოლიპოლიისა და მიწოდების მონოპოლიის შემთხვევაში. მონოპოლიის შემთხვევაში, კონკურენტების ბაზარზე შეღწევისათვის შექმნილი დაბრკოლების გამო, ერთი მიმწოდებელი ბევრი მომხმარებლის წინაშე აღმოჩნდება. მათი მოთხოვნის ქცევები სრულყოფილ ბაზარზე გამოიხატება მონოპოლისტისათვის ნაცნობ ფუნქციაში: ფასი-გასაღება:

$$p = p(q) \text{ ამასთან, } \frac{\partial p}{\partial q} < 0 \tag{5.1}$$

|                         |                        |                        |                 |
|-------------------------|------------------------|------------------------|-----------------|
| მოთხოვნა<br>მიმწოდებელი | ერთი                   | რამდენიმე              | ბევრი           |
| ერთი                    | ორმხრივი<br>მონოპოლია  | შეზღუდული<br>მონოპოლია | მონო-<br>პოლია  |
| რამდენიმე               | შეზღუდული<br>მონოპოლია | ორმხრივი<br>ოლიგოპოლია | ოლიგო-<br>პოლია |
| ბევრი                   | მონოპსონია             | ოლიგოპსონია            | პოლი-<br>პოლია  |

ნახაზი 5.1: ბაზრის ფორმების ტიპოლოგია რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით

მიმწოდებლებისა და მომხმარებლების რაოდენობაზე არსებული მონაცემების მიხედვით, განასხვავებენ სხვადასხვა მახასიათებლებს. ყველაზე გავრცელებული ფორმებია მონოპოლია, ოლიგოპოლია, პოლიპოლია და მონოპსონია (ან მოთხოვნის მონოპოლია).

გამარტივების მიზნით, ქვემოთ მოცემულია წრფივი კლებადი მრუდი. ფუნქცია ფასი-გასაღება გვიმარტივებს შევაფასოთ, თუ რა  $p$  ფასად არის შესაძლებელი ბაზარზე განსაზღვრული  $q$  რაოდენობის გასაღება. მიკროეკონომიკური მიწოდების თეორიის თანახმად, მონოპოლისტის მიზანს  $G$  მოგების მაქსიმიზაცია წარმოადგენს, რომელიც წარმოიშვება გაყიდვის შედეგად მიღებულ  $R$  ამონაგებსა და  $C$  საწარმოო ხარჯებს შორის არსებული სხვაობით. როგორც ხარჯები, ასევე ამონაგები, გასაყიდი ფასისა და გასაღებული რაოდენობიდან მიღებული პროდუქტი, დამოკიდებულია მონოპოლისტის მიერ არჩეულ წარმოებულ და გასასაღებელ  $q$  რაოდენობაზე. შესაბამისად ითვლება:

$$G = R(q) - C(q) = p(q) \cdot q - C(q) \quad (5.2)$$


წარმოებული რაოდენობის შემცირება აქ არა მარტო საერთო ხარჯების შემცირებას იწვევს, არამედ იმავედროულად ზრდის მიზნობრივ საცალო ფასს. (5.2.)-ის მაქსიმიზაციიდან გამომდინარეობს, რომ მონოპოლისტი მოგების მაქსიმუმს აღწევს პროდუქციის იმ რაოდენობის შემთხვევაში, როდესაც პროდუქციის შემდგომი გაფართოებისათვის საჭირო დამატებითი, იგივე ზღვრული ხარჯები  $C'(q) = \partial C / \partial q$  ზუსტად შეესაბამება გასაღების გაფართოების შედეგად მიღებულ ზღვრულ ამონაგებს  $R'(q) = \partial R / \partial p$ . აქედან გამომდინარე,

$$G' = 0 \rightarrow R'(q) = C'(q) \quad (5.3)$$

ფიქსირებული ზღვრული ხარჯებისა და წრფივად შემცირებადი ზღვრული ამონაგების ფუნქციის შემთხვევაში, როგორც ამას ნახაზი 5.2. გვიჩვენებს, გრაფიკულად, ზღვრული ხარჯებისა და ზღვრული შემოსავლის მრუდების გადაკვეთის  $M$  წერტილთან მიიღება მონოპოლისტის მოგების მაქსიმუმი. მას შეესაბამება  $N$  წერტილი, ე.წ. კურნოტის-წერტილი (Cournot Point) ფასი-გასაღება-ფუნქციაზე, რომელიც ადგენს მოგების მაქსიმალურ  $q_M$  რაოდენობას და მოგების მაქსიმალურ  $p_M$  ფასს. თუ წარმოების ზღვრული ხარჯები საშუალო საწარმოო  $C/q$  ხარჯებს ემთხვევა, მონოპოლისტი  $q_M$  რაოდენობის გაყიდვის შემთხვევაში, იღებს  $q^M$

$\cdot p_M$  მოცულობის შემოსავალს, რომელიც შეესაბამება  $O_{q_M} N_{p_M}$  მართკუთხედს. იმავედროულად წარმოიშობა საერთო საწარმოო ხარჯები  $(C/q_M) \cdot q_M = C$ , რომელიც გამოხატულია  $O_{q_M} M_{p_K}$  მართკუთხედის საშუალებით. შედეგად ვიღებთ  $q_M \cdot (p_M - p_K)$  რაოდენობის მონოპოლიურ მოგებას, რომელიც  $p_M p_{KMN}$  მართკუთხედით იზომება.

მონოპოლიისგან განსხვავებით, პოლიპოლიის შემთხვევაში, რომელიც სრულყოფილ ბაზარზე ასევე სრულყოფილი კონკურენციის საბაზრო ფორმას წარმოადგენს, ბევრი მიმწოდებელი ხვდება ბევრ მომხმარებელს. ცალკეულ მიმწოდებელს, ამდენად, თავისი გასაღების რაოდენობის რეგულირებით არ შეუძლია საბაზრო ფასზე გავლენის მოხდენა. მისთვის საბაზრო ფასი წარმოადგენს ციფრს, რომელსაც იგი უნდა მოერგოს, შეარჩიოს რა მაქსიმალური მოგებისათვის ოპტიმალური პროდუქციის რაოდენობა. როგორც ეს 3.1-ში იყო ნაჩვენები, სრულყოფილი კონკურენციის პირობებში მწარმოებელი მიმწოდებელი მაქსიმალურ მოგებას აღწევს, როდესაც წარმოების ზღვრული ხარჯები წინასწარ არსებულ საბაზრო ფასს ემთხვევა. თუ ზღვრული ხარჯები წარმოების საშუალო ხარჯებს აღემატება – წარმოიშობა მოგება. ბაზრის სრულყოფილი გამჭვირვალობის, ბაზარზე შეუზღუდავი დამგების და მყისიერი რეაგირების შემთხვევაში, სხვა მიმწოდებლებისათვის, რომლებიც იმავე საწარმოო ტექნიკითა და იმავე ხარჯებით მოქმედებენ, ყალიბდება ბაზარზე შესვლის სტიმული. დამატებითი მიწოდება ხელს უწყობს საბაზრო ფასის დაცემას, მანამ, სანამ ყველა მიმწოდებლისათვის ზღვრული ხარჯები არ დაემთხვევა საშუალო საწარმოო ხარჯებს. აღნიშნულ სიტუაციაში ახალ კონკურენტებს ბაზარზე შემოსვლისთვის მოტივაცია აღარ აქვთ.



ნახაზი 5.2: მონოპოლიისა და პოლიპოლიის შედარება

სრულყოფილი კონკურენციის დროს საბაზრო წონასწორობა მდებარეობს  $K$  წერტილში, სადაც  $C'$  მიწოდების მრუდი კვეთს  $p(q)$  მოთხოვნის მრუდს. სამაგიეროდ  $M$  წერტილში,  $C'$  ზღვრული ხარჯებისა და  $R'$  ზღვრული შემოსავლის მრუდების გადაკვეთის წერტილში, წარმოიქმნება მონოპოლიური გადაწყვეტა. კურნოტ  $N$  წერტილის ზემოთ, მოთხოვნის მრუდზე წარმოიქმნება შესაბამისი მონოპოლიური ფასი.  $p_M p_K MN$  მართკუთხედი ზომავს მონოპოლიურ მოგებას,  $NMK$  სამკუთხედი – მონოპოლიით გამოწვეულ კეთილდღეობის დანაკარგს.

$C'$  ზღვრული ხარჯების მრუდი შესაძლებელია ასევე განვიხილოთ, როგორც მიმწოდებელთა დიდი რაოდენობის შემთხვევაში წარმომადგენელი ზღვრული ხარჯების რაოდენობა, რომელიც სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, ყოველთვის ემთხვევა  $C/q$  საშუალო საწარმოო ხარჯებს. ამ შიპოთეზის თანახმად,  $pk$  ფასის დროს, ზღვრული ხარჯებისა და ფასი-გასაღება-ფუნქციის  $K$  გადაკვეთის წერტილში, მიიღება კონკურენტულ ბაზარზე მიწოდებული  $q_k$  რაოდენობა. მიწოდების მონოპოლიასთან შედარებით, ბაზარზე სრულყოფილი კონკურენციის დროს, გასაღებელი რაოდენობა მეტია, ხოლო საბაზრო ფასი ნაკლებია. ნახაზზე 5.2. გამოსახული  $NMK$  სამკუთხედი ასახავს მომხმარებლის დანაზოგის კლებას და აქედან გამომდინარე, მონოპოლიის გამო საზოგადოებრივი კეთილდღეობის შემცირებას. მონოპოლური მოგების რაოდენობაში, რომელიც შეესაბამება  $p_M p_K MN$  მართკუთხედს, მომხმარებლის დანაზოგი მონოპოლისტებზე გადანაწილდება. არსებული რესურსების საზოგადოებისათვის ოპტიმალური გამოყენება, ბაზრის მაქსიმალური უზრუნველყოფა და მონოპოლური მოგების თავიდან აცილება, კონკურენციის თეორიის სტატიკურ საფუძვლებში, სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის ფორმას მონოპოლური ბაზრის ფორმისაგან განასხვავებს.

**5.1.2 დინამიკური კონკურენციის თეორია**

სრულყოფილი კონკურენციის იდეალური სურათი, ცხადია, ეკონომიკურ რეალობაში არსებული კონკურენციის პროცესების აღსაწერად და შესაფასებლად მხოლოდ პირობითად გამოიყენება. ამიტომ, მიკროეკონომიკური წარმოებისა და მოთხოვნის თეორიამ სტატიკური ფასწარმოქმნის მოდელის შიპოთეზებისა და შედეგების მოდიფიკაციაზე იზრუნა. მაგალითად, გათვალისწინებულ იქნა, წარმოების განუყოფლობა და აქედან გამომდინარე, წარმოების მოცულობაზე დამოკიდებული ხარჯების მიმდინარეობა, პროდუქტების დიფერენცირება, რაც გასაყიდი პროდუქტების არაერთგვაროვნებას იწვევს, ან პოტენციური მიმწოდებლების ბაზარზე შესვლის შეზღუდვები. კონკურენციის ფენომენის ანალიზისათვის სტატიკური მიკროეკონომიკური მოდელის საფუძვლების გამოყენება ბევრისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მაგალითად, ჯოზეფ ელიოზ შუმპეტერის (1911; 1942) შრომების მიხედვით შექმნილი დინამიკური კონკურენციის თეორია, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონკურენციის პროცესში ბაზრის პირობები მუდმივ ცვლილებებს განიცდიან. აღნიშნული თეორიის თანახმად, მეწარმეთა პერმანენტული ზრძოლა ბაზრის წილისათვის მუდმივად იწვევს ახალი პროდუქტების და წარმოების მეთოდების შემოტანის აუცილებლობას. მსგავსი დინამიკური კონკურენციის შედეგად, პოინერი მეწარმეები, რომლებიც ხარისხობრივ და ტექნოლოგიურ ინოვაციებს ნერგავენ, დიდ მოგებაზე გადაიან.

**ჯოზეფ ელიოზ შუმპეტერი და დინამიკური მეწარმეები**

ჯოზეფ ელიოზ შუმპეტერი (1883-1950), დაიბადა ტრიუმში (ჩეხეთი), მონრავიელი ფეიქრის ოჯახში. ვენის უნივერსიტეტში სამართლისა და ეკონომიკის შესწავლის შემდეგ, 1911 წელს იგი მიწვეულ იქნა გრაციის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორად. 1919 წელს მცირე ხნით იგი იყო ავსტრიის ფინანსთა მინისტრი. მოგვიანებით, ძირითადად ხელმძღვანელობ-

და ვენის კერძო ბანკს. 1925 წელს იგი მიიწვიეს ბონის უნივერსიტეტის პროფესორად. 1932 წლიდან შუმპეტერი გადავიდა ჰარვარდში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ასწავლიდა. იგი განსაკუთრებით უჭერდა მხარს რაოდენობრივი კონიუნქტურის კვლევას და იყო *Econometric Society*-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მისი მთავარი შრომებია: ეკონომიკური განვითარების თეორია. მეწარმეთა მოგების კვლევა, კაპიტალი, კრედიტი, სარგებელი და კონიუნქტურის ციკლი (ბერლინი, 1911); *Business Cycles. A Theoretical, Historical and Statistical Analysis of the Capitalist Process, Vol. I + II* (ნიუ-იორკი, 1939); *Capitalism, Socialism and Democracy* (ლონდონი, 1942), *History of Economic Analysis* (ნიუ-იორკი, 1954).

შუმპეტერი ითვლება მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ეკონომისტად. ამის მიზეზია ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც იგი თავის შრომებში საბაზრო ეკონომიკის სისტემების საშუალო და გრძელვადიანი დინამიკის, ანუ კონიუნქტურისა და განვითარების ანალიზის მიმართ ამჟღავნებდა. აღნიშნული დინამიკის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ინოვაციები, რომელთა საშუალებითაც წარმოების პროცესის დინამიკურობა კვლავ იწვევენ ბაზრის უთანაბრობას. აღნიშნული ინოვაციები შესაძლოა, მაგალითად, გამოიხატებოდეს ახალი პროდუქტების განვითარებაში ან წარმოების ახალი მეთოდების დანერგვაში, რაც ხელს უწყობს საბაზრო მიწოდების ან საბაზრო მოთხოვნის შეცვლას. ბაზრის უთანაბრობის შედეგად, ასეთი მეწარმეებისთვის წარმოიქმნება დროებითი მონოპოლური მოგება. ახალ საბაზრო წონასწორობასთან ადაპტაცია შესაძლებელია ინოვაციების გამოჩენითა და ინოვაციის დიფუზიით კონკურსში მონაწილე ყველა პირთან მიმართებაში, მანამ, სანამ საბოლოოდ არააირ მონოპოლურ მოგებას არ ექნება ადგილი. საბაზისო ინოვაციებსა და ნაკლებად მნიშვნელოვან გამოგონებებს შორის დიფერენცირების მაგალითზე, შუმპეტერი ცდილობდა, ეკონომიკის განვითარებაში გრძელი ტალღების გამოჩენა მოკლევადიანი კონიუნქტურული ცვლილებებისგან გაემიჯნა. კონიუნქტურის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბანკო კრედიტები, რომლებიც დინამიკურ მეწარმეებს ინოვაციების ინვესტირების საშუალებას აძლევენ. შუმპეტერის გვიანდელ ნაშრომში “დინამიკური საწარმოები” ჩაანაცვლა მსხვილი საწარმოების კვლევითი განყოფილებების მიერ ინოვაციების მიზანმიმართულმა ძიებამ. ვინაიდან, მსხვილ საწარმოებს კვლევისათვის მეტი სახსრები გააჩნიათ, შუმპეტერი სწორედ ამ უწყვეტი ინოვაციური საქმიანობის შედეგად მიიჩნევდა მიმწოდებელთა კონცენტრაციის ტენდენციას და აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი მონოპოლიის წარმოქმნის შესაძლებლობას. თავის დემოკრატიის თეორიაში, შუმპეტერი მსგავსი მსხვილი საწარმოების მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაუფლების სამიშრობაზე მიუთითებს.

სტატიკური კონკურენციის თეორიის თვალსაზრისით, აღნიშნული მოგებები მონოპოლიურ მდგომარეობაზე კი არ მიუთითებს, არამედ იგი წარმოადგენს ახალი პროდუქტების და წარმოების მეთოდების შემოღებასთან დაკავშირებული რისკის საფასურს. როგორც კი მოიხსნება ბაზარზე შესვლის შეზღუდვა, დინამიკური კონკურენციის თეორიის თანახმად, მსგავსი დამატებითი მოგებები ფალსიფიკატორების გამოჩენის გამო პერმანენტულ ეროზიას ექვემდებარება.



ვინაიდან კონკურენცია ამ თვალსაზრისით აღქმულია როგორც მუდმივად არსებული შეტევისა და დევნის ფაზების დინამიკური შედეგი, სტატიკური თეორიის გაგებით, წონასწორობის მდგომარეობა ვერ იარსებებს.

### 5.1.3 ევოლუციური კონკურენციის თეორია

ასე უწოდებდა ფრიდრიხ აუგუსტ ფონ შაიეკი (1968) კონკურენციას, უპირველეს ყოვლისა, როგორც ძიების პროცესსა და აღმოჩენის მეთოდს, რომლის დროსაც, ბაზრის ცალკეულ მონაწილეებს ბაზრის სხვა პარტნიორების პრიორიტეტებისა და რეაქციების შესახებ მხოლოდ არასრული წარმოდგენა აქვთ. ბაზარზე ახალი შანსების ძიებისა და მათი გამოყენებისკენ სწრაფვა, ასევე კონკურენტების მხრიდან შევიწროების რისკები, მეწარმეებს მუდმივად უბიძგებს წარმოების ახალი მეთოდების გამოყენებისა და ახალი პროდუქტების შეთავაზებისაკენ. ადაპტაციის ამ პროცესში ფასების სისტემის მუდმივი ცვლილებები მიუთითებენ ახალი გამოყენებელი საბაზრო შანსების არსებობაზე. კონკურენციის აქტივობებს თან ახლავს მიმწოდებლებისა და მომხმარებლების შესწავლის პროცესი, რაც სამომავლო ქცევებს განაპირობებს. ევოლუციური კონკურენციის ეს თეორიაც რთულად ინტეგრირდება სტატიკური მიკროეკონომიკური კონკურენციის მოდელის სქემაში.

## 5.2 კონკურენციის პოლიტიკის მოდელები

კონკურენციის პოლიტიკის ღონისძიებების ფორმულირებისა და მათი გატარებისათვის აუცილებელია დასახული მიზნის სიცხადე. თავისთავად ცნება კონკურენცია არანაირ შესაბამის მიზნის ფორმულირებას არ გვთავაზობს. ამიტომ, თეორიულმა კონკურენციის პოლიტიკამ განავითარა სხვადასხვა მოდელი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კონკურენციის პოლიტიკის მიზნების ოპერაციონალიზაცია და მიზნის შესაბამისი ინსტრუმენტების განსაზღვრა. ვინაიდან, აღნიშნული მოდელები კონკურენციის სხვადასხვა თეორიას ეფუძნებიან, მათ შეფასებებში მნიშვნელოვანი განსხვავებები იჩენს თავს.

### 5.2.1 სრულყოფილი კონკურენცია

სტატიკური ნეოკლასიკური ფასის თეორიიდან უშუალოდ გამომდინარეობს კონკურენციის პოლიტიკის თვალსაზრისით სრულყოფილი კონკურენციის მოდელი. იგი ხასიათდება ბაზრის მონაწილეთა დიდი რაოდენობით, როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხარეზე, ყველა კონკურენტისათვის ბაზრის მაქსიმალური გამჭვირვალობით და ბაზარზე შესვლის თავისუფლებით. აქედან გამომდინარე, კონკურენციის პოლიტიკის ამოცანაა, შეიმუშავოს შესაბამისი ღონისძიებები ბაზარზე რეალურად არსებული პირობების სრულყოფილი კონკურენციის მდგომარეობასთან მაქსიმალური მიახლოებისთვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ უკანასკნელის წმინდა სახით არსებობა არც არის შესაძლებელი. სრულყოფილი კონკურენციის მოდელი, ამგვარად, უგულვებელყოფს დინამიკური კონკურენციის თეორიის გამოცდილებას იმის თაობაზე, რომ რაოდენობ-

რივი და ტექნიკური სიახლეების დანერგვისათვის აუცილებელია ინოვაციონებისთვის მოკლევადიანი მონოპოლიური მდგომარეობის არსებობა.

#### ფრიდრიხ აუგუსტ ფონ შაიეკი და ლიბერალიზმი

ფრიდრიხ აუგუსტ ფონ შაიეკი (1899-1992) დაიბადა ვენაში, სწავლობდა სამართალს, ეკონომიკასა და ფსიქოლოგიას ვენის უნივერსიტეტში. ხარისხი დაიცვა სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებებში. 1927 წლიდან იგი ლუდვიგ ფონ მიზესთან ერთად ხელმძღვანელობდა ავსტრიის კონიუნქტურული კვლევის ინსტიტუტს. 1931 წელს ის მიიწვიეს ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. 1950 წელს იგი გადავიდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, ხოლო 1962 წელს მიწვეულ იქნა ბრაიზგაუს ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორად. 1969 წლიდან ის ასევე ასწავლიდა ზალცბურგის უნივერსიტეტში, 1974 წელს მან გუნარ მიურდალთან ერთად მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკური მეცნიერებების დარგში. მის მთავარ შრომებს განეკუთვნებიან: *Prices and Production* (ლონდონი, 1935); *The Road to Serfdom*, *გზა მონობისკენ* (ლონდონი, 1944); *The Constitution of Liberty*, თავისუფლების კონსტიტუცია (ლონდონი, 1960), კონკურენცია, როგორც აღმოჩენის მეთოდი (ფრაიბურგი, 1968).

ფონ შაიეკი თანამედროვე ლიბერალიზმის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. თავისი განვლილი ცხოვრებისეული გზით, მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ლიბერალური ეკონომიკის სამ რეგიონალურ ვარიანტზე: ავსტრიულ სკოლაზე, ჩიკაგოს სკოლასა და ფრაიბურგის სკოლაზე. როგორც 1947 წელს *Mont Pelerin Society*-ის დამაარსებელმა, მან ხელი შეუწყო მსოფლიოს მასშტაბით ლიბერალური ეკონომიკის ქსელის შექმნას. ფონ შაიეკის ნაშრომი გაჯერებულია სოციალიზმისა და გეგმური ეკონომიკის დაპირისპირებით. გეგმური ეკონომიკის სისტემები, ფონ შაიეკის მიხედვით, „ცოდნის მითვისებას“ ექვემდებარებიან. ვინაიდან მათ არ შეუძლიათ სრულყოფილი წარმოდგენა შქონდეთ ყველა მნიშვნელოვან საბაზრო მონაცემებზე, როგორც ამას საბაზრო ფასი მოიცავს, სახელმწიფო დაგეგმვის საფუძვლებს მივყავართ პროდუქტების არასწორი ორგანიზებისა და რესურსების გაფლანგვისკენ, რასაც თავის მხრივ, კვლავ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევები მოჰყვება. საბოლოოდ ისახება სახელმწიფო დესპოტიზმისკენ მიმავალი გზა, რომელიც ახშობს ინდივიდუალურ, თავისუფალი ქმედების უფლებას. სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული თავისუფალი ქმედების უფლება, პირიქით, უზრუნველყოფს იმ ბაზრების ფუნქციონირებას, რომლებზეც ფასები მრავლისმომცველი საკომუნიკაციო ქსელების სახით მოქმედებენ. ისინი მართავენ ევოლუციურ პროცესს, რომელიც ძიებისა და აღმოჩენის მეთოდში კვლავინდებურად ბაზრის ახალი სტრუქტურების გაჩენას უწყობს ხელს. ისინი, როგორც „სპონტანური წესრიგები“ წარმოადგენენ ადამიანური ქმედებების და არა ადამიანური გეგმების შედეგს. ფონ შაიეკი ბაზრის სტრუქტურაზე გავლენის მოხდენის მიზნით, სახელმწიფო ჩარევებს, ცხადია, არ ემხრობოდა.


იგი არც იმ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, რომ მსხვილ საწარმოებში წარმოების სიდიდესთან დაკავშირებული უპირატესობებით სარგებლობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მათ შევადარებთ უფრო მცირე საწარმოებში საწარმოო ფაქტორებით ნაკლებად ეფექტიან სარგებლობას.

### 5.2.2 ქმედითუნარიანი კონკურენცია

კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფილი კონკურენციის კონცეფციაზე ორიენტირებით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ, რომლის თეორიული მოსაზრებებიც მკვეთრად განსხვავდება ეკონომიკური რეალობისგან, ხელი შეუწყო კონკურენციის პოლიტიკის ახალი მოდელის ჩამოყალიბებას, რომლის ამსახველი ტერმინის – ქმედითუნარიანი კონკურენცია – დამკვიდრებაც ჯონ კლარკის (1940) სახელს უკავშირდება. ქმედითუნარიანი კონკურენციის კონცეფცია გამოდის ფასის ნეოკლასიკური თეორიის შემდგომი განვითარებისა და დინამიკური კონკურენციის თეორიის გამოცდილებიდან. იგი ცდილობს განავითაროს კრიტერიუმები, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ იმ ბაზრის პირობებშიც, რომლებშიც შორს არიან არაბრუნადი სრულყოფილი კონკურენციის მოდელიდან, კონკურენციის პოლიტიკის თვალსაზრისით, დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ამასთან, ბაზრის რეალური პირობებისა და კონკურენციის შეფასება, ჩვეულებრივ, ხორციელდება შემდეგნაირად: სტრუქტურა-ქცევა-შედეგი-მეთოდი. როგორც ეს ასახულია ნახაზზე 5.3., აღნიშნული მიდგომა გულისხმობს ბაზრის სტრუქტურის პირდაპირ გავლენას საბაზრო ქცევაზე, რაც თავის მხრივ, უშუალოდ ბაზრის შედეგებზე აისახება.

- ბაზრის სტრუქტურის კრიტერიუმები, მოიცავენ ისეთ საბაზრო სიდიდეებს, რომლებზეც ცალკეული მეწარმეები მოკლე დროში გადაწყვეტს გავლენას ვერ მოახდენენ. ამ სიდიდეებს უპირველესად მიეკუთვნება ბაზრის მონაწილეთა რაოდენობა, მასშტაბსა და საბაზრო წილს, ასევე ბაზრის გამჭვირვალობის ხარისხსა და ბაზარზე შესვლის შეზღუდვის პირობებს.
- საბაზრო ქცევის კრიტერიუმები მოიცავენ კონკურენციაში ჩართული მეწარმეების სტრატეგიულ სიდიდეებს, ანუ ფასის, პროდუქტისა და რაოდენობის პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და ინოვაციურ აქტივობებს, სადაც აღნიშნული ინსტრუმენტების არჩევისა და დოზირებისთვის ბაზრის სტრუქტურის გავლენა ძალიან დიდია.
- და ბოლოს, ბაზრის შედეგების, როგორც საბაზრო ქცევის შედეგის გაზომვა ფასის, ხარჯების, მოგების, ინოვაციების ტემპის ან ბაზრის უზრუნველყოფის შესახებ მონაცემების საშუალებით.

ბაზრის სტრუქტურის, საბაზრო ქცევისა და ბაზრის შედეგებისთვის არსებული კრიტერიუმების საშუალებით, ქმედითუნარიანი კონკურენციის კონკურენციულ-პოლიტიკური მოდელის თანახმად, ემპირიულმა ტესტებმა ცალკეულ შემთხვევაში უნდა დაადგინონ, რამდენად შესაბამისად მალაღია ბაზარზე მეწარმის მოგება, რამდენად არასაკმარისად შეიძლება ჩაითვალოს ბაზრის უზრუნველყოფა და რამდენად დაბალია ინოვაციების დანერგვის ტემპი.



ნახაზი 5.3: სტრუქტურა-ქცევა-შედეგი- მეთოდის მახასიათებლები

ყველაზე მარტივი ფორმით საწყისი წერტილი გულისხმობს ბაზრის სტრუქტურის უშუალო გავლენას საბაზრო ქცევაზე, რაც თავის მხრივ, უშუალოდ ბაზრის შედეგებზე აისახება. ბაზრის შედეგების ცვლილებები, შესაბამისად, მხოლოდ ბაზრის სტრუქტურაში ჩარევის გზით მიიღწევა.

თუ აღნიშნული ტესტების საფუძველზე აღმოჩნდება, რომ კონკურენციის მნიშვნელოვანი ფუნქციები არ სრულდება, აუცილებელი გახდება კონკურენციის პოლიტიკის შესაბამისი საბაზრო ჩარევები.

ეჭვგარეშეა, რომ სტრუქტურა-ქცევა-შედეგი მეთოდის წერტილის სუსტ მხარეს შეფასების კრიტერიუმების დიდი რაოდენობა და კონკურენციის პოლიტიკის მეშვეობით სასურველი ბაზრის პირობების ბუნდოვანება წარმოადგენს. კონკურენციის ყველა პროცესის დინამიკის გათვალისწინებით, ალბათ რთული იქნება მისი მხოლოდ ერთადერთი გამაფრთხილებელი რეკომენდაციის ფორმით დადგენა. კონკურენციის პოლიტიკის მოდელის დაზუსტების მცდელობა უკავშირდება ერჰარდ კანტცენბახს (1967) კონცეფციას კონკურენციის ოპტიმალური ინტენსივობის შესახებ. იგი სასურველი ბაზრის შედეგის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, განიხილავდა წარმოების ფაქტორების მართვას მათ ყველაზე პროდუქტიულ გამოყენებაში, პროდუქტთან და მეთოდებთან დაკავშირებული ინოვაციების სწრაფ დანერგვას და პროდუქტის მოქნილ ადაპტაციას ბაზრის მონაცემებთან. როგორც კონკურენციის ოპტიმალური ინტენსივობის მისაღწევად საჭირო ადეკვატური ბაზრის სტრუქტურა და აქედან გამომდინარე, როგორც კონკურენციის პოლიტიკის რეფერენტული მიმართების ღონისძიებები, აღნიშნული კონცეფციიდან გამომდინარეობს „ფართო ოლიგოპოლია“ პროდუქტების „ზომიერი“ დიფერენცირებითა და ბაზრის „ზომიერი“ გამჭვირვალობით. თუმცა, აღნიშნული ფორმულირებები ინტერპრეტირების ფართო საშუალებას იძლევა.

ქმედითუნარიანი კონკურენციის მოდელის კრიტიკა ძირითადად მიმართულია ერთი მხრივ, ბაზრის სტრუქტურას, ბაზრის ქცევასა და ბაზრის შედეგებს შორის დამოკიდებულებით, გამოკვეთილად ცალმხრივი მიზეზობრივი კავშირის წინააღმდეგ. საფასო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება, რომელთა მიზანიც კონკურენტების შევიწროებაა, შესაძლებელია ბაზრის სტრუქტურის ბაზრის ქცევით გაჯერებას გულისხმობდეს. კონკურენტების საფასო პოლიტიკის შეთანხმება, ბაზრის მონაწილე მხარის დიდი მოგების გათვალისწინებით, პირიქით,

ბაზრის შედეგების მხრიდან ბაზრის ქცევაზე უკურნაქციას იწვევს. მეორე მხრივ, შიშობენ, რომ ქმედითუნარიანი კონკურენციის შეფასების კრიტერიუმების ბუნდოვანება გამოიწვევს საბაზრო პროცესებში კონკურენციის პოლიტიკის დიდი ღირებულებით ჩარევას, რაც საერთო ჯამში დინამიკური კონკურენციის საბოლოო პარალიზების მიზეზი გახდება.

### 5.2.3 კონკურენციის თავისუფლება

ქმედითუნარიანი კონკურენციის შესახებ კონცეფციის საპირისპიროდ, რომლის მთავარი მიზანია კონკურენციის პროცესზე სახელმწიფოს მხრიდან გადამეტებული გავლენის თავიდან აცილება, განვითარდა კონკურენციის თავისუფლების კონკურენციულ-პოლიტიკური მოდელი. ერის შოპმანი (1968) ევოლუციური კონკურენციის თეორიაზე დაყრდნობით, ეკონომიკური მოქმედების თავისუფლებას, ბაზრის ოპტიმალურ უზრუნველყოფას და ძირითადად, ბაზარზე შესვლის შეზღუდვების გაუქმების გზით კონკურენციის დინამიკას, აბსოლუტურად დასაშვებად მიიჩნევს. კონკურენციის პოლიტიკის ამოცანას, კონკურენციული ქცევების ზოგადი წესების შემუშავების გარდა, ყველანაირი ხელშეწყობის ხელშეწყობის ფაქტორის თავიდან აცილება წარმოადგენს. კონკურენციის ბუნებრივი შეზღუდვის შემთხვევაში, რომელიც, მაგალითად, თავს იჩენს მსხვილი სამრეწველო საწარმოების ხარჯების უპირატესობის შედეგად, საჭირო ხდება სახელმწიფო კონტროლის დაწესება, რომლის შედეგადაც კონკურენციის შეზღუდვა თავიდან უნდა იქნას აცილებული.

ბოლო ხანებში ჩიკაგოს ანტიმონოპოლიური საკითხების ანალიზის სკოლის წარმომადგენლები კონკურენციულ-პოლიტიკურ ჩარევებს მაქსიმალურად თავისუფალი კონკურენციის სასარგებლოდ, კიდევ უფრო მეტად ზღუდავენ. მსხვილი საწარმოების ხარჯების უპირატესობა აღარ განიხილება, როგორც ბაზარზე შესვლის პოტენციური შეზღუდვა უფრო მცირე მასშტაბის ფალსიფიკატორებისთვის. იგი მეტწილად გაიგივებულია, არსებული საწარმოო ფაქტორებით სარგებლობისას, მსხვილი საწარმოების პროდუქციის მეტ ეფექტიანობასთან.

ანალოგიურად, სოლიდურ საბაზრო წილსა და მეწარმის მაღალ მოგებას შორის კავშირი აღარ განიხილება საბაზრო ძალაუფლებით სარგებლობის გამოხატულებად, იგი გაიგივებულია კარგად გააზრებულ სამეწარმეო მიღწევასთან. კრიტიკოსები გამოთქვამენ დიდ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, ხომ არ გამოიწვევს მსგავსი მასშტაბური, არაკონტროლირებადი თავისუფალი კონკურენცია გრძელვადიან პერსპექტივაში მეწარმეთა შორის გარიგებების გზით კონკურენციის სრულ აღმოფხვრას და ბაზარზე ახალი კონკურენტების შემოსვლის შეზღუდვას.

### 5.3 კონკურენციის პოლიტიკის ინსტრუმენტები

კონკურენციის პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს უწყობენ კონკურენციის შექმნასა და მის შენარჩუნებას, იყოფიან ორ ჯგუფად. კონკურენციის პოლიტიკის თამაშის წესების შემუშავებით ხდება იმ ჩარჩოების ფორმირება, რომლის მიხედვითაც ეკონომიკაში კონკურენციის პროცესები ხორციელდება. კონკურენციის პოლიტიკის ღონისძიებების ამ პირველ ჯგუფს განეკუთვნება

ბაზრის მონაწილეთა არაკეთილსინდისიერი და უზნეო საქციელის ამკრძალავი საკანონმდებლო ღებულებები. მეორე ჯგუფს ქმნიან კონკურენციის არა თვითნებური შეზღუდვის აღმომფხვრელი ინსტრუმენტები. იგი მოიცავს ბაზრის გამჭვირვალობის გაზრდისა და მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ხელმეწიფო ღონისძიებებს. მათი მიზანია, დააბალანსონ კონკურენციის ხარვეზები, რომლებიც არ უკავშირდება რომელიმე პირის ან ინსტიტუტის მხრიდან ბაზრის ცალკეული მონაწილის განზრახ დისკრიმინაციას. ამის საპირისპიროდ, ღონისძიებათა მესამე ჯგუფი, კონკურენციის პოლიტიკის ინსტრუმენტები სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის თავისთავად შექმნილი შეზღუდვების ფორმით, თავდაპირველად ქმნის კონკურენტების ლიკვიდაციის ან მათთვის ხელშეწყობილ პირობებს. დინამიკური კონკურენციული პოლიტიკის პერსპექტივიდან, ახალი პროდუქტებისა და წარმოების მეთოდების სამართლებრივი დაცვა კონკურენტების მიერ პროდუქციის მეთისმეტად სწრაფი კოპირებისგან, წარმოადგენს ახალ სფეროს, რომელშიც კონკურენციის შეზღუდვა შესაბამისობაში მოდის კონკურენციის პოლიტიკის უპირველეს მიზანთან.

ეჭვგარეშეა, რომ კონკურენციის პოლიტიკის სტრატეგიის ღერძს წარმოადგენს ინსტრუმენტების სამი ჯგუფი, რომელთა მიზანია კონკურენციის თავისთავად შექმნილი შეზღუდვის ლიკვიდაცია. კარტელური პოლიტიკის ინსტრუმენტები ცდილობენ, ხელი შეუშალონ ორი ან მეტი მეწარმის გარიგებას, რომლის დროსაც, ერთი ან რამდენიმე სამეწარმეო სამოქმედო პარამეტრისათვის კენჭისყრის გზით ხდება კონკურენციის გაუქმება. აღნიშნული ინსტრუმენტები შეეხება, როგორც კარტელის საყოველთაო აკრძალვებს, ასევე ბაზარზე შესვლის შეზღუდვის გაუქმებას, რაც თავის მხრივ, ამარტივებს ახალი კონკურენტების გამოჩენას და, შესაბამისად, ართულებს მონოპოლისტური გარიგებების წარმოებას.

ანტიმონოპოლიური სამსახურის კონტროლის ინსტრუმენტები მიზნად ისახავენ, ხელი შეუშალონ რომელიმე საწარმოს მხრიდან ან კარტელური გარიგებების არსებობის შემთხვევაში, მეწარმეთა მთელი ჯგუფის მხრიდან ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის არაკეთილსინდისიერად გამოყენებას. ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის არსებობის ფაქტისთვის კრიტერიუმების დაწესებასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფასის დისკრიმინაციის და ცალკეული დამკვეთისათვის მიწოდებასთან დაკავშირებით ზოიკოტის გამოცხადების აკრძალვას.

და ბოლოს, საწარმოების გაერთიანების (მერჯმის) კონტროლის (ანტიმონოპოლიური კონტროლი) ინსტრუმენტებმა ხელი უნდა შეუშალონ იმ გარემოებას, რომ მერჯმის კონტროლის განხორციელების ხელშეკრულებებისა და კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის გზით შექმნილი მსხვილი გაერთიანებებიდან არ წარმოიშვას კონკურენციის თავისთავად შექმნილი შეზღუდვები. საწარმოების გაერთიანებისათვის ხელშეწყობილი უშუალო ღონისძიებების გარდა, შესაძლებელია ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობისა და არაკეთილსინდისიერად სარგებლობის კრიტერიუმების ამოქმედებაც.



### 5.4 მაგალითი: კონკურენციის პოლიტიკის ინსტრუმენტები გერმანიაში

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკაში არსებობს კონკურენციის პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების მაგალითები, რომლებიც ექვსივე ზემოთხსენებული ჯგუფიდან გამომდინარეობენ. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ მიღებული კანონი (UWG-Gesetz gegen unlauteren Wettbewerb) ადგენს ბაზრის მონაწილეთა კონკურენტული ქცევის წესებს. თავისი დღევანდელი ფორმით, იგი განსაკუთრებით ეწინააღმდეგება კონკურენციაში ჩართული პირების ამორალურ საქციელს, ბაზრის სხვა მონაწილეთა გაცურებასა და შეცდომაში შეყვანას და რეკლამაში კონკურენტის პროდუქციის ნაკლოვანების ხსენებას. ამ პერიოდისთვის გაუქმებულ კანონს ფასდაკლების შესახებ, უნდა გამოეწვია ბაზრის გამჭვირვალობის გაზრდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ დასაშვები ფასდაკლების ოდენობა უნდა ყოფილიყო გასაყიდი ფასის არაუმეტეს 3 პროცენტი და, შესაბამისად, ბოლო მომხმარებლისთვის ფასების შედარებისათვის უკეთესი პირობები შექმნილიყო.

გამჭვირვალე ბაზრის შექმნა მომხმარებელთა უფლებების დაცვისთვის, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის ორგანიზებული და შესაბამისად მხარდაჭერილი, ასევე ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ მიღებული კანონის დანართის §8-ის მე-3 მუხლის თანახმად (1965), მომხმარებელთა დამცველ საზოგადოებებს მიენიჭათ კონკურენციის წესების სამართლებრივი აღსრულების უფლებამოსილება და 1966 წელს დაარსდა საქონლის ხარისხის უზრუნველყოფის ფონდი (Stiftung Waren-test), რომელმაც უშუალოდ უნდა აღმოეხერხა ინფორმაციის ასიმეტრიულობა. 2001 წლიდან კვების, სოფლის მეურნეობისა და მომხმარებელთა დაცვის სამინისტრო, სამინისტროთაგან პირველია, რომელიც აღნიშნული საკითხის მომგვარების სახელით გამოდის და ამით ხაზს უსვამს მომხმარებელთა დაცვის საკითხში სახელმწიფო ვალდებულების განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას.

კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, ასევე პატენტის კანონი გამიზნულია პროდუქტისა და მეთოდების ინოვაციების ხელშეწყობისთვის, ამდენად ისინი ქმნიან ბაზარზე შესვლის შეზღუდვების წარმოქმნის პირობებს. სასაქონლო ნიშნების გაყალბებისა და ბოროტად გამოყენებისგან დაცვა ხელს უწყობს ხარისხიანი პროდუქტის დიფერენცირებას. წარმოებაში გამოყენებადი გამოგონებებისთვის არაუმეტეს 20 წლით უტილიზაციის მონოპოლიის უფლებამოსილების მინიჭება მეწარმე-პროდუქტის ინოვაციის მისი კონკურენტების მხრიდან დაუყოვნებელი იმიტირებისგან იცავს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონკურენციის პოლიტიკის დერძს წარმოადგენს კანონი კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ (*GWB – Gesetz gegen Wettbewerbsbeschaenkung*), რომელიც 1958 წლის 1 იანვარს, თითქმის ათწლიანი მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ შევიდა ძალაში და მას შემდეგ არაერთხელ გადაისინჯა. სხვადასხვა პროექტი, რომელიც წინ უძღვოდა კანონის მიღებას, გაჯერებული იყო სრულყოფილი კონკურენციის პოლიტიკის მოდელით. თუმცა კანონის ფორმულირებისას გათვალისწინებულ იქნა ამ კონცეფციის მხოლოდ გარკვეული მიდგომები. პრაქტიკულ გამოყენებაში აღნიშნული კანონი ქმდითუნარიანი კონკურენციის მოდელზე აკეთებდა აქცენტს. მან დიდი გავლენა მოახდინა 1973 წელს კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონში შეტანილ მე-2 ცვლილებაში, რომლის საშუალებითაც ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე საწარმოს მხრიდან ძალის გადაჭარბების კონტროლისა და ან-

ტიმონოპოლიური სამსახურის კონტროლის ახალი მიდგომები ჩამოყალიბდა. 2005 წელს მიღებული კანონი კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ – მე-7 ცვლილებით, გერმანიის კონკურენციის შესახებ კანონი შესაბამისობაში მოვიდა ევროპული კანონის ძირითად პრინციპებთან, განსაკუთრებით ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების §81-83-თან (დღეისათვის კანონი ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ *101-104 AEUV*). თავის მხრივ, აღნიშნული რეკომენდაციები ორიენტირებული იყო გერმანიის კონკურენციის შესახებ კანონის ძირითად პრინციპებზე და მაინც, საჭირო გახდა მათში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა.

§1-ი ეხება კარტელის პრინციპულ აკრძალვას: აკრძალვაა წარმოებებს შორის შეთანხმებები, საწარმოთა გაერთიანებების გადაწყვეტილებები და ურთიერთშეთანხმებული ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავენ კონკურენციისათვის ხელის შეშლას, მის შეზღუდვას ან გაყალბებას, ასევე კონკურენციაზე გავლენის მოხდენას. მამასადამე ეს ეხება, არამართო ოფიციალურად გაფორმებულ ხელშეკრულებებს, არამედ არაფორმალურ ვარიანტებსაც. კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონის პირველი ვარიანტის სპეციფიკა მდგომარეობდა კარტელის პოლიტიკის სპეციალური რეგულირების მრავალფეროვნებაში, რომლის მიხედვითაც დასაშვები იყო ერთნაირი სავაჭრო პირობების კარტელი, ფასდაკლების კარტელი, სტრუქტურული კრიზისის კარტელი, რაციონალიზაციის კარტელი და ექსპორტისა და იმპორტის კარტელი. ისინი ევროპული კანონმდებლობის თავისუფალ ბაზარზე ძლიერი ორიენტაციის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. სპეციალური რეგულირება შემორჩა მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და ჟურნალ-გაზეთების სექტორში ფასის ვარიანტებისა და კავშირებით. ამის საპირისპიროდ, კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონის §2-ის მიხედვით, ზოგადი სპეციალური რეგულირება ეხება ისეთ კარტელებს, „რომლებიც წარმოქმნილ მოგებაში მომხმარებლების შესაბამისი მონაწილეობით პროდუქტის წარმოების გაუმჯობესებას ან განაწილებას, ან ტექნიკურ და ეკონომიკურ წინსვლას უწყობენ ხელს“, მანამ, სანამ იგი კონკურენციის წარმოქმნილ ხარვეზებთან საჭირო მიმართებაში იმყოფება. ეფექტიანი მართვის თვალსაზრისით, კარტელის განაცხადისა და ნებართვის სისტემა იმავდროულად შეცვალა ლეგალური გამონაკლისების სისტემამ, რომელიც კონკრეტულ მეწარმეებს მოქნილობისა და ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობით უზრუნველყოფს.

კონკურენციის პოლიტიკის რეგულირებები ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მქონე მეწარმეების გავლენის გადაჭარბების კონტროლის მიმართ, ასახულია კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონის §19-ში. აღნიშნული კანონის თანახმად, მნიშვნელოვან ძალაუფლების მქონედ მიიჩნევა კომპანია, რომელიც არცერთ ან არანაირ მნიშვნელოვან კონკურენციას არ ექვემდებარება ან თავის კონკურენტებთან შედარებით, გაცილებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბაზარზე. მათ შესაფასებლად ბაზრის წილის გარდა, გასათვალისწინებელია ასევე ფინანსური შესაძლებლობები, ნედლეულისა და გასაღების ბაზრებთან წვდომა, სხვა საწარმოებთან მათი კავშირები, ბაზარზე შესვლის შეზღუდვები და ბაზრის რეალური პირობები. ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა სავარაუდოა, როდესაც ერთი კომპანია ბაზრის წილის სულ მცირე ერთი მესამედის მფლობელია (სავარაუდო მონოპოლია). რამდენიმე კომპანიის შემთხვევაში ბაზარზე მნიშვნელოვანი ძალაუფლების ფლობა სავარაუდოა, როდესაც სამი ან სამზე ნაკლები კომპანია ერთად ბაზრის წილის 50 პროცენტის ან მეტის მფლობელია, შესაბამისად, როდესაც ხუთი ან ხუთზე ნაკლები კომპანია ბაზრის წილის ორ მესამედს ან უფრო მეტს აკონტროლებს. მსგავსი საბაზრო წილების შეფასებისას, კონკურენციის პოლიტიკისათვის არც თუ უმნიშვნელოა ბაზრის რელევანტობის დადგენა, ანუ გარკვევა, რამდენ რეალურად არსებულ

თუ პოტენციურ კონკურენტს ხვდება მიმწოდებელი ან მომხმარებელი. რელევანტური ბაზრის გამოყოფა მომხმარებელთა თვალსაზრისით, შესაძლებელია ან მიწოდებელი პროდუქტების ტექნიკური მახასიათებლების ან სუბსტიტუციური ურთიერთობების ხარისხის მიხედვით განხორციელდეს. კონკურენციისათვის ზიანის მომტანი გაბატონებული მდგომარეობით სარგებლობის შემთხვევაში, კარტელის ფედერალურ უწყებას შეუძლია აკრძალოს არაკეთილსინდისიერი ქმედება და ბათილად ცნოს შესაბამისი ხელშეკრულებები. კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონის §19-ის მე-4 მუხლის თანახმად, ბოროტად სარგებლობა თავს განსაკუთრებით მაშინ იჩენს, როდესაც ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მქონე კომპანიები სხვა კომპანიების კონკურენტულ შესაძლებლობებს ობიექტური მიზეზების გარეშე ზღუდავენ (შეზღუდვებით ბოროტად სარგებლობა), როდესაც ისინი ბაზარზე ითხოვენ ანაზღაურებას, რომელიც ეფექტიანი კონკურენციის დროს დიდი ალბათობით უბრალოდ არ იარსებებდა, შესაბამისად, რომელიც უფრო არამომგებიანია, ვიდრე მათ მიერ ანალოგიურ ბაზრებზე მსგავსი ტიპის დამკვეთებისგან მოთხოვნილი ანაზღაურება (ექსპლუატაციის ბოროტად გამოყენება), ან როდესაც ბუნებრივი მონოპოლიის დროს, რომელიმე კომპანია კონკურენტებს გონივრულ ფასად არ აძლევს საკუთარ ქსელთან წვდომის საშუალებას.

ბოროტად გამოყენების კონტროლის რეგულაციებს, კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონის §20-ის მე-2 მუხლის თანახმად, ემატება ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მქონე კომპანიების მხრიდან ფასის დისკრიმინაციის აკრძალვა, რომელმაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს ფასდათმობების, როგორც მომხმარებელთა ძალაუფლების შედეგის, თავიდან აცილება. დაადგენს რა ანტიმონოპოლიური სამსახური დარღვევის შესახებ, დაზარალებული კონკურენტები ან ბაზრის სხვა მონაწილეები ჩარმოქმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გამო ზარალის ანაზღაურებაზე აცხადებენ პრეტენზიას. გარდა ამისა, §34-ის პირველი მუხლის თანახმად, ანტიმონოპოლიურ სამსახურს შეუძლია კომპანიებიდან ამოიღოს დარღვევის შედეგად მიღებული სარგებელი. შეგნებული დარღვევის შემთხვევაში, ფულადმა ჯარიმამ §81-ის თანახმად, შესაძლებელია წლიური ზრუნვის 10 პროცენტამდე შეადგინოს.

კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონის პირველად ვარიანტში გათვალისწინებული არ იყო კონკურენციის პოლიტიკის მხრიდან კომპანიების შერწყმის კონტროლი, ვინაიდან, შესაბამისად, კომპანიების შერწყმისა და კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის გზით შესაძლებელი იყო კარტელის აკრძალვისთვის გვერდის ავლა, რითაც კომპანიები კიდევ სარგებლობდნენ, კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონის მე-2 ცვლილებით (1973) შემოღებულ იქნა კომპანიების შერწყმის კონტროლის ინსტრუმენტები. ეს უკანასკნელი ასახულია ასევე ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში.

თუ მოსალოდნელია, რომ შერწყმის გამო ბაზარზე მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე მდგომარეობა ჩარმოიშვას ან გაძლიერდეს, ფედერალურ ანტიმონოპოლიურ სამსახურს კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონის §36-ის პირველი მუხლის თანახმად, შეუძლია, გააუქმოს აღნიშნული შერწყმა. „თუ მონაწილე კომპანიები დაამტკიცებენ, რომ შერწყმის შედეგად კონკურენციის პირობები გაუმჯობესდება და, რომ ეს გაუმჯობესება მონოპოლიური მდგომარეობის უარყოფით მხარეებს გადასწონის“ (§36, მუხლი 1 *GWB*). მსგავსი სიტუაციას აქვს ადგილი, როდესაც საქმე ეხება ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილების შეზღუდვას კომპანიების შერწყმის თავიდან აცილებასთან მიმართებაში. § 42-ის პირველი მუხლის თანახმად, გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს აქვს უფლება, დაუშვას კომპანიების შერწყმა, „თუ ცალკეულ შემ-

თხვევაში მოხდება კონკურენციის შეზღუდვის შეფარდება შერწყმის შედეგად მიღებულ საერთო ეკონომიკურ სარგებელთან ან კომპანიათა შერწყმა გამართლებულია საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესით“.

უკვე ნებადართული კომპანიების ალიანსის ან მსხვილი საწარმოების დანაწევრებას, რომელთა ქმედებებიც კონკურენციას საფრთხეს უქმნის, კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონი, აშშ-ს ანტიმონოპოლიური კანონისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს. თუმცა, §§ 44-46-ის თანახმად, არსებობს 5 დამოუკიდებელი მეცნიერისგან შემდგარი მონოპოლიური კომისია, რომელიც სისტემატიურად წარადგენს ანგარიშს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კომპანიების კონცენტრაციის მდგომარეობის შესახებ და მიუთითებს კანონში ცვლილებების აუცილებლობაზე. ანტიმონოპოლიური კომისია თავის რეკომენდაციებში მუდმივად ამახვილებდა ყურადღებას კონკურენციის პოლიტიკის თვალსაზრისით, მიმწოდებელთა მზარდი კონცენტრაციის პრობლემატიკაზე. იგი ასევე სხვადასხვა ფორმით ცდილობდა იმ გარემოების სტიმულირებას, რომ საჭირო იყო კანონში გაერთიანებული კომპანიების შემდგომი დანაწევრების რეგულაციის შეტანა.

გერმანული ბაზრების უცხოელი კონკურენტებისათვის გახსნის გზით, კონკურენციის შესახებ კანონმა ინტენსიურად უნდა მოახდინოს საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ სიტუაციაზე ორიენტირება. კონკურენციის შესახებ საერთო ევროპული კანონი ევროპის შიდა ბაზარზე გერმანიის ეკონომიკის ფართომასშტაბიანი ინტეგრაციის პროცესში საკმაოდ განვითარებულია. და მაინც, გერმანიისა და ევროპის საგარეო ვაჭრობის სწრაფი ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, ისიც უჭახება შეზღუდვებს. მის ადგილს იკავებს ორმხრივი შეთანხმება და მსოფლიო ვაჭრობის რეგულაციის ინსტიტუტები, განსაკუთრებით კი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (*World Trade Organization, WTO*).

**ძირითადი სწავლები**

- სტატიკური კონკურენციის თეორია  
დინამიური კონკურენციის თეორია  
ევოლუციური კონკურენციის თეორია
- ქმედითუნარიანი კონკურენცია  
სტრუქტურა-ქცევა-შედეგი-შეთოლი  
კონკურენციის ოპტიმალური ინტენსივობა  
ჩიკაგოს ანტიმონოპოლიური საკითხების ანალიზის სკოლა
- კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ  
პატენტის კანონი  
კანონი კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ

კარტელის აკრძალვა  
ლეგალური გამონაკლისის სისტემა  
ბოროტად გამოყენების კონტროლი  
რელევანტური ბაზარი  
შერწყმის კონტროლი  
ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა  
დანაწევრება (დეკარტელიზაცია)  
სამინისტროს ნებართვა  
ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულება, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება

- კარტელის ფედერალური უწყება  
მონოპოლიური კომისია

### დავალებები

#### 1. სტრუქტურა-ქცევა-შედეგი მეთოდის მოდიფიკაცია

ბაზრის სტრუქტურას, ბაზრის ქმედებასა და ბაზრის შედეგებს შორის გამომწვევითი მიზეზობრივი კავშირის შიშობა მუდმივი კრიტიკის საგანია. იმსჯელოთ, სტრუქტურას, ქცევასა და შედეგს შორის რა უკუკავშირი და ურთიერთმიმართება არის შესაძლებელი და რეალისტური. კონკურენციის პოლიტიკისთვის რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს სტრუქტურა-ქცევა-შედეგი მეთოდის მოდიფიკაციას?

#### 2. პატენტის კანონი

იმსჯელოთ პატენტის კანონის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა მოდელიდან გამომდინარე.

#### 3. სამინისტროს ნებართვა

გერმანიის კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონის თანახმად, კარტელის ფედერალური უწყების მიერ აკრძალულ – კომპანიების შერწყმის ნებართვას, საზოგადოებრივი კეთილდღეობის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, იძლევა ეკონომიკის სამინისტრო. სწორედ ამის შედეგია გერმანიაში კომპანიების შერწყმის რამდენიმე განსაკუთრებულად შთამბეჭდავი მაგალითის არსებობა. ხშირად, მსხვილი კომპანიების გაერთიანების შემთხვევაში, (სავარაუდოდ დადებით) ეფექტიან დასაქმებაზე ხდება აქცენტის გაკეთება. როგორ შეაფასებდით აღნიშნულ მეთოდს კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა მოდელის ჭრილში და ეკონომიკურსა და პოლიტიკურ რაციონალურობას შორის შესაძლო განსხვავების თვალსაზრისით?

#### 4. ბაზარზე გაბატონებული კომპანიების დაშლა

გერმანიის კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონი აშშ-ს კონკურენციის უფლებების განსხვავებით, არ ითვალისწინებს ბაზარზე მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანიების დაშლას. იმსჯელოთ კონკურენციის აღნიშნული კანონის ინსტრუმენტების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

კონკურენციის პოლიტიკის თეორიულ საფუძვლებზე ინფორმაციას გვაწვდიან Herdzina (1999) და Kerber-ი (2007). გერმანიაში, სხვა ევროპულ ქვეყნებში, ევროკავშირსა და აშშ-ში კონკურენციის შესახებ კანონის ტრანსფორმაციის შესახებ ამომწურავი მიმოხილვა უკავშირდება Schmidt-ს (2012). გერმანიის კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონის წარმოშობის ისტორიას ალგვიწერენ Kartte და Holschneider-ი (1981).

კონკურენციის თეორიის, კონკურენციის უფლებისა და კონკურენციის პოლიტიკის შემაჯამებელი ანალიზი ასახულია Cox-ისა და სხვ. (1981) ასევე Neumann-ისა და Weigand-ის (2006) მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებში.

კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებსა და გერმანიაში კომპანიების კონცენტრაციის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას სისტემატიურად გვაწვდიან კარტელის ფედერალური უწყება ([www.bundeskartellamt.de](http://www.bundeskartellamt.de)) და მონოპოლიური კომისია ([www.monopolkommission.de](http://www.monopolkommission.de)).

# ნახიდი III

## ჩარევა ეკონომიკურ ციკლში: მაკროეკონომიკის გამოყენება

|   |  |     |
|---|--|-----|
| 6 | ინფლაციასთან ზრდილი მონეტარული პოლიტიკის საშუალებით.....   | 133 |
| 7 | ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა ინვესტიციების წახალისების გზით.....                                     | 155 |
| 8 | კონიუნქტურული სტაბილიზაციის მიღწევა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მართვის გზით ..... | 169 |
| 9 | საგადასახდლო ბალანსისა და გაცვლითი კურსის პოლიტიკა.....  | 197 |



## ინფლაციასთან ბრძოლა მონეტარული პოლიტიკის საშუალებით

- 6.1 ფული, ეკონომიკური ციკლი და სტაბილიზაციის  
პოლიტიკა ..... 134
- 6.2 ფულის რაოდენობრივი თეორია ..... 137
- 6.3 ფულადი პოლიტიკის სტრატეგია და ფულადი  
პოლიტიკის შუალედური მიზნები ..... 141
- 6.4 ფულადი პოლიტიკის ოპერატიული მიზნები და  
ინსტრუმენტები ..... 145
- 6.5 მაგალითი: მონეტარული პოლიტიკა ევროზონაში 149

### სწავლების მიზნები

- ეკონომიკურ ციკლში ერთდროულად შემოედინება საქონლისა და ფულის ნაკადები. ფულის მხარეს არსებულმა არასრულფასოვანმა განვითარებამ შესაძლოა, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს და, შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის მხრიდან ქმედების აუცილებლობა გამოიწვიოს.
- ინფლაციის გამო მცირდება ფულის რეალური მსყიდველობითი უნარი. ამის გამო ზარალდება გაცვლითი პროცესების ეფექტიანობა ყველა ბაზარზე. რაოდენობრივი თეორიის თანახმად, ინფლაციის მიზეზს წარმოადგენს ფულის რაოდენობის ზომაზე მეტი ექსპანსია.
- მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიას არა მხოლოდ საბოლოო, სასურველი მიზნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და მონეტარული პოლიტიკის არსებული ინსტრუმენტები განეკუთვნებიან. ტრანსმისიის მრავალფეროვანი პროცესებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მონეტარული პოლიტიკის ოპერატიული და შუალედური მიზნების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ოპერატიული მიზნების შემთხვევაში, საბაზისო ფული და სარგებლის განაკვეთი ფულის ბაზარზე კონკურენტულ მხარეებს წარმოადგენენ. შუალედური მიზნების შემთხვევაში, ინფლაციის თარგეთირება (ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა) ფულის მიწოდების მართვის რეალურ ალტერნატივას წარმოადგენს.
- მონეტარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები სამ ჯგუფად იყოფა: მინიმალური რეზერვების პოლიტიკა, ღია ბაზრის ოპერაციების პოლიტიკა და რეფინანსირების ოპერაციები ლიკვიდურობის უზრუნველყოფის მიზნით.
- თავისი „ორი მიმართულების“ სტრატეგიით ევროპის ცენტრალური ბანკი ცდილობს, ერთმანეთთან დააკავშიროს ინფლაციის თარგეთირებისა და ფულის რაოდენობის მართვის ელემენტები. ევროპის ცენტრალური ბანკის (შემდგომში: ეცბ) ოპერატიული მიზანს, EONIA-სთან ერთად (European Overnight Index Average – ევრო სესხის ერთდღიანი ეფექტური განაკვეთი) წარმოადგენს სარგებლის განაკვეთი ფულის ბაზარზე, რომლის სიდიდეზეც, უპირველეს ყოვლისა, გავლენას თავისუფალი ბაზრის ოპერაციები ახდენენ.

## 6.1 ფული, ეკონომიკური ციკლი და სტაბილიზაციის პოლიტიკა

მაკროეკონომიკური თეორიის ცენტრში დგას ეკონომიკური ციკლის კონცეფცია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკაში ცალკეული საქონლის უამრავ ბაზარს. ამასთან, ცალკეულ ბაზრებსა და ბაზრის მონაწილეთა შორის არამ-

ხოლოდ საქონლის ნაკადები მოძრაობს, არამედ ფინანსური (ფული, კაპიტალი, უცხოური ვალუტა) ნაკადებიც. ეკონომიკური ციკლის მეშვეობით, არამართო ბაზრებს შორის მყარდება ურთიერთობები, არამედ აღნიშნული ურთიერთობები შესაძლოა, თავად გახდნენ არასრულყოფილი ეკონომიკური განვითარების მიზეზი, რაც ეკონომიკური პოლიტიკის მხრიდან ქმედების აუცილებლობას იწვევს. ციკლის დარღვევის უმნიშვნელოვანეს მიზეზს ფინანსურ ბაზრებზე (ფულის ბაზარი, კაპიტალის ბაზარი, ვალუტის ბაზარი) არასრულფასოვანი განვითარება წარმოადგენს, რაც, ციკლური კავშირიდან გამომდინარე, ეკონომიკის რეალურ სექტორშიც (საქონლისა და მომსახურების ბაზარი, შრომითი ბაზარი), უარყოფითად აისახება. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის ძირითად გამტარებლებს წარმოადგენენ ცენტრალური ბანკი და მთავრობა (ფინანსთა სამინისტრო), რომლებიც ასორციელებენ პრაქტიკულ მონეტარულ პოლიტიკას (ეკონომიკის უზრუნველყოფა ფულის მასით, ინფლაციის თარგეთირება, ლიკვიდობის მართვა), ფისკალურ პოლიტიკას (საბიუჯეტო შემოსავლების, ხარჯებისა და სახელმწიფო დავალიანების მართვა) და ფინანსური ბაზრების რეგულირებას. ციკლური ურთიერთობები განსაკუთრებით ნათლად ჩანს საგარეო-ეკონომიკური ტრანზაქციების (საქონლის, მომსახურების, შრომისა და კაპიტალის ექსპორტ-იმპორტი, ცალმხრივი და ერთჯერადი ტრანსფერები უცხოეთთან) დროს, რომლებიც აისახება საგადასახდლო ბალანსში. ერთი მხრივ, ხდება საქონლის იმპორტი და ექსპორტი, მეორე მხრივ, საქონლის ნაკადებს უპირისპირდებიან საფინანსო ნაკადები ვალუტისა და კაპიტალის შემოდინების ფორმით. საერთაშორისო საფინანსო სისტემის დარღვევებმა ამ ურთიერთდამოკიდებულების გამო, შესაძლოა, საქონლის საერთაშორისო ნაკადებზე სერიოზული გავლენა მოახდინონ.

აქედან გამომდინარე, სტაბილიზაციის პოლიტიკის მხედველობის არეში საგარეო ეკონომიკაც ხვდება. ყველაზე მარტივი ეკონომიკური ციკლი ერთმანეთთან აკავშირებს ორ ბაზარს (ეროვნულს და უცხოურს) წმინდა სასაქონლო ნაკადების საშუალებით. მიწოდება ერთ ბაზარზე შეესაბამება მეორე ბაზარზე მოთხოვნას და პირიქით. ციკლის წონასწორობაში ერთ ბაზარზე არსებული ჭარბი მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს მეორე ბაზარზე არსებულ ჭარბ მიწოდებას. ეკონომიკურ ციკლში გაცვლითი პროცესი შესაძლებელია ფულის გამოყენებით მნიშვნელოვნად გაიზარდოს. ფულის გამოყენება, წმინდა ნატურალურ ვაჭრობასთან შედარებით, საგრძნობ ეფექტურ მოგებას გულისხმობს. ფული გამოიყენება:

- როგორც ღირებულების საზომი საანგარიშო ერთეული, რომელიც გამოხატულია ყველანაირი საქონლის ფასი და აქედან გამომდინარე, შესაღწევად შედარებით მარტივია.
- როგორც გადახდისა და გაცვლის საშუალება, რომელიც ამარტივებს გაცვლის პროცესს, წმინდა ნატურალური ვაჭრობისგან განსხვავებით და ბოლოს,
- როგორც ღირებულების შენახვისა და დაგროვების საშუალება, რომლის მეშვეობითაც იზრდება ინტერტემპორალური გაცვლის ეფექტიანობა.

მონეტარულ ეკონომიკაში სასაქონლო ნაკადებს, ყოველ ჯერზე სხვადასხვა მიმართულებით, უპირისპირდება ფულადი ნაკადები. ციკლური ტრანზაქციის მასშტაბი და, შესაბამისად, რეალურად რეალიზებული გაცვლის შემთხვევების

მასშტაბი, საერთო ჯამში არსებულ გაცვლის შესაძლებლობებთან მიმართებაში, განისაზღვრება არა მხოლოდ საქონლის პირობითი ფასით, არამედ ფულის ბაზრებზე ფასწარმოქმნის საშუალებითაც და, აქედან გამომდინარე, საქონლის გაცვლისთვის ფინანსური საშუალებების არსებობითაც.

ეკონომიკური ციკლის ანალიზისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფულადი ბაზრების ზედმიწევნით ზუსტ ანალიზს, იქ განვითარებულ ფასწარმოქმნასა და შესაძლო ბაზრის ხარვეზებს. რელევანტურ ფასებს წარმოადგენს:

- ფასის ზოგადი დონე, ფასის ინდექსი, რომლის საშუალებითაც ხდება ფულის რეალური ღირებულების განსაზღვრა საქონლის ერთეულის მიხედვით და რომლის ცვლილების ხარისხსაც ზომავს ინფლაციის ხარისხი.
- სარგებლის განაკვეთის ნომინალური დონე, როგორც ფასი, რომლის მიხედვითაც წარმოებს ფინანსური რესურსების გაცემა. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ფასების დონის მოსალოდნელ ცვლილებებს, რაც თავის მხრივ რეალური ღირებულების დადგენისათვის გამოიყენება. ე.ი.წარმოადგენს ფასს, რომელიც საჭიროა არსებულ მომენტში რეალური საქონლის მოხმარებაზე უარის სათქმელად და ბოლოს,
- ორ ერთეულ ვალუტას შორის ნომინალური გაცვლითი კურსი, რომლიდანაც ერთეული ფასების დონეთა გათვალისწინებით გამომდინარეობს რეალური გაცვლითი კურსი, როგორც ორ ქვეყანას შორის მსყიდველობითუნარიანი ურთიერთობის განმსაზღვრელი სიდიდე ამ ქვეყნებში წარმოებულ საქონელთა შორის გაცვლის საფუძველზე (ერთ ამერიკულ კოკა-კოლას რამდენი გერმანული კოკა-კოლა შეესაბამება).

ფინანსურ ბაზრებზე შესაძლებელია ბაზრის ხარვეზების ყველა ფორმის აღმოჩენა. საკრედიტო ბაზრებზე ინფორმაციის ასიმეტრიულობის პრობლემაზე, რომელიც საკრედიტო რისკების შესახებ ინფორმაციის არათანაბარი გადანაწილებით წარმოიშობა და, რომელსაც საბაზრო წონასწორობის არსებობაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია, საუბარი უკვე იყო 3.2. პარაგრაფში. ფულის, როგორც გაცვლის საშუალების გამოყენების ხარისხის შესახებ დიდი ზომით არათანაბარი ინფორმაციის არსებობა ნაღდი ფულის შემთხვევაშიც არის შესაძლებელი. ფულის მიწოდებელი მას ზევრად უკეთ იცნობს, ვიდრე ფულის მომხმარებელი. შესაძლებელია, ნაღდი ფულის მომხმარებელთა გაცურების მიზნით, იგი შეგნებულად ეწეოდეს ხარისხით მანიპულირებას. არასასურველი პრობლემებისთვის გვერდის ავლის მიზნით, სწორედ ფულის მიწოდებლების მიერ ჩამოყალიბდა სიგნალების გაცემის უამრავი ფორმა, რომლებიც ნაღდი ფულის ხარისხს შეეხება. მათ რიგს განეკუთვნება მონეტების ჩამოსახმელი სახელმწიფო რელიეფური ბეჭედი ან სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ბანკნოტების გაყალბებისგან დაცვა.

არასტაბილურობა ყველანაირ საფინანსო ბაზარზე მისი სამომავლო განვითარების მოლოდინებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხის გამო წარმოიქმნება. ამის კარგი მაგალითია სავალუტო ბაზრები. ვალუტის მიწოდების ან მოთხოვნის მოსალოდნელ დეტერმინანტებში მცირეოდენმა ცვლილებებმაც კი შესაძლებელია, გამოიწვიონ არსებული გაცვლითი კურსის გადამეტებული მერყეობა. წონასწორული გაცვლითი კურსის აღდგენა, მოცემულ პირობებში, შესაძლებელია დროში მეტისმეტად გაიწელოს.

დადებითი გარე ფაქტორები ფინანსური საშუალებების ყველა ბაზარს ერთმანეთთან აკავშირებენ იმ თვალსაზრისით, რომ ერთი ბაზრის გაზრდილი ბრუნვა, როგორც წესი, სხვა ბაზრების ზრდაზეც დადებით გავლენას ახდენს. მეორე მხრივ, ფინანსური კრიზისის დროს, შესაძლებელია, გარე ფაქტორებმა პირიქით იმოქმედონ, როდესაც ერთ ბაზარზე ფასების დაცემის მოლოდინი მეორე ბაზრის ფასწარმოქმნაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ბაზრების ურთიერთდამოკიდებულება ბაზრის სტაბილიზაციის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებისა და ინტერვენციებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენს.

დადებითი ქვეყანათა უმრავლესობაში ფულის მიწოდებას სახელმწიფო ცენტრალური ბანკი უზრუნველყოფს. ამის მიზეზად, სხვათა შორის, სახელდება ეკონომიკის ფულით უზრუნველყოფის ერთპიროვნული პრეროგატივა. აქედან გამომდინარე, ცენტრალური ბანკები ფლობენ ბუნებრივ მონოპოლიას. ვალუტის სუბსიდირების მსგავს შემთხვევებს სინამდვილეში ადგილი აქვს, როდესაც საემისიო ბანკი თავის მონოპოლურ ძალაუფლებას არაკეთილსინდისიერად იყენებს. მსგავს შემთხვევაში, ადგილობრივი მომხმარებლები და მეწარმეები უცხოურ ვალუტას ქვეყნის შიგნით არსებულ ტრანზაქციებშიც იყენებენ.

ფულის ემისიის სახელმწიფო მონოპოლიის არაკეთილსინდისიერი გამოყენება მდგომარეობს ფულის არასისტემატურ ემისიაში. იგი იწვევს ინფლაციას და აქედან გამომდინარე, უარყოფით გავლენას ახდენს ციკლური კავშირის ძირითად სტრუქტურაზე. ფულის რეალური ღირებულების გაუფასურების შემთხვევაში, თავდაპირველად შესაძლოა მყარი ვალუტის ნაცვლად, ინფლაციური ვალუტის სუბსიდირება მოხდეს. მყარი ვალუტის არარსებობის შემთხვევაში, თუ ინფლაციის დონე გარკვეულ პუნქტს გასცდება, გაცვლითი ოპერაციების დროს ფულის გამოყენება ეფექტური აღარ იქნება. ასეთ შემთხვევებში არსებობს საფრთხე, რომ დაბრუნდეს წმინდად ნატურით გაცვლის ფორმა, შესაბამისად, რეალურად არსებულ პროდუქტებს შორის ახალი, საყოველთაო გაცვლითი საშუალების არჩევის პროცესი. განსაზღვრულ ისტორიულ მოცემულობაში ამ ფორმით შესაძლებელია მოხდეს საქონლის, როგორც ფულის ჩამოყალიბება, მაგალითად, სიგარეტი ვალუტის ფორმით.

### 6.2 ფულის რაოდენობრივი თეორია

ინფლაციასთან ბრძოლა უპირატესობას ანიჭებს თეორიას ფასის დონის ზრდის მიზეზების შესახებ. ს. ჯინ ზოდინმა, რომელიც მე-16 საუკუნის ევროპაში ფასების მატების მიზეზების გარკვევას ცდილობდა, პირველმა შეამჩნია, რომ ინფლაციის მიზეზი ბრუნვაში არსებული ჭარბი ფულის მიწოდება იყო. იმ პერიოდისთვის ფულს ძირითადად ძვირფასი მეტალისგან დამზადებული მონეტები წარმოადგენდა, რომლის მიმოქცევაში მკვეთრ ზრდას ხელს უწყობდა ცენტრალურ ევროპაში ვერცხლის ახალი აღმოჩენები და ოქროსა და ვერცხლის იმპორტი სამხრეთ ამერიკის კოლონიებიდან. ბრუნვაში არსებული ფულის მიწოდების მოცულობასა და ფასების დონეს შორის ურთიერთკავშირიდან გამომდინარეობს ეკონომიკური პოლიტიკის დასკვნა კლასიკურ რაოდენობრივ თეორიასთან მიმართებაში. ინფლაციის წარმოშობისთვის ხელის შეშლა შესაძლებელია მხოლოდ ფულის მიწოდების ზრდის მკვეთრი შეზღუდვით.



აღნიშნულმა მოსაზრებამ ასახვა მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში ჰპოვა. ამისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფულის ბრუნვის სიჩქარის, შესაბამისად, ნაღდი ფულისკოეფიციენტების შესახებ უკვე არსებული კონცეფციები. ბრუნვის სიჩქარე გამოისახება ე.წ. ფულის რაოდენობის განტოლებაში:

$$M \cdot v = P \cdot H \text{ ამასთან, } v = \frac{P \cdot H}{M} \tag{6.1}$$

ამასთან,  $M$  აღნიშნავს ფულის რაოდენობას,  $H$ -ი ტრანზაქციის მოცულობას (ვაჭრობის მოცულობას), ხოლო  $P$  – ფასების დონეს.  $V$  ზომავს ფულის ბრუნვის სიჩქარეს. ბრუნვის სიჩქარის შეზღუდვები მნიშვნელოვან გამოსახულია, როგორც ნაღდი ფულის კოეფიციენტი.

$$k = \frac{M}{P \cdot H} \tag{6.2}$$

როგორც წმინდა ტავტოლოგიური კავშირი, განტოლება თავდაპირველად მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ ეკონომიკაში ყველანაირი ბრუნვის ჯამი ( $P \cdot H$ ) მოცემულ პერიოდში თავისი ღირებულებით უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული ბრუნვების განვითარებისათვის განხორციელებულ ფულად ტრანზაქციებს. ეს უკანასკნელი, როგორც არსებული  $M$  ფულის რაოდენობა, შეადგენს აღნიშნული ფულის რაოდენობის საშუალო ბრუნვას გაცვლის პროცესში. მოცემული ფულის მიწოდების შემთხვევაში, რაც მეტია ბრუნვა, მით უფრო ხშირად იცვლის ფული მფლობელს და, შესაბამისად, მით უფრო მაღალია მისი ბრუნვის სიჩქარე.

კლასიკური რაოდენობრივი თეორია მიუთითებს ასევე, რომ რეალური ტრანზაქციების მოცულობის სიდიდე მხოლოდ ეკონომიკის რეალურ სფეროში განისაზღვრება და ფული გამოიყენება, როგორც მხოლოდ საანგარიშო ერთეული და გაცვლის საშუალება და არა, როგორც ღირებულების შენახვის საშუალება. გაცვლის პროცესების მოცემულ სტრუქტურაში და ეკონომიკაში მიღებულ გადახდის ნორმებში, ფულის ბრუნვის სიჩქარეც მუდმივად არის მიჩნეული. თუ საბოლოოდ ფულის რაოდენობას მივიჩნევთ ეგზოგენურ, ხოლო ფასების დონეს ენდოგენურ ცვლადად, განტოლებიდან მივიღებთ ემპირიულად საკამათო შიპოტეზას. იგი ამტკიცებს, რომ მოცემული ვაჭრობის მოცულობისა და მუდმივი მიმოქცევის სიჩქარის დროს, ფულის რაოდენობის ზრდა ფასების დონის ზრდას იწვევს.

რაოდენობრივი თეორიის შემდგომ განვითარებაში რეალური  $H$  ტრანზაქციების მოცულობის ადგილი  $Y$  ეროვნულმა შემოსავალმა დაიკავა. მაშინ, როდესაც ვაჭრობის მოცულობა გამოითვლება, როგორც სავაჭრო ბრუნვების მთლიანი რაოდენობა, ეროვნული შემოსავალი წარმოადგენს ეკონომიკის მთლიანი მიწოდების ჯამურ ღირებულებას და, შესაბამისად, ტრანზაქციების მოცულობასთან შედარებით, ეროვნული შემოსავლის განსაზღვრა ნაკლებ ცდომილებას ექვემდებარება (ე.ი. ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი უფრო ზუსტია) რადგან მიიჩნევა, რომ ეროვნული შემოსავალი, ისევე როგორც მთლიანი შიდა პროდუქტი რეალური ეკონომიკის სფეროში, მონეტარული ფაქტორების ზეგავლენის გარეშე წარმოიქმნება, კლასიკური რაოდენობრივი თეორიის ძირეული შეფასება უცვლელი რჩება და ფულის რაოდენობის განტოლება მხოლოდ შემდეგნაირად იცვლება:

$$M \cdot v_E = P \cdot Y, \text{ სადაც } v_E = \frac{PY}{M} \tag{6.3}$$

ბრუნვის სიჩქარის ადგილს იკავებს ე.წ. ფულის შემოსავლის ციკლის სიჩქარე  $v_E$ . იგი მიუთითებს, თუ საშუალოდ რა სიხშირით იცვლება მოცემულ პერიოდში არსებული  $M$  ფულის რაოდენობა ( $P \cdot Y$ ) ნომინალურ შემოსავლად.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კლასიკურმა რაოდენობრივმა თეორიამ, განსაკუთრებით მილტონ ფრიდმანის (1956) ფულის თეორიის შესახებ შრომებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვნად იცვალა სახე. აღნიშნული ნაშრომებიდან გამომდინარე ეკონომიკური პოლიტიკის დასკვნები მონეტარიზმის სახელით გახდა ცნობილი. ახალ რაოდენობრივ თეორიას კლასიკური რაოდენობრივი თეორიისაგან არსებითად განსხვავებს ფულის ბრუნვის სიჩქარის, შესაბამისად, ფულადი შემოსავლის ციკლის სიჩქარის ზუსტი თეორიული დამკვიდრება. ამასთან, გათვალისწინებულია ასევე ფულის, როგორც ღირებულების შენახვის საშუალების ფუნქცია.

ფრიდმანი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური სუბიექტები ნაღდი ფულის განაწილების გეგმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ორიენტაციას აკეთებენ არა მიმდინარე, არამედ პერმანენტულ შემოსავლებზე. იგი გამოითვლება იმ ქონების მუდმივი სარგებლის განაკვეთის დისკონტირების გზით (საბოლოო კაპიტალის საშუალებით საწყისი კაპიტალის გამოთვლის მეთოდი სარგებლის განაკვეთის გათვალისწინებით), რომელსაც ეკონომიკური სუბიექტი მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში აგროვებდა. ქონებაში იგულისხმება არა მარტო ფული, არამედ ფასიანი ქაღალდები, რეალური საქონელი და ადამიანური კაპიტალი. იმის გადასაწყვეტად, თუ პერმანენტული შემოსავლის რა ნაწილი მოდის ნაღდი ფულზე, ეკონომიკური სუბიექტები ითვალისწინებენ კაპიტალის ალტერნატიულ დანახარჯებსაც (Opportunity Costs – ე.წ. გამოუყენებელი შესაძლებლობების დანახარჯები), განსაკუთრებით, შემოსავლებს ფასიანი ქაღალდებში დაბანდებული ფულიდან. აქედან გამომდინარე, ახალ რაოდენობრივ თეორიაში ფულის ბრუნვის სიჩქარე აღარ არის მუდმივი, იგი წარმოადგენს სხვადასხვა ცვლადების ფუნქციას, რომლებსაც განეკუთვნებიან  $V$  ქონება და სხვადასხვა  $r$  განაკვეთები. თორმალურად აღნიშნული კავშირი რაოდენობრივ განტოლებაში შემდეგნაირად გამოისახება:

$$M \cdot v^* = P \cdot Y, \text{ სადაც } v^* = v^*(V, r) \tag{6.4}$$

აღსანიშნავია, რომ ახალი რაოდენობრივი თეორია ბრუნვის სიჩქარესა და მის დეტერმინანტებს შორის ფუნქციურ კავშირს განსაკუთრებით სტაბილურად მიიჩნევს. შესაბამისად,  $v^*$ -ს ცვლილება მხოლოდ ნაკლებ ეგზოგენურ ცვლადების ცვლილების შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი. ახალი რაოდენობრივი თეორიის თანახმად, ეკონომიკური აქტივობის ყოველწლიური მერყეობები ქონებაზე, შესაბამისად პერმანენტულ შემოსავალზე დაქვემდებარებული დამოკიდებულების გამო, ბრუნვის სიჩქარეზე მხოლოდ მცირე ზომით ახდენენ გავლენას. ამავდროულად ფრიდმანი უამრავი ემპირიული კვლევით ცდილობდა დამტკიცებინა, რომ განაკვეთების ცვლილებებიც კი ბრუნვის სიჩქარის რეაქციაზე მხოლოდ უმნიშვნელოდ მოქმედებენ. შესაბამისად, ახლებურად თორმულირებული რაოდენობრივი თეორიიდანაც შესაძლებელია მივიღოთ რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ინფლაციის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფულის მიწოდების ზრდის შეძლებისდაგვარად ეფექტური შეჩერება.

აღნიშნული წესი მზარდი ეკონომიკის შემთხვევაში, მნიშვნელოვან მოდიფიკაციას ექვემდებარება. თუ კი მას ცალკეული სიდიდის ზრდის წილის გამოყენებით ჩამოვყალიბებთ, რაოდენობრივი განტოლებიდან (6.4) მივიღებთ ე.წ. პოტენციურ ფორმულას:

$$\Delta M/M + \Delta v^*/v^* = \Delta P/P + \Delta Y/Y \tag{6.5}$$

თავდაპირველად განვიხილოთ ზრუნვის მუდმივი სიჩქარის შემთხვევა ( $\Delta v^*/v^* = 0$ ). პოტენციური ფორმულა (6.5.) აღნიშნავს, რომ მზარდ ეკონომიკაში ფასის დონე შესაძლებელია სტაბილურად შენარჩუნდეს, ე.ი.  $\Delta P/P = 0$ , სანამ ფულის მიწოდება ისეთივე ტემპით იზრდება, როგორც რეალური ეროვნული შემოსავალი ( $\Delta M/M = \Delta Y/Y$ ).

**მილტონ ფრიდმანი და მონეტარიზმი**

მილტონ ფრიდმანი (1912-2006) დაიბადა ნიუ-იორკში, სწავლობდა მათემატიკასა და ეკონომიკას რუტგერსისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტებში, სადაც მან 1933 წელს მაგისტრის ხარისხი მოიპოვა. ვაშინგტონში სხვადასხვა ფედერალურ უწყებებში მუშაობის შემდეგ, 1946 წელს მან დაიცვა ხარისხი ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში. 1946-1976 წლებში იგი იყო ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი. ამ პერიოდისათვის იგი გახდა ჩიკაგოს ლიბერალური სკოლისა და მონეტარიზმის ერთ-ერთი ძირითადი წარმომადგენელი, მის რამდენიმე მოსწავლეს ჩიკაგოს ზიჯებს უწოდებდნენ. 1976 წელს ფრიდმანმა ეკონომიკის დარგში, მოხმარების ანალიზის, ფულის ისტორიისა და მონეტარული თეორიის სფეროში მიღწევებისათვის ნობელის პრემია მიიღო. 1977 წლიდან იგი მუშაობდა სტენფორდის უნივერსიტეტის ჰუვერის ინსტიტუტში. 80-იან წლებში მან თავის მეუღლე როუზთან ერთად შექმნა პოპულარული სატელევიზიო სერიალი სახელწოდებით არჩევანის თავისუფლება (Free to Choose), რომლის მიზანს წარმოადგენდა ფართო საზოგადოებისათვის ლიბერალური ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის დადებითი მხარეების ჩვენება. ფრიდმანის მთავარ შრომებს განეკუთვნება: A Theory of the Consumption Function (Chicago, 1957); A Monetary History of the United States (zusammen mit Anna Schwartz, Princeton, N.J., 1963), The Optimum Quantity of Money and other Essays (London, 1969).

ფრიდმანი თავის შრომებში, როგორც თეორიული, ასევე ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, მეტად კრიტიკულად იყო განწყობილი კეინზის შრომებისა და კეინზიანისტური სტაბილურობის პოლიტიკის რეკომენდაციებისადმი. თავის მოხმარების თეორიაში იგი მოთხოვნის გადამწყვეტ დეტერმინანტებად მიიჩნევს არა მიმდინარე, არამედ პერმანენტულ შემოსავლებს, რომლებიც განცალკევებული არიან მოკლევადიანი შემოსავლებისგან და აქედან გამომდინარე, მათი კონიუნქტურული მერყეობა მეტისმეტად მცირედ გამოვლინდება. ფრიდმანმა აღნიშნული იდეა განავრცო ფულის მოთხოვნის თეორიაზე, რომელიც, მისი აზრით, ბევრად უფრო მეტი სტაბილურობით ხასიათდება, ვიდრე ამას კეინზის მიმდევრები ამტკიცებენ. ფულის სტაბილური მოთხოვნის საფუძველზე, ფრიდმანმა განავითარა ახალი რაოდენობრივი თეორია. იგი მხარს უჭერდა ფულის მიწოდების მართვის გზით, ფასების დონის სტაბილიზებისათვის მკვეთრი პოლიტიკის

გატარებას. ცენტრალური ბანკისათვის წლის მანძილზე ფულის მიწოდების ზრდის მუდმივი დონის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით, ფრიდმანი მოუწოდებდა ერთი მხრივ, მონეტარული პოლიტიკის წესების აუსცილებლობაზე და მეორე მხრივ, მონეტარულ პოლიტიკაზე გარე გავლენის ფაქტორების აღკვეთისაკენ, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტების დაფინანსება ან მყარი გაცვლითი კურსის დაცვის მიზნით, სავალუტო ინტერვენციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ითვლებდა მსოფლიოს მასშტაბით თავისუფლად ცვალებად გაცვლით კურსზე გადასვლის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მხარდამჭერად, რომელიც 1973 წელს მართლაც განხორციელდა. დასაქმების ბაზრის ანალიზში მან განავითარა ბუნებრივი უმუშევრობის კონცეფცია. იგი გულისხმობს უმუშევრობას, რომლის შემცირებაც გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია არა კონიუნქტურული სტაბილიზაციის პოლიტიკით, არამედ მხოლოდ სტრუქტურული რეფორმების გატარების გზით. ფრიდმანის მოთხოვნამ, ეკონომიკაზე სახელმწიფო გავლენის მკვეთრი შემცირების თაობაზე, უდიდესი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ რეფორმებზე, რომლებიც 1979 წლიდან მარგარეტ ტეტჩერმა დიდ ბრიტანეთში განახორციელა.


თუ ადგილი აქვს საწინააღმდეგო შემთხვევას  $\Delta M/M > \Delta Y/Y$ , მიმოქცევის მუდმივი სიჩქარის დროს, ფასის დონე მოიმატებს. ეკონომიკური ზრდის დროს ინფლაციის თავიდან აცილების მიზნით, მონეტარიზმის ეკონომიკურ-პოლიტიკური რეკომენდაციით, მიზანშეწონილია ფულის მიწოდების იმ დონემდე გაზრდა, რომელიც რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდის დონეს შეესაბამება.

თუ ეკონომიკური ზრდის პროცესში გაიზრდება ზრუნვის სიჩქარე ან შემცირდება ნაღდი ფულის კოეფიციენტი, ინფლაციის თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნებოდა ფულის რაოდენობის ზრდა რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდაზე ნაკლები იყოს.

**6.3 ფულადი პოლიტიკის სტრატეგია და ფულადი პოლიტიკის შუალედური მიზნები**

ფასების დონის სტაბილურობას, როგორც მონეტარული პოლიტიკის საბოლოო მიზანსა და ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინტერუმენტებს შორის არსებობს მეტად კომპლექსური კავშირი. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები ეკონომიკური სუბიექტების ქცევებზე ფულისა და კაპიტალის ბაზრის საშუალებით მოქმედებენ, რომელთა ეკონომიკური გადაწყვეტილებები საბოლოო ჯამში ფასების დონის ცვლილებებში აისახება. რთული და ნაწილობრივ, მეტად არაგამჭვირვალე მონეტარული ტრანსმისიის მექანიზმიდან გამომდინარე, ცენტრალური ბანკები რამდენიმე საფეხურიანი სტრატეგიით სარგებლობენ, როგორც ეს ასახულია ნახაზზე 6.1. ფულის ბაზარზე თავიანთი ინსტრუმენტების გამოყენებით, ისინი აქტიურად ზემოქმედებენ ოპერატიულ მიზანზე (ოპერატიული მიზნობრივი მაჩვენებელი). ოპერატიული მიზნის მეშვეობით ისინი ცდილობენ, მონეტარული პოლიტიკის შუალედური მიზნის მართვას, რომელიც ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირშია (თეორიულ და ემპირიულ) ინფლა-

ციასთან ბრძოლის საბოლოო მიზანთან, მეორე მხრივ, მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობასთან დაკავშირებით ინდიკატორის კარგ თვისებებსაც ფლობს. შუალედური მიზნები ხშირად, მონეტარული პოლიტიკის მხრიდან მოქმედების აუცილებლობის ადრეულ ინდიკატორებად ან მონეტარული პოლიტიკის გააღწვევტილებების ეფექტურობის ინდიკატორებად გვევლინებიან.



ნახაზი 6.1: მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის ელემენტები

კომპლექსური მონეტარული პოლიტიკის ტრანსმისიის მექანიზმების გათვალისწინებით, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და მონეტარული პოლიტიკის ფასების დონის სტაბილურობასთან დაკავშირებულ საბოლოო მიზანს შორის კავშირი შედარებით რთულია. აქედან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის ფარგლებში მიზანშეწონილია, თავდაპირველად დაისახოს მონეტარული პოლიტიკის გონივრული შუალედური მიზნები და ასევე რეალისტური ოპერატიული მიზნები.

რაოდენობრივი თეორიის მოსაზრებების თანახმად, ინფლაციის დონესა და ფულის რაოდენობის ზრდას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს ისე, რომ ფულის რაოდენობა მონეტარული პოლიტიკის იდეალურ შუალედურ მიზანს წარმოადგენს. თანამედროვე ეროვნულ ეკონომიკაში ფულით უზრუნველყოფა არა ძვირფასი მეტალის მონეტების გამოშვებას ეფუძნება, არამედ მრავალსაფეხურიან საბანკო სისტემაში დამატებითი კრედიტის გამოყოფას. ფულის ფუნქციას მონეტებისა და ბანკოტების გარდა, საბანკო აქტივების სხვადასხვა ფორმა ასრულებს. ამის გამო განასხვავებენ ფულის რაოდენობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონცეფციას. ნახაზზე 6.2. ისინი შესაძლებელია გამოყვანილ იქნენ ცენტრალური ბანკის გამართივებული ბალანსიდან და კომერციული ბანკებისა და კერძო ეკონომიკური სუბიექტების აგრეგირებული ბალანსიდან. ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებული ბანკოტები მიმოქცევაში არსებულ მონეტებთან ერთად, რომლებიც ხშირად განსაკუთრებული სახელმწიფო ინსტანციების მიერ არის გამოშვებული, ქმნიან ნაღდ ფულს, რომელიც, პრინციპში, ეროვნული ეკონომიკის ფულის რაოდენობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს.

ნაღდი ფული მოიცავს კომერციული ბანკების მიერ შექმნილ მოთხოვნამდე ანაზრებსა და M1 ფულის რაოდენობას. M1-ისა და ასევე კომერციული ბანკების მიერ 3 თვემდე შეთანხმებული შენახვის ვადითა და, შესაბამისად, 2 წლამდე შეთანხმებული მოქმედების ვადით შექმნილი ვადიანი და მიმდინარე (შემნახველი) ანაზრების ჯამს, M2-ს უწოდებენ. რეპო-ოპერაციებით გაფართოებული M2-ი, კომერციული ბანკების მიერ ვალდების გახანგრძლივება 2 წლამდე ვადით, ასევე ფულის ბაზრის ფონდებში განთავსებანი და ფასიანი ქაღალდები საბოლოოდ ერთად ქმნიან M3 ფულის რაოდენობას. M3 – ფართო ფული – წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ყველაზე მასშტაბურ ფულის რაოდენობის აგრეგატს. ფულის რაოდენობის ამ სამ კონცეფციას შორის დაყოფა ასახავს მათი კომპონენტების ლიკვიდურობის ხარისხში არსებულ განსხვავებებს. საკრედიტო ინსტიტუციაში კერძო პირის სრულყოფილად ლიკვიდურ დეპოზიტს, ანუ ნაღდი ფულის სრულყოფილ ჩამნაცვლებლებს წარმოადგენს მხოლოდ მოთხოვნამდე ანაზრები, რაც შეეხებათ ვადიან და მიმდინარე ანაზრებსა და ფულის ბაზარზე წილებს, ისინი წარმოადგენენ ფულის ფორმას ბევრად ნაკლები ლიკვიდურობით.

Table with 4 columns: ცენტრალური ბანკის ბალანსი, კომერციული ბანკების აგრეგირებული ბალანსი, კერძო ბანკების აგრეგირებული ბალანსი, მონეტარული აგრეგატები. It details various financial metrics like deposits, loans, and reserves.

ნახაზი 6.2: ფულის რაოდენობის კონცეფცია

ონსაფეხურიან საბანკო სისტემაში ფული, ერთი მხრივ, წარმოიშობა ცენტრალური ბანკის მიერ ფულის გამოშვების გზით, მეორე მხრივ, კომერციული ბანკების მიერ დამატებითი კრედიტების გამოყოფის გზით, რასაც მიყვებათ მათ ბალანსზე არსებულ დამატებით ანაზრებამდე. ფულის მიწოდების სხვადასხვა კონცეფციები მოიცავენ საემისიო ბანკის ფულსა (განსაკუთრებით ემისი) და კომერციული ბანკების ფულს (განსაკუთრებით ბანკის ანაზრები). M3-ის განსაზღვრებაში ნახევრად ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გათვალისწინება თვალსაზრისით ხდის, რომ ფულის ფუნქციას სხვა ფინანსური ინსტრუმენტები ასრულებს.

მამინ, როდესაც აქამდე წარმოდგენილი ფულის რაოდენობის კონცეფციები კერძო ეკონომიკური სუბიექტების აგრეგირებული ბალანსის აქტივების მხარეს აისახება, საბაზისო ფულის კონცეფცია ორიენტირებულია ცენტრალური ბანკის ვალდებულებების მხარეზე. საბაზისო ფული, როგორც ეროვნული ეკონომიკის მონეტარული ბაზა, წარმოადგენს ნაღდი ფულის – ანუ მონეტებისა და ბანკოტების მოძრაობისა და ცენტრალურ ბანკში საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნამდე ანაზრების ჯამს, რომლებიც, თავის მხრივ, კომერციული ბანკების მინიმალური და ჭარბი რეზერვებისგან შედგებიან. ამასთან, ცენტრალურ ბანკში არსებული საკრედიტო ინსტიტუტების ანაზრები მჭიდრო კავშირშია აღნიშნული საკრედიტო ინსტიტუტების მიერ მათივე კლიენტებისათვის შექმნილ ან ჯერაც შესაქმნელ ანგარიშებთან.

გადაწყვეტილება, თუ ფულის რაოდენობის რომელი კონცეფციისკენ უნდა მიმართოს თავისი მონეტარული პოლიტიკის დონისძიებები ცენტრალურმა ბანკმა, სხვადასხვა ფაქტორებით არის განპირობებული. მონეტარული პოლიტიკის თვალსაზრისით, სასურველია შეძლებისდაგვარად სრულყოფილად განსაზღვრული ფულის ბაზისის აგრეგატის მართვა, მაგალითად ისეთის, როგორიცაა M3. თუმცა, ფართომასშტაბიანი ფულის რაოდენობის კონცეფციის შემთხვევაში, რომლის დონე თუ შემადგენლობა კომერციული ბანკებისა და კერძო პირების საქმიანი ურთიერთობის (ანაზარი ან სესხი) საშუალებით ენ-



დოგენურად არის განსაზღვრული, ცენტრალური ბანკის პირდაპირი მართვის შესაძლებლობები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ვთქვათ, საბაზისო ფულის შემთხვევაში. ასე, რომ პრაქტიკულად, ფულის მიწოდების მართვისათვის რეკომენდირებულია ფულის მართვის ისეთი კონცეფციის შერჩევა, რომელიც ერთი მხრივ, შეძლებისდაგვარად კარგად დაეჭვემდებარება ცენტრალური ბანკის კონტროლს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების საშუალებით, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე შეძლებისდაგვარად კარგად გამოდგება ინფლაციასთან ბრძოლაში და მისი თავიდან აცილებისათვის მონეტარული პოლიტიკის მიზნის მისაღწევად. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების განსხვავებული ფორმებიდან და ცენტრალურ ბანკს, კომერციულ ბანკსა და კერძო პირებს (ფირმები, კერძო მეურნეობები) შორის ფინანსური ურთიერთობებიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ცენტრალური ბანკები შუალედური მიზნების სახით, ფულის რაოდენობის განსაზღვრის საფუძველად სულ უფრო განსხვავებულ მონეტარულ აგრეგატებს ირჩევენ.

როგორც ეს ზემოთ არის ნაჩვენები, რაოდენობრივი თეორიის მიდგომები მაინც სტაბილური მოთხოვნის ჰიპოთეზას ანუ ფულის ბრუნვის სიჩქარის განვითარების ხელსაყრელ პროგნოზს ეფუძნება. ფულის მოთხოვნის სტაბილურობის არარსებობის შემთხვევაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ცენტრალურმა ბანკმა ფულის რაოდენობა მონეტარული პოლიტიკის შუალედურ მიზნად დაასახელოს. მოცემული სიტუაციის ალტერნატივას წარმოადგენს ინფლაციის თარგეთირების, როგორც მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტის, განვითარება. ამ დროს, ცენტრალური ბანკი მონეტარულ პოლიტიკას უშუალოდ რიცხობრივად გამოსახული ინფლაციის მიზნის მისაღწევად წარმართავს. შუალედურ მიზნებად შესაძლებელია გამოდგეს კერძო ეკონომიკური სუბიექტების ინფლაციის მოლოდინების გავლენა, რომლებზეც დამოკიდებულია წინა პერიოდში დაფიქსირებული ინფლაციის მაჩვენებელი. ინდიკატორების საშუალებით, რომლებშიც ასახულია ინფლაციის მოლოდინი, ცენტრალურ ბანკს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ინფლაციის სამომავლო განვითარებისა და მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ.

**რობერტ ლუკასი და რაციონალური მოლოდინები**

რობერტ ემერსონ ლუკასი (Junior) (დაბადებული 1937 წელს იაკიმაში, ვაშინგტონი) სწვლობდა ისტორიასა და ეკონომიკურ მეცნიერებებს ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სადაც 1964 წელს დაიცვა სამეცნიერო ხარისხი. 1975 წლამდე იგი ასწავლიდა პიტსბურგის კარნეგი მელონის უნივერსიტეტში, მანამ, სანამ კვლავ ჩიკაგოს უნივერსიტეტში მიიწვევდნენ. 1995 წელს მან ეკონომიკური მეცნიერებებისთვის მაკროეკონომიკის სფეროში მომზადებული პროფესორის თვის ნობელის პრემია დაიმსახურა. მისი ძირითადი შრომებია: „Expectations and the Neutrality of Money“ (Journal of Economic Theory, 1972); „Econometric Policy Evaluation: A Critique“ (Carnegie-Rochester Conference Series on Public Policy, 1976); „On the Mechanics of Economic Development“ (Journal of Monetary Economics, 1988).

რობერტ ლუკასისა და სხვათა მიერ მაკროეკონომიკური თეორიის ას-ლებურად ფორმულირება ეფუძნება მიკროეკონომიკის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ფუნდამენტს. ციკლური ნაკადები განიხილება, როგორც რაციონალურად მოქმედი ინდივიდების ქმედებათა შედეგი. აღნიშნული ინდივიდების ქმედება ინფორმაციის გადამუშავების დროსაც რაციონალურია.

ისინი სარგებლობენ ეკონომიკური კავშირების შესახებ თავიანთი ცოდნით. ამდენად, კეინზიანიზმით გაჯერებულმა სტაბილიზაციის პოლიტიკამ დაკარგა თავისი ტრადიციული მოქმედების გავლენა, რომელიც ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ მოლოდინები ახალ პოლიტიკურ პარამეტრებს ნელ-ნელა ერგებოდნენ. ლუკასის კრიტიკამ კიდევ უფრო შეზღუდა ეკონომიკური პოლიტიკის მართვის შესაძლებლობები, ვინაიდან მას ეჭვი ეპარებოდა, რომ ემპირიული თვალსაზრისით წარსულისათვის მიღებული ურთიერთკავშირები, როგორცაა, მაგალითად, ფილიპსის-მრუდი, სახელმწიფოს მხრიდან კონიუნქტურული მართვის საფუძველად გამოდგებოდა. საერთო ეკონომიკური განვითარების მართვის თვალსაზრისით, მოთხოვნის პოლიტიკის უუნარობიდან გამომდინარე, ლუკასი თანმიმდევრულად მიუბრუნდა მიწოდების პოლიტიკასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას და ახალი ეკონომიკური ზრდის თეორიის ფუძემდებლად იქცა. ეკონომიკური განვითარების მექანიზმების ძიების გზაზე, ლუკასი მოუწოდებდა ჰუმანური რესურსებისათვის განსაკუთრებული ხელშეწყობისკენ, მისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დადებითი გარე ფაქტორების გამო.


**6.4 ფულადი პოლიტიკის ოპერატიული მიზნები და ინსტრუმენტები**

ფულის ბაზარი, ვიწრო გაგებით, წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის ოპერაციების ადგილს. აქ მოქმედებენ ცენტრალური ბანკი და კომერციული ბანკები ან კომერციული ბანკები ურთიერთქმედებენ ცენტრალური ბანკის ფულით. ფართო გაგებით, ფულის ბაზარზე კომერციული ბანკები ერთმანეთთან უნაღლო ანგარიშსწორების საშუალებით მოქმედებენ. ფულის ბაზრის ორივე სეგმენტს შორის არსებული საბალანსო ტექნიკისა და ეკონომიკური კავშირების გამო, ცენტრალური ბანკის ფულის ბაზარზე არსებული ცვლილებები ბანკების ფულის ბაზრებზეც ახდენენ გავლენას. ეს განსაკუთრებულად ეხება სარგებლის განაკვეთების მრუდს, რომელიც ფორმირდება ბაზრის ორივე სეგმენტზე. ვინაიდან ცენტრალური ბანკი გავლენას ახდენს თავისი ფულის საპროცენტო განაკვეთზე, მას შეუძლია ასევე განკუთვინოს ფულის საპროცენტო განაკვეთზეც და, შესაბამისად, კომერციული ბანკების სექტორში უნაღლო ანგარიშსწორების საშუალებების წარმოქმნის მასშტაბზეც იმოქმედოს.

ვიწრო გაგებით ფულის ბაზრის მართვით მოდელში, როგორც ეს ასახულია ნახაზზე 6.3, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ცენტრალური ბანკის ფულის, შესაბამისად,  $B$ -საბაზისო ფულის მიწოდება და მოთხოვნა, რომელთაგანაც უკანასკნელი დამოკიდებულია ფულის ბაზრის  $r_G$  განაკვეთზე. ცენტრალური ბანკი ფულის ბაზარს უზრუნველყოფს პროცენტისა და რაოდენობის თვალსაზრისით არაელასტიკური  $B^S$  მიწოდებით, მაშინ როდესაც  $B^D$  მოთხოვნა კომერციული ბანკებიდან მოდის. ვინაიდან ცენტრალური ბანკის გავლენა მხოლოდ ცენტრალური ბანკისადმი ფულის მიწოდებაზე ვრცელდება, ფულის ბაზარზე მას შეუძლია მხოლოდ განაკვეთის ან საბაზისო ფულის მართვა. ორივე მათგანის მაჩვენებელი ექვემდებარება ცენტრალური ბანკის მიერ დასახულ ოპერატიულ მიზანს (Operating Targets). ცენტრალურმა ბანკმა თავისი ოპერატიული მიზნების არჩე-

ვასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, იმის გათვალისწინებით, რომ იგი მისი მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს.

ცენტრალური ბანკის მიერ საბაზისო ფულის მართვის სასარგებლოდ მეტყველებს მასთან ფულის რაოდენობის შედარებით მჭიდრო კავშირი, როგორც ამას ფულის შექმნის მულტიპლიკატორის თეორია გვთავაზობს. საბაზისო ფულის სტაბილური მართვა უნდა ეფუძნებოდეს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომელთა საშუალებითაც ცენტრალური ბანკისადმი ფულის მიწოდების უზრუნველყოფა პროცენტის თვალსაზრისით შედარებით არაეფასტიურად იქნებოდა შესაძლებელი, ანუ, მაგალითად, მინიმალური რეზერვების თანმიმდევრული რეგულირებით. ეჭვგარეშეა, რომ საბაზისო ფულის თანმიმდევრული მართვის უარყოფითი მხარე ფულის ბაზარზე სარგებლის განაკვეთის შედარებით ძლიერ არასტაბილურობაში მდგომარეობს, რაც გამოწვეულია ცენტრალური ბანკის ფულზე მოთხოვნის მერყეობით. სარგებლის განაკვეთების მერყეობა, თავის მხრივ, განაპირობებს რისკებს კომერციული ბანკების საბალანსო უწყისებში. ამ მიზეზის გამო, ცენტრალური ბანკები, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ ფულის ბაზრის განაკვეთის, როგორც ოპერატიული მიზნის მართვას, ფულის რაოდენობის გარკვეული ცვალებადობის გათვალისწინებით.



ნახაზი 6.3: ოპერატიული მიზნები ფულის ბაზარზე ვიწრო კავშირით

*B* საბაზისო ფულის მიმართ მოთხოვნა, რომელიც შესაძლებელია მერყეობდეს  $B^{D'}$ -სა და  $B^{D''}$ -ს შორის, უარყოფითად არის დამოკიდებული ფულის ბაზრის  $r_G$  განაკვეთზე. როგორც საბაზისო ფული, ასევე ფულის ბაზრის განაკვეთი შესაძლებელია გამოდგეს, როგორც ოპერატიული მიზანი, რომლის სიდიდეზეც მონეტარული პოლიტიკა უშუალოდ ახდენს გავლენას. აქედან გამომდინარე, მოთხოვნის მრუდის მდგომარეობის შესახებ გაურკვეველობის შემთხვევაში, სხვა შესაბამისი სიდიდე უფრო ძლიერ მერყეობას განიცდის.

ფულის ბაზრის განაკვეთის მართვა პრინციპში მოთხოვნის მაღალ სტაბილურობაზე არ არის დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ ფულის ბაზრის განაკვეთის მიზნობრივი დონე მიღწეული ან შენარჩუნებულია, ცენტრალურმა ბანკმა საჭიროა მხოლოდ გამოიყენოს ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც აღნიშნული განაკვეთის მიმართ ცენტრალური ბანკის ფულზე წვდომას ზედმიწევნით ელასტიკურს გახდიან. თუ პირიქით, გარკვეულწილად ფულის მიწოდებისა და ფულის მოთხოვნის ცვალებადობის გათვალისწინებით, საჭიროა სარგებლის განაკვეთის დიაპაზონის მართვა, მიზანშეწონილია მონეტარული პოლიტიკის

დიფერენცირებული ინსტრუმენტების გამოყენება. მათ ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყონ შეძლებისდაგვარად მაღალი განაკვეთის მაქსიმალური ლიკვიდობისა და, მეორე მხრივ, კომერციული ბანკების ჭარბი ლიკვიდობის მაქსიმალურად დაბალი განაკვეთით დაბანდების შესაძლებლობა.

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც ცენტრალური ბანკები თავიანთ მიზნებს ახორციელებენ, სამ ჯგუფად იყოფა:

- მინიმალური რეზერვების რეგულირება: კომერციული ბანკების იძულებითი ვალდებულება ცენტრალურ ბანკში განსაზღვრული დეპოზიტების შენახვასთან დაკავშირებით.
- რეფინანსირების ოპერაციები, რომლებიც კომერციულ ბანკებს ნებისმიერ დროს საკუთარი ინიციატივით შეუძლიათ ცენტრალურ ბანკთან აწარმოონ საკუთარი ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.
- ოპერაციები ღია ბაზარზე: ოპერაციები, რომელთა ინიციატორად ცენტრალური ბანკი გვევლინება.

მინიმალური რეზერვების შენახვის ინსტრუქცია, რომელიც სარეზერვო განთავსებების მულტიპლიკატორის საშუალებით, კომერციული ბანკების ბალანსში სარეზერვო მაჩვენებლით არის წარმოდგენილი, ქმნის მათ მყარ ანაზრებს ცენტრალურ ბანკში. მინიმალური რეზერვების იძულებითი ხასიათით გამოწვეული ნაკლოვანებების გამოსწორება შესაძლებელია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, ანაზრებზე სარგებლის დარიცხვის გზით. მინიმალური რეზერვების ვალდებულება კომერციულ ბანკებს ცენტრალური ბანკის პოლიტიკასთან აკავშირებს. იმ შემთხვევაში, თუ მინიმალური რეზერვების პასუხისმგებლობა არა ყოველდღიურ, არამედ საშუალოდ ყოველთვიურ ხასიათს ატარებს, იგი, ჩვეულებრივ ფულის ბაზრის განაკვეთის სტაბილურობაზეც ახდენს გავლენას, ვინაიდან იგი ხელს უწყობს ბანკთაშორისი ბაზრის განვითარებას უშუალოდ ცენტრალური ბანკის ფულისთვის.

რეფინანსირების ოპერაციები განსაზღვრავს ფულის ბაზარზე განაკვეთის დიაპაზონს ზედა და ქვედა საზღვრებს შორის (რეფინანსირების მარჟა). რეფინანსირების მაქსიმალური მოცულობა (ერთდღიანი კრედიტები) ემსახურება კომერციული ბანკების მოკლევადიანი ლიკვიდურობის დეფიციტებიდან „ერთ დამეში“ შედარებით მაღალ განაკვეთზე გადასვლას. ერთდღიანი სადეპოზიტო ოპერაცია კომერციულ ბანკებს სამაგიეროდ შედარებით დაბალი დისკონტური განაკვეთით ცენტრალურ ბანკში ჭარბი ლიკვიდურობის განთავსების საშუალებას აძლევს. ორივე საკრედიტო ხაზის შემთხვევაში მნიშვნელოვანია სარგებლობის პრინციპულად შეუზღუდავი მასშტაბი, რომელიც პრინციპში, ეკონომიკური თვალსაზრისით ფულის ბაზრის განაკვეთით იმართება, ისევე როგორც კომერციული ბანკების ინიციატივის უფლება.

რეფინანსირების მარჟის ფარგლებში, რომელიც ლიკვიდობის უზრუნველყოფას ემსახურება, ღია ბაზრის პოლიტიკის ინსტრუმენტებით ცენტრალური ბანკი მართავს ფულის ბაზრის განაკვეთს. ცენტრალური რეფინანსირების ინსტრუმენტები (დისკონტური ანაზრები, ლომბარდული სესხები) უზრუნველყოფენ ცენტრალური ბანკის ფულის სისტემატურ მიწოდებას კომერციული ბანკებისადმი ბაზარზე არსებული სარგებლის განაკვეთის მიხედვით. როგორც წესი, ეს განსაზღვრულ ვადებში ტრანზაქციების სახით ხდება, როდესაც ცენტრალური

რი ბანკი გამოსყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში (ე.წ. რეპო-გარიგება), ახორციელებს აქტივების ყიდვა-გაყიდვას, ან გასცემს ვადიან იპოთეკურ სესხებს, შესაბამისად, იღებს დეპოზიტებს. ოპერაციების ვადა განისაზღვრება პერიოდით ერთი კვირიდან რამდენიმე თვემდე.

ღია ბაზრის ოპერაციები ხშირად ღია კონკურსის ფორმით, ე.წ. ტენდერის ან აუქციონის სახით ხორციელდება. შესაძლებელია ასევე პირდაპირი ოპერაციები ცენტრალურ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის. ტენდერის მეთოდებში განასხვავებენ განაკვეთის და/ან რაოდენობის ტენდერს. რაოდენობის ტენდერის დროს ცენტრალური ბანკი აწესებს განაკვეთს, რომლის მიხედვითაც იგი კომერციულ ბანკებს ლიკვიდობას სთავაზობს. თუ ტენდერში მონაწილეთა რაოდენობა აჭარბებს განაწილების დასახულ ოდენობას, ხდება საერთო რაოდენობის განაწილება ისე, რომ სატენდერო წინადადებების მომსახურება პროპორციულად (წილობრივად) განხორციელდება. განაკვეთის ტენდერის დროს წარმოდგენილი ლიკვიდობისთვის კომერციულმა ბანკებმა თავად უნდა დააფიქსირონ საკუთარი წინადადება განაკვეთზე. საბოლოო განაწილება ხდება ან ერთიანი განაკვეთის მიხედვით (ჰოლანდიური მოდელი) ან ინდივიდუალურად შემოთავაზებული განაკვეთის მიხედვით (ამერიკული მოდელი). ბუნებრივია, განაკვეთის ტენდერი განაკვეთის მოქნილობასთან დაკავშირებით, მეტ საშუალებას იძლევა. მონეტარული პოლიტიკის ოპერატიულ მიზნებზე უშუალო ზემოქმედების ფარგლებს მიღმა არსებობს მონეტარული პოლიტიკის კიდევ ორი ინსტრუმენტი:

- ინტერვენციები სავალუტო ბაზრებზე: ვალუტის ყიდვა ან გაყიდვა;
- მთავრობის (ფინანსთა სამინისტროს) ტრანზაქციები: სამთავრობო სესხები და სამთავრობო დეპოზიტები.

ცენტრალური ბანკები, როგორც წესი, მართავენ ოფიციალურ სავალუტო რეზერვებს. სავალუტო ბაზრის ტრანზაქციები ემსახურება გაცვლითი კურსის სტაბილურობას ან გამომდინარეობენ საგადახდებლო პოლიტიკის განსაკუთრებული მიზნებიდან. ცენტრალური ბანკის მიერ ვალუტის შესყიდვა ხელს უწყობს ცენტრალური ბანკის მხრიდან ფულის შექმნას და, შესაბამისად, როგორც წესი, ფულის რაოდენობის ზრდას, მაშინ, როდესაც ვალუტის გაყიდვას, როგორც, წესი, ფულის რაოდენობის შემცირება მოჰყვება. მყარი გაცვლითი კურსის საერთაშორისო სისტემაში, რომელშიც ცენტრალურმა ბანკმა ყველა შემთხვევაში უნდა დაიცვას შეთანხმებული გაცვლითი კურსი, მონეტარული პოლიტიკის თვალსაზრისით, იგი კარგავს თავის დამოუკიდებლობას, ვინაიდან ფულის რაოდენობის გაზრდა, საბოლოოდ, საგარეო-ეკონომიკური ფაქტორებით არის განპირობებული.

ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობისათვის ასევე პრობლემატურია სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული ვალდებულებები. ცენტრალური ბანკები, როგორც წესი, მთავრობის მომსახურე ბანკებს წარმოადგენენ, საგადახდებლო ოპერაციების განხორციელების მიზნით. ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის შეჩვენება, პრინციპში, საერთო ეკონომიკური მოთხოვნის შემცირების მხრივ კონიუნქტიურული პოლიტიკის თვალსაზრისით, საინტერესო ინსტრუმენტი იქნებოდა. თუმცა, დღეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტების უმეტესობა არა პროფიციტის, არამედ მეტწილად დეფიციტის განიცდის. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური ბანკი ვალ-

დებული იქნებოდა შეუზღუდავად შეეცხო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, ამის სანაცვლოდ წარმოიშობოდა ასევე განუსაზღვრელი რაოდენობის დეპოზიტები ცენტრალური ბანკის ფულის მიმართ, რომელიც, თავის მხრივ ფულის მასის გაზრდისა და აქედან გამომდინარე, საბოლოოდ, ინფლაციის არსებობის მიზეზი გახდებოდა.

აქედან გამომდინარე, საგარეო-ეკონომიკური და საბიუჯეტო პოლიტიკის ვალდებულებები ინფლაციასთან ფულადი პოლიტიკის წარმატებულ ბრძოლაში, შესაძლებელია მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოადგენდეს. ამ მიზეზით, თანამედროვე ცენტრალური ბანკების კანონმდებლობა ცდილობს, ფულის გამოშვება შეძლებისდაგვარად დააშოროს სავალუტო ბაზრებსა და სახელმწიფო ფინანსებს. ცენტრალური ბანკის ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებასთან დაკავშირებით, მკვეთრად შეზღუდული ან საეცხვითი აკრძალულია. თქმისრებული გაცვლითი კურსის ხანგრძლივ დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულება, სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების საშუალებით, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ დგება დღის წესრიგში, როდესაც ამ გზით საჭიროა ინფლაციასთან ბრძოლის პოლიტიკის მხარდაჭერა. ეს ხდება ე.წ. სავალუტო საბჭოს (Currency Boards) შემთხვევაში, როდესაც ქვეყნის შიგნით ფულის გამოშვება ცალსახად მხოლოდ მყარი უცხოური ვალუტის შემოღინების მიზეზით ხორციელდება. ეს ფორმა ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით ინფლაციის მოლოდინების განსაკუთრებით ხანგრძლივი დროით შემცირებას.

### 6.5 მაგალითი: მონეტარული პოლიტიკა ევროზონაში

1999 წლის 1 იანვრიდან თავდაპირველად ევროზონის თერთმეტ, 2011 წლამდე კი უკვე ჩვიდმეტ წევრ ქვეყანაში ევრო საყოველთაოდ აუცილებელ ერთიან ვალუტად იქცა. მონეტარული პოლიტიკის თვალსაზრისით, ახალი ვალუტის მართვაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას, რომელიც შედგება ევროზონაში შემავალი ქვეყნების ეროვნული და ცენტრალური ბანკებისა და ეცბ – ევროპის ერთიანი ცენტრალური ბანკისაგან (ECB – European Central Bank). 2002 წლის 1 იანვრიდან ევრომ უკვე ნაღდი ფულის სახითაც ჩაანაცვლა ძველი ეროვნულ ვალუტებში დენომინირებული ბანკნოტები და მონეტები.

ევროზონის მონეტარული პოლიტიკის საბოლოო მიზანს ცალსახად წარმოადგენს ფასის დონის სტაბილურობა. იგი იზომება სპეციალური ფასის ინდექსის – სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის ზრდის მეშვეობით (HVPPI). მონეტარული პოლიტიკის შუალედური მიზნის არჩევასთან დაკავშირებით, ეცბ გამოკვეთილ, თეორიულად დასაბუთებულ კონცეფციაზე დღემდე ვერ შეტერდა. იმის გამო, რომ ევროზონაში ფულის მოთხოვნის სტაბილურობა დღემდე დაკავშირებულია რისკებთან, ამასთან, ევროპის ფინანსურ ბაზრებზე მონეტარული პოლიტიკის ტრანსმისიის მექანიზმები რთულად პროგნოზირებადი და შეყოვნებადი შედეგებით ხასიათდება და მისი წარმართვის პროცედურა უზუსტობებით გამოირჩევა, ეცბ-მა აირჩია სპეციფიკური ე.წ. ორი მიმართულების სტრატეგია. პირველი მიმართულება გულისხმობს ეცბ-ს მიერ შესაძლო ინფლაციის ინდიკატორების ფართო სპექტრის შეფასებას მაშინ, როდესაც მეორე მიმართულება M3 – აგრეგატის ზრდის ინდიკატურ დონეს განსაზღვრავს. ორი



მიმართულებების სტრატეგია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ფულის რაოდენობის მართვისა და ინფლაციის თარგეთირების კომბინაცია. თუმცა კვლავაც არსებობს საფუძველი და მოთხოვნა იმაზე, რომ გადამოწმდეს ორმიმართულებიანი სტრატეგიის სარგებლიანობა და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ერთგანზომილებიანი შუალედურ მიზანზე გადასვლა.

M3-ის ზრდისათვის საჭირო ამოსავალი პოზიციის განმარტებისას ეცბ ორიენტაციას იღებს რაოდენობრივი თეორიის პოტენციურ ფორმულაზე. M3-ის ზრდის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც წელიწადში 4,5%-ს შეადგენს, გამოდინარეობს გათვლიდან, რომ ინფლაციამ უნდა მიაღწიოს არაუმეტეს 2%-ს, ევროზონაში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ უნდა შეადგინოს დაახლოებით 2%-ი, ხოლო ბრუნვის სიჩქარის კლებამ, ტენდენციის გათვალისწინებით, წელიწადში დაახლოებით 0,5%-ი. ეცბ მიზნობრივ მაჩვენებელს განიხილავს, როგორც რეკომენდაციის ღირებულებას, რომლის გადაჭარბება ან გამოუყენებლობა მონეტარული პოლიტიკის კურსზე უშუალო გავლენას არ ახდენს. კონკრეტული მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების გატარებამდე ბევრად მნიშვნელოვანია თავდაპირველად პირველი მიმართულების მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახვევის მიზეზისა და მეორე მიმართულების განვითარების გაანალიზება. იმ ინდიკატორებს, რომელთა მიმართაც მეორე მიმართულების ფარგლებში ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს, უპირატესად მიეკუთვნება სიდიდეები, რომლებიც წინასწარი მონაცემებით ფასების ღონის სამომავლო განვითარების შეფასებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. მათ რიცხვს განეკუთვნებიან, მაგალითად საწარმოო სიმძლავრის გამოყენება, ხელფასის პირდაპირი ხარჯები ან სარგებლის განაკვეთის სტრუქტურა, სიტუაციის მიხედვით ასევე გაცვლითი კურსი და იმპორტირებული ნედლეულის ფასები.


ეცბ-ს მონეტარული პოლიტიკის ოპერატიულ მიზანს წარმოადგენს არასაბაზისო ფული, არამედ ფულის ბაზარზე ვიწრო ვაგებით ერთდღიანი განაკვეთის განსაზღვრა. ამასთან, კონკრეტულად საქმე ეხება ევროზონის ბანკთაშორის ოპერაციებში საშუალო ერთდღიან განაკვეთს. (EONIA – European Overnight Index Average). EONIA-ზე გავლენას ახდენს ეცბ-ს მონეტარული პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტები. კომერციული ბანკების დეპოზიტებისა და ობლიგაციების სახით არსებული ვალდებულებებისათვის, რომელთა მოქმედების, შესაბამისად შენახვის, ვადა ორ წლამდე პერიოდით განისაზღვრება, ევროპის ცენტრალური ბანკი 2012 წლის იანვრიდან იღებს მინიმალური რეზერვის კოეფიციენტს 1%-ის ოდენობით (მანამდე 2 %-ი), რაც ყველა კომერციულ ბანკს უწესებს მინიმალური რეზერვის აუცილებელ განაკვეთს, რომლის გადახდაც საშუალოდ, ყოველთვიურად არის აუცილებელი. მინიმალური რეზერვის სავალდებულო განაკვეთის ნაშთს ერიცხება სარგებელი, რომელიც ორიენტირებულია რეფინანსირების ძირითად განაკვეთზე. გარდა ამისა, განისაზღვრება რეფინანსირების მაქსიმალური მოცულობა და ერთდღიანი სადეპოზიტო ოპერაცია, რომლებიც ევროზონაზე განსაზღვრავენ რეფინანსირების მარჟას. როგორც ეს ნახაზე 6.4-ია ნაჩვენები, მათ შორის არსებობს რეფინანსირების ძირითადი განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება ღია ბაზარზე არსებული სატენდერო ოპერაციების შედეგად. რეფინანსირების ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენს ყოველკვირეული კრედიტები ერთკვირიანი მოქმედების ვადით (ძირითადი ტენდერი). გარდა ამისა, არსებობს ყოველთვიური უფრო ხანგრძლივი მოქმედების რეფინანსირების ოპერაციები სამთვიანი მოქმედების ვადით (საბაზისო ტენდერი).

ევროპის ცენტრალური ბანკისათვის ყველაზე დიდი გამოწვევა დაკავშირებული იყო ფინანსურ კრიზისთან, რომელიც დაიწყო 2007 წელს. საბანკო სექ-

ტორში არსებულმა ციებ-ცხელებამ და პარალელურად ისეთი საკრედიტო ინსტიტუტების გაკოტრებამ, რომლებიც აღნიშნულ დრომდე არანაირ რისკთან არ ასოცირდებოდნენ, პრაქტიკულად, ბანკთაშორის ბაზრის ნგრევა გამოიწვია. ბანკებისათვის გაზრდილი და არასაიმედო ერთდღიანი განაკვეთი თავისთავად გულისხმობდა კრედიტების გაცემის შემცირებისა და, შესაბამისად, იმ საფრთხის არსებობას, რომ შეიცვლებოდა მიწოდებული საბაზისო ფულის დამოკიდებულება ფულის რეალურ რაოდენობასთან. ფულის გამოშვების პროცესზე ხელახალი კონტროლის მოპოვებისა და ბანკების რეფინანსირების სტრუქტურის სტაბილურობის აღდგენის მიზნით, ეცბ-მ გაზარდა საბაზისო ტენდერის წილი ცენტრალური ბანკის საერთო ჯამში არსებულ ფულში და დაუშვა მასში უამრავი საკრედიტო ინსტიტუტის მონაწილეობა. ერთდღიანი განაკვეთის ზრდის (ფულის გაძვირების) საწინააღმდეგოდ კი მას არანაირი ზომები არ მიუღია.

2008 წლის შემოდგომაზე კრიზისის გამწვავებასთან ერთად, ეცბ-მ თავისი კურსი კიდევ ერთხელ შეცვალა. ვინაიდან კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაცემის შემცირება აღქმული იქნა, როგორც მოახლოებული კრიზისის სერიოზული საფუძველი, ეცბ-მ ნაწილობრივ საკუთარ თავზე აიღო ბანკთაშორის ბაზრის როლი და გაანახევრა რეფინანსირების მარჟა 1%-მდე.

(პროცენტები %, ყოველდღიური მაჩვენებლები)



წყარო: EZB.  
შენიშვნა: რეფინანსირების მაქსიმალური განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც გამოიყენებოდა 2000 წლის 28 ივნისამდე და 2008 წლის 15 ოქტომბრიდან რაოდენობის ტენდერისათვის. მოცემული დროის შუალედში აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი შეესაბამება საპროცენტო ტენდერისათვის გამოყენებული მინიმალური შეთავაზების განაკვეთს.

ნახაზი 6.4: ეცბ-საპროცენტო განაკვეთები და ყოველდღიური კურსი

რეფინანსირების მარჟა, რომელიც განისაზღვრება დისკონტური განაკვეთით, სასესო განაკვეთით და რეფინანსირების ძირითადი (მაქსიმალური მიზნობრივი) განაკვეთით. მარჟის ფარგლებში ეცბ ცდილობს ერთდღიანი განაკვეთების საბაზრო ღონის ფორმირებაზე გავლენას.

გარდა ამისა, ფულის ბაზრის ლიკვიდობის გაზრდისა და რეფინანსირების ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით, მან შეცვალა რაოდენობრივ ტენდერში განაკვეთის განაწილების მეთოდიკა თავდაპირველად სრული განაწილებით, ანუ შემდგომი რეპატრიაციის გარეშე. ვინაიდან კონიუნ-

ქტიურის გაუარესება და კრედიტების გაცემის შემცირება ინფლაციის მოლოდინს ამცირებდა, გარდა ამისა, მან რეფინანსირების ძირითადი განაკვეთი რამდენიმე თვის განმავლობაში 2008 წლის სექტემბერში არსებული 3,75%-დან 2009 წლის მაისში 1%-მდე შეამცირა.

2011 წელს რეფინანსირების ძირითადი განაკვეთი ხანმოკლე დროით კვლავ გაიზარდა, თუმცა წლის ბოლოს იგი კვლავ 1%-მდე და 2012 წლის ივლისში 0,75%-მდე შემცირდა, რეფინანსირების მარჟა 1,5%-მდე გაიზარდა, ხოლო დისკონტურმა განაკვეთმა 2012 წლის ივლისისთვის მან 0%-ი შეადგინა.

2010 წლის შუა პერიოდის ევროზონის ფინანსური ბაზრების სტაბილურობასთან და საბანკო სისტემის ქმედითუნარიანობასთან წარმომობილი პრობლემების გამო, ეცბ იძულებული გახდა, არატრადიციული ღონისძიებებისათვის მიემართა. 2010 წლის მაისში ეცბ-მ მიიღო გადაწყვეტილება, ევროზონის წევრი კრიზისული ქვეყნების სახელმწიფოებისგან პირდაპირი გზით გამოეყვინა სახელმწიფო სესხები. 2011 წლის დეკემბერსა და 2012 წლის თებერვალში ბანკებთან გრძელვადიანი რეფინანსირების ოპერაციების მოქმედების ვადა 3 წლით გაიზარდა, რათა საბანკო სექტორისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა მნიშვნელოვანი ლიკვიდობა, და, ბოლოს, 2012 წელს ევროპის ცენტრალურმა ბანკმა განაცხადა, რომ იგი შეისყიდდა კრიზისული ქვეყნების სახელმწიფო სესხებს ღია ბაზარზე რაოდენობრივი შეზღუდვის გარეშე, თუ აღნიშნული ქვეყნები იმავდროულად მონაწილეობას მიიღებდნენ მაკროეკონომიკური რეფორმების პროგრამაში. ეცბ-ს ამ განცხადებამ მაშინვე გამოიწვია ფინანსურ ბაზრებზე სიმშვიდე ისე, რომ დღემდე საჭირო აღარ გამხდარა დაფინანსების შესაძლებლობების გამოყენება. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტების ამკარა დაფინანსების მზადყოფნამ, ასევე მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას შორის მკვეთრი გადახედვა და შერბილება გამოიწვია, რაც მანამდე ეცბ-ს მონეტარული პოლიტიკის ძირითად ელემენტს წარმოადგენდა. თუ როგორი მოკლე და გრძელვადიანი შედეგები მოჰყვება მონეტარული პოლიტიკის ამ ახალ სტრატეგიას, დრო გვიჩვენებს (შედრ. თავი 17.3).

ბანკებისადმი გამოყოფილი რეფინანსირების კრედიტების მასობრივი გაფართოებით, ამ ეტაპზე ევროზონაში ფინანსური კრიზისის დაწყების შემდეგ, უპირველეს ყოვლისა მკვეთრად გაიზარდა საბაზისო ფული. სამაგიეროდ, M3 ფულის რაოდენობამ მხოლოდ მცირედ მოიმატა, ვინაიდან კომერციული ბანკები, ერთი მხრივ, უსაფრთხოების მიზნით ცენტრალურ ბანკში თავისუფალი სახსრების დიდი რაოდენობა აქვთ განთავსებული, ხოლო მეორე მხრივ, შემცირდა კომერციული ბანკების მიერ კერძო პირებსა და ფირმებზე სესხების გაცემა. შესაბამისად, მართალია, მოხდა ინფლაციის ღონის მერყეობის ზრდა, მაგრამ მკვეთრად გამოსატყუარი ინფლაციური ტენდენციები ჯერ-ჯერობით არ ფიქსირდება. 2010 წლამდე ეცბ-მ შეძლო, შეენარჩუნებინა ევროზონაში ინფლაციის ღონის სტაბილურობა, რაც, მართალია, მისთვის სასურველ დონეზე ნაკლებია, მაგრამ 2%-ის ფარგლებში მერყეობს. ინფლაციის დონე 2011 წელს ამკარად, ხოლო 2012 წელს მცირედ აღემატებოდა მიზნობრივ მაჩვენებელს. მომავალში ინფლაციის განვითარებისათვის გადამწყვეტი იქნება, რამდენად შეძლებს ეცბ ფულის მიწოდების ზრდის შეჩერებას და M3-ის მკვეთრი ზრდისათვის ხელის შეშლას.

### ძირითადი სწავებები

- ეკონომიკური ცნებები  
ფული  
ფასების დონე
- ფულადი პოლიტიკა  
ლიკვიდურობის შენარჩუნების საშუალებები  
ღია ბაზრის პოლიტიკა  
მინიმალური რეზერვების პოლიტიკა
- ევროპის ცენტრალური ბანკი  
ორი სვეტის სტრატეგია  
ევრო სესხის მოკლევადიანი ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთი
- ფინანსური კრიზისი
- კლასიკური რაოდენობრივი თეორია  
ფულის ბრუნვის სიჩქარე  
ნაღდი ფულის ფლობის კოეფიციენტი  
ახალი რაოდენობრივი თეორია  
მონეტარიზმი  
პოტენციური ფორმულა
- ფულის რაოდენობა  
ინფლაციური ტარგეტირება  
ფულის ბაზარი  
ოპერაციული მიზნობრივი მაჩვენებელი

### დავალეგები

1. **ფულის რაოდენობის მართვა ინფლაციური ტარგეტირების საწინააღმდეგოდ**  
იმსჯელეთ, მონეტარული პოლიტიკის რომელი ინსტრუმენტების გამოყენება სჭობს, მონეტარული პოლიტიკის ორივე, ურთიერთგანსხვავებული შუალედური მიზნის მისაღწევად?
2. **ბიუჯეტის დეფიციტი და ფულის ემისია**  
ფულის წარმოების მრავალსაფეხურიანი მოდელის მიხედვით განმარტეთ, სახელმწიფო ბიუჯეტების დეფიციტების შეუზღუდავი დაფინანსება რატომ გამოიწვევს ცენტრალური ბანკისთვის ცალსახად და ხანგრძლივი დროით ინფლაციას?
3. **ელექტრონული ფულის ბაზარი და მონეტარული პოლიტიკა**  
რა პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს მონეტარული პოლიტიკისათვის ელექტრონული გადახდის საშუალებების მზარდმა გამოყენებამ, განსაკუთრებით ელექტრონული ფულის ბაზრის ფორმით?
4. **მონეტარული პოლიტიკის პრობლემები აღმოსავლეთ გერმანიაში ვალუტის შეცვლის თვალსაზრისით**  
1990 წელს აღმოსავლეთ გერმანიაში დოიჩე მარკის შემოღებისათვის მზადების პროცესში აღმოჩნდა, რომ ფულის ბრუნვის სიჩქარე აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში დაახლოებით ერთნაირი იყო. თუმცა, იგი სავარაუდოდ,

აღმოსავლეთ გერმანიაში დასავლეთთან შედარებით მაინც ნაკლები უნდა ყოფილიყო. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი?

### გამოყენებული ლიტერატურა

ფულადი პოლიტიკის თეორიულ საფუძვლებს, განსაკუთრებით რაოდენობრივი თეორიის გათვალისწინებით, აღწერს Issing (2011), ფულადი პოლიტიკის სხვადასხვა სტრატეგიებსა და ინსტრუმენტებს აანალიზებენ Bofinger (2001), Görgens და სხვ. (2008). ევროპის ცენტრალური ბანკის ფულადი პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან Issing და სხვ. (2001). სხვა დანარჩენ ინფორმაციას გვთავაზობს ეცბ-ს ვებ-გვერდი ([www.ecb.int](http://www.ecb.int)).

## ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა ინვესტიციების წახალისების გზით

7

|     |   |     |
|-----|---|-----|
| 7.1 | დანაზოგები, ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა .....            | 157 |
| 7.2 | ინვესტორთა ქცევის დეტერმინანტები .....                        | 159 |
|     | 7.2.1 რენტაბელურობის ასპექტები .....                          | 159 |
|     | 7.2.2 მოთხოვნის ასპექტები .....                               | 161 |
|     | 7.2.3 დადებითი სექტორული და რეგიონული გარე ეფექტები .....     | 162 |
| 7.3 | ინვესტიციების ხელშეწყობის ინსტრუმენტები .....                 | 163 |
| 7.4 | მაგალითი: რეგიონული ინვესტიციების ხელშეწყობა გერმანიაში ..... | 164 |

მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა



### სწავლების მიზნები

- ინვესტიციები ერთობლივი მოთხოვნის კომპონენტია, რომელსაც ეკონომიკურ პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ამის მიზეზს ერთი მხრივ, წარმოადგენს მათი კონუნქტიურულ რყევებზე განსაკუთრებული რეაქციის უნარი, მეორე მხრივ, ინვესტიციები ხელს უწყობენ ეროვნულ ეკონომიკაში ძირითადი კაპიტალის (მთლიანი კაპიტალ-დაბანდება, კაპიტალის მთლიანი მიწოდება) ზრდას და ამით გავლენას ახდენენ ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებაზე.
- ეკონომიკის კლასიკოსების წარმოდგენით, კაპიტალის ბაზარზე რეალური სარგებელი (სარგებლის განაკვეთის რეალური დონე) დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის წონასწორობის დამყარებას უწყობს ხელს. კეინზიანური თეორიის თანახმად, აღნიშნული პროცესი ბევრად კომპლექსურია. მაშინ, როდესაც დანაზოგი დამოკიდებულია შემოსავალზე, ინვესტიციები მიმართულია პროცენტზე, რომელზეც გავლენას ახდენენ რეალური ეკონომიკური და მონეტარული განვითარების პროცესები.
- რენტაბელურობის ასპექტების თვალსაზრისით, კერძო საინვესტიციო მოთხოვნა დამოკიდებულია საინვესტიციო ობიექტების მოგების მოლოდინზე დაფინანსების ხარჯებთან მიმართებაში. სარგებლის საბაზრო განაკვეთების ზრდა განაპირობებს დაფინანსების ხარჯების ზრდას და, შესაბამისად, ინვესტიციების მოცულობის შემცირებას.
- აქსელერატორის ჰიპოთეზის მიხედვით, დამატებითი მოთხოვნის მოლოდინი მერყემებს ინვესტიციების გზით წარმოების მოცულობის გაფართოებისკენ უბიძგებს. კონიუნქტურულ რყევებს, შესაბამისად, თან მოჰყვება ინვესტიციებზე მოთხოვნის მზარდი მერყეობა.
- და ბოლოს, ინვესტიციებზე გავლენას ახდენს სხვა ინვესტიციების დადებითი გარე ეფექტები, რასაც სექტორული და რეგიონული კლასტერების შექმნამდე მივყავართ.
- სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების წახალისება წარმოქმნის ინვესტორთა ქცევების სხვადასხვა დეტერმინანტებს. იგი გავლენას ახდენს მოგების მოლოდინებზე, რეფინანსირების ხარჯებსა და მოთხოვნის მოლოდინებზე ან ხელს უწყობს კლასტერის ჩამოყალიბებას.
- გერმანიაში არსებობს ინვესტიციებისათვის ხელმეწყობის მასშტაბური და დიფერენცირებული სისტემა, რომელიც პირველ რიგში, მიმართულია რეგიონული განვითარების თვალსაზრისით არსებული განსხვავებების გათანაბრებისაკენ. და მაინც, აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკაში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, აღნიშნული ინსტრუმენტების ეფექტიანობა შეზღუდულია.

### 7.1 დანაზოგები, ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა

ეროვნულ ეკონომიკაში მოცემული პერიოდისათვის წარმოებულ საქონელსა და მომსახურებებს სხვადასხვა გამოყენება აქვთ. სახელმწიფო მოხმარება, კერძო მოხმარება და საზღვარგარეთთან გაცვლითი ურთიერთობები უწყვეტ კონკურენციას კერძო და სახელმწიფო ინვესტიციებს, რომელთაგანაც უკანასკნელი, პირველ რიგში, ეროვნული ეკონომიკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში მდგომარეობს. კერძო ინვესტიციები ეს არის კერძო სექტორში განხორციელებული კაპიტალდაბანდება. მთლიან შიდა პროდუქტში კერძო ინვესტიციის წილი უმეტეს შემთხვევებში კერძო მოხმარების წილზე ნაკლებია. თუმცა, მთლიანი ეკონომიკის პენსიფიციტიდან, სწორედ მათ მიაკუთვნებენ გადამწყვეტ პოზიციას, რაც მათ ეკონომიკური პოლიტიკის მართვის უპირატეს სა-მიზნედ აქცევს. კერძო ინვესტიციები, ერთი მხრივ, წარმოადგენენ ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის შემადგენელ ნაწილს, რომელიც კონიუნქტურაზე განსაკუთრებით სწრაფად რეაგირებს და რომლის მიზანმიმართული გავლენაც ისევ და ისევ მთლიანი შიდა პროდუქტის კონიუნქტიურული რყევების შემცირების უწყობს ხელს. მეორე მხრივ, ნეტო ინვესტიციები, ე.ი. მთლიან ინვესტიციას გამოკლებული ამორტიზაციის ხარჯები, ზრდიან ეროვნული ეკონომიკის ძირითად კაპიტალს (მთლიან კაპიტალდაბანდებას) და ამით, სამომავლოდ ქმნიან წარმოებისა და დასაქმების შესაძლებლობების წინაპირობებს. სწორედ ეს აქცევს ინვესტიციების ხელმეწყობას ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის ცენტრალურ ელემენტად, რომელიც არამარტო მთლიანი ეკონომიკის დონეზე ჰპოვებს ასახვას, არამედ სექტორული თუ რეგიონული დიფერენცირების შემთხვევაშიც, სტრუქტურული პოლიტიკის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს.

ავტარკიულ ეკონომიკაში წმინდა ინვესტიციები, ანუ ახალი კაპიტალის წარმოქმნა უნდა შეესაბამებოდეს საერთო ეკონომიკურ დანაზოგს, ანუ უნდა იყოს მიმდინარე მოხმარებაზე უარის თქმის პროპორციული. ღია ეკონომიკაში ქვეყნის შიდა დანაზოგი შესაძლებელია, ქვეყნის შიგნით მიმდინარე ბალანსის სალდოების საშუალებით, ძირითადი კაპიტალის შექმნასთან ერთად, საზღვარგარეთ საინვესტიციო პოზიციის შექმნის ან მისი შემცირებისათვის იქნას გამოყენებული. თუმცა, მიმდინარე ბალანსის დარღვეული წონასწორობა ფართო მასშტაბით და ხანგრძლივი დროით, გამონაკლისს წარმოადგენს. ქვეყანათა უმეტესობაში მთლიანი ეკონომიკის საინვესტიციო ქვოტა მთლიანი ეკონომიკის დანაზოგის ქვოტასთან საკმაოდ მჭიდროდ შესაბამისობაში მოდის. აღნიშნულ კავშირს ასევე ფელდშტეინ-ჰორიკას პარადოქსი ეწოდება. ამ ფენომენის ასახსნელად სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების შესაძლო არასრულყოფილობის გარდა, ყურადღებას იმსახურებს, უპირველეს ყოვლისა, მოცემულ ქვეყანაში რეალური კაპიტალისა და ადამიანური კაპიტალის (რესურსის) ჩამოყალიბებას შორის არსებული საკმაოდ მასშტაბური კომპლემენტარულობა. ამის უკან დგას მოსაზრება, რომ ქვეყნის შიგნით ცალკე აღებული რეალური კაპიტალის გაზრდა ნაკლებ პროდუქტიული და ეფექტურია, თუ პარალელურად არ მოხდება დასაქმებული სამუშაო ძალების კვალიფიკაციის ამაღლება ჰუმანური კაპიტალის (რესურსის) ინვესტირების გზით. რაც შეეხება ჰუმანური კაპიტალის ინვესტირებას, იგი ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით არსებულ დანაზოგზე და საზღვარგარეთ მოხმარების შეზღუდვაზე. თუმცა, საბოლოო ჯამში, ამით ქვეყნის შიგნით არსებული დანაზოგი ქვეყანაში რეალური კაპიტალის წარმოქმნის მასშტაბსაც ზღუდავს.

მთლიანი ეკონომიკის დონეზე, დანაზოგისა და ინვესტიციების ტოლობა ადვილად აიხსნებოდა, თუ ორივე აგრეგატის სიდიდე საბაზრო ფასის, რეალური სარგებლის გზით შესაბამისობაში მოვა. კაპიტალის ბაზრის საერთო ეკონომიკურ მოდელში დანაზოგის წარმოქმნა სარგებლის განაკვეთზე დადებითად უნდა იყოს დამოკიდებული, ხოლო კერძო ინვესტიციები კი – უარყოფითად. ამასთან, სარგებლის განაკვეთი ზუსტად იმ დონეს უნდა აღწევდეს, რომელთანაც დანაზოგი და ინვესტიციები შესაბამისობაში მოდიან. თუმცა, ეს იდეალური მოდელი არასაკმარისია თანამედროვე მაღალგანვითარებული ეკონომიკების კაპიტალის ბაზრებზე არსებული კომპლექსური კავშირების ჩამოსაყალიბებლად. ფულის, როგორც კაპიტალდაბანდების საშუალების არსებობა არ ნიშნავს, რომ ყოველი დანაზოგი უშუალოდ რეალური კაპიტალის შესაქმნელად უნდა იქნას გამოყენებული, გარდა ამისა სარგებლის განაკვეთის ფორმირებაზე ასევე გავლენას ახდენს ფულის ბაზარზე განვითარებული მოვლენებიც. შემდგომში ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დანაზოგის წარმოქმნა შემოსავლების ცვლილებებზეც დადებითად რეაგირებს. სწორედ ამ კავშირზეა აგებული კეინსის შიშოთეზაც, რომლის თანახმადაც, ინვესტიციების გაზრდა წარმოებისა და შემოსავლების ზრდის საშუალებით, თავად ქმნის საჭირო დანაზოგს.

ვინაიდან, საბაზრო ეკონომიკაში ინვესტიციების მიწოდების, აკრძალვისა და ლიცენზიების გზით კერძო ინვესტიციების პირდაპირი მართვა, წესრიგის პოლიტიკის თვალსაზრისით, სერიოზულ შეზღუდვებს აწყდება, ინვესტორთა ქცევაზე ზემოქმედების ღონისძიებები, როგორც წესი, კერძო საინვესტიციო გადაწყვეტილებების ეგზოგენურ პარამეტრებზე ირიბად ზემოქმედებენ.

**ჟან ბატისტ სეი და გასაღების ბაზრების კანონი**

ჟან ბატისტ სეიმ (1767-1832), დაბადებული ლიონში, ქსოვილებით მოვაჭრის ოჯახში, თავისი პირველი პროფესიული გამოცდილება მიიღო ინგლისში 1785 წელს, სადაც ის ადამ სმიტის შრომებს გაეცნო. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ, რევოლუციისა და ნაპოლეონის მმართველობის დროს, იგი დაკავებული იყო, როგორც პუბლიცისტიკით, ასევე პოლიტიკით. 1806 წელს მან დაარსა ზამბის ქარხანა, სადაც დასაქმებული იყო რამდენიმე ასეული ადამიანი და რომელიც მოგვიანებით გაყიდა, რათა ბირჟის მოთამაშედ დაეწყო მოღვაწეობა. 1815 წლიდან იგი გახდა პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მისი მთავარი შრომაა: *Traité d'Economie Politique ou Simple Exposé de la Manière dont se Forment, se Distribuent et se Consomment les Richesses* (Paris, 1803).

სეი იყო ადამ სმიტის ლიბერალური ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გამაგრებელი მთელ კონტინენტზე. როგორც მანამდე სმიტი და მის შემდეგ უკვე რიკარდო, სეი მოუწოდებდა თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობისკენ, როგორც ეროვნული კეთილდღეობის ამალღების საშუალებისაკენ. სეის მიერ თავის ტრაქტატში განვითარებული კანონი გასაღების გზების შესახებ, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, კლასიკური ეკონომიკური აზროვნების ერთგვარ დასრულებულ ფორმას წარმოადგენს. სეის მიხედვით, საქონლის ნებისმიერი ახალი შეთავაზება, გამომდინარე იქედან, რომ იგი ხელს უწყობს წარმოებაში ახალი შემოსავლების წარმოქმნას, თავის მხრივ, საბოლოოდ გამოიწვევს აღნიშნულ

საქონელზე საკმარის მოთხოვნას, თუ ფასწარმოქმნა ყველა ბაზარზე საბაზრო წონასწორობას დაამყარებს. ამით სეიმ უარყო თეზისი, რომ არასაკმარისი ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის გამო, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს კონიუნქტიურულ კრიზისს. მისი არგუმენტაცია ეფუძნება მხოლოდ ზედმიწევნით ღრმად განვითარებულ მონეტარული ეკონომიკის მოდელს. იგი შესაბამისად, სარგებლის განაკვეთსაც განიხილავდა, როგორც წმინდად რეალური ეკონომიკის მიერ განსაზღვრულ ფასს, რომელიც ყველა მოცემულ პერიოდში ეკონომიკის საერთო ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის წონასწორობას უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ, სეის მიერ განვითარებული თეორემის დასაძლევად, კეინსის შრომებში საჭირო გახდა, მონეტარული ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ ზევრად უფრო დიფერენცირებული თეორიისა და სარგებლის განაკვეთის შესახებ ახალი თეორიის განვითარება.

**7.2 ინვესტორთა ქცევის დეტერმინანტები**

**7.2.1 რენტაბელურობის ასპექტები**


კერძო მეწარმეების საინვესტიციო მოთხოვნის მთავარ დეტერმინანტებად განიხილება რენტაბელურობის ასპექტი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს. ზუსტად ისევე, როგორც ცალკეული რაციონალურად მოქმედი ინვესტორი საინვესტიციო პროექტის რეალიზებას იწყებს მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი მას რენტაბელურად მიიჩნევს, ერთად აღებული ყველა მეწარმეც ეროვნული ეკონომიკის ძირითადი კაპიტალის გაზრდას მხოლოდ რენტაბელურობიდან გამომდინარე ახორციელებს. ცალკეული ინვესტიციის რენტაბელურობის მასშტაბად მათი შიდა განაკვეთი გამოიყენება. იგი წარმოადგენს სარგებლის განაკვეთს, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს საინვესტიციო ობიექტის სასიცოცხლო ციკლის პერიოდში მოსალოდნელი მოგების  $R_t$  ( $t = 0, \dots, T$ ), ანუ ყოველწლიურად წარმოქმნილ შემოსავლებსა და ყოველწლიურ ხარჯებს შორის არსებული სხვაობის დისკონტირება, რათა შეძენის მომენტში მისი კაპიტალის ღირებულება  $t = 0$  ზუსტად შეესაბამებოდეს ობიექტის შესაძენად გაღებულ ხარჯებს. იმ შემთხვევაში, თუ შიდა ძირითადი განაკვეთი აღემატება  $r$  საბაზრო განაკვეთს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ფულის სესხება ან გასესხება, საინვესტიციო პროექტი რენტაბელურად ითვლება. ინვესტორს მსგავს შემთხვევაში ინვესტიციის დასაფინანსებლად შეუძლია აიღოს კრედიტი, რომლის პროცენტებიც ინვესტიციიდან მიღებული მოგებით იფარება. ასევე სავსებით მისაღები იქნებოდა ინვესტორის მიერ დაფინანსების განხორციელება საკუთარი საშუალებებით, რადგან მათი დაბანდებით კაპიტალის ბაზარზე არსებული  $r$  განაკვეთის მიხედვით ზევრად ნაკლები მოგებაა მოსალოდნელი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნულ ეკონომიკაში შესაძლებელია უამრავი საინვესტიციო პროექტის რეალიზება სხვადასხვა ოდენობის შიდა განაკვეთის დარიცხვით, რეალურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ცალსახად  $r$  საბაზრო განაკვეთის

ოდენობის მიხედვით განისაზღვრება. რაც უფრო დაბალია  $r$ -ი, მით უფრო მეტ საინვესტიციო ობიექტს აქვს  $r$ -ზე მაღალი შიდა განაკვეთი და ამდენად, ინვესტიციის განხორციელებაც რენტაბელურობის თვალსაზრისით, პერსპექტიულად გამოიყურება. მოცემული შიდა  $i$  დარიცხვისათვის, რომელიც ინვესტიციის ყველანაირი შესაძლო ალტერნატივის შიდა დარიცხვის საშუალო მაჩვენებელს წარმოადგენს, არსებობს ინვერსული კავშირი  $r$  საბაზრო განაკვეთსა და საინვესტიციო მოთხოვნას (კაპიტალზე მოთხოვნას) შორის. ფორმალურად იგი გა-მოისახება ინვესტიციის ფუნქციით:

$$I = I(r, i) \text{ ამასთან } \frac{\partial I}{\partial r} < 0 \quad (7.1)$$

გრაფიკულად ეს კავშირი გამოსახულია ნახაზზე 7.1.

ვინაიდან შიდა განაკვეთის სიდიდე თავის მხრივ დამოკიდებულია მოგებაზე, რომელიც დაგეგმილი ინვესტიციის რეალიზების შედეგად არის მოსალოდნე-ლი, მოგებასთან დაკავშირებული მოლოდინების ცვლილებები საინვესტიციო მოთხოვნაზე ახდენენ გავლენას. მოგების მზარდი მოლოდინები, რომლებიც შე-საძლოა გამოწვეული იყოს მაგალითად, ინვესტიციებთან დაკავშირებული მიმ-დინარე ხარჯების მოსალოდნელი შემცირებით, ხელს შეუწყობდნენ შიდა განაკ-ვეთის  $i_1$ -დან  $i_2$ -მდე გაზრდას.  $r$  საბაზრო განაკვეთის შემთხვევაში, საინვესტიციო მოთხოვნა იზრდება, რაც გრაფიკულად თვალნათლივ გამოიხატება ინვესტიცი-ის ფუნქციის მარჯვნივ,  $I_1$ -დან  $I_2$ -სკენ გადანაცვლებით.



ნახაზი 7.1: ინვესტიციის ფუნქცია

ერთობლივი ეკონომიკური საინვესტიციო მოთხოვნა  $r$  საბაზრო განაკვეთზე ნეგატიურად არის და-მოკიდებული. განაკვეთის მატება იწვევს ინვესტიციების შემცირებას. იმავედროულად, ინვესტიციების მოთხოვნაზე დადებით გავლენას ახდენს იმ ინვესტიციების რენტაბელურობა, რომელთა გაზომვაც შე-საძლებელია შიდა  $i$  განაკვეთით. შიდა დარიცხვის ზრდა მოცემული საბაზრო განაკვეთის შემთხვევაში, ინვესტიციის ფუნქციას ზევით გადაადგილებს.

### 7.2.2 მოთხოვნის ასპექტები

აქსელერატორის თეორია წინა პლანზე წამოწევს კერძო ინვესტიციებთან და-კავშირებული გადაწყვეტილებების სხვა დეტერმინანტებს. ამასთან, ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის ვარაუდი, რომ ეროვნული ეკონომიკის  $K$  ძირითად კაპიტალსა და მის შედეგად წარმოქმნილ  $Y$  მთლიან შიდა პროდუქტს შორის, ტექნიკური მოცემულობის საფუძველზე, მუდმივი ურთიერთობა (ე.წ. კაპიტა-ლის კოეფიციენტი) არსებობს.

$$\alpha = \frac{K}{Y} \quad (7.2)$$

ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნისა და, შესაბამისად, მთლიანი შიდა პრო-დუქტის  $\Delta Y$ -მდე მოსალოდნელი ზრდისა და წარმოების არსებული მოცულო-ბის სრული ამოქმედების შემთხვევაში, უნდა გაიზარდოს ძირითადი კაპიტალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კაპიტალზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება არასაკმარისი იქნება. ვინაიდან ძირითადი კაპიტალის ზრდა ინვესტიციებს საჭი-როებს, მოთხოვნის ზრდა  $\alpha$ -ს მუდმივობის შემთხვევაში, ხელს უწყობს ინვესტი-ციების წახალისებას, მოცულობით:

$$I = \Delta Y = \alpha \cdot \Delta Y \quad (7.3)$$

აღნიშნულ მოცემულობაში კაპიტალის კოეფიციენტი  $\alpha$  აქსელერატორადაც გვევლინება. იგი ინვესტიციების დონეს აკავშირებს კაპიტალზე მოთხოვნის მო-სალოდნელ ცვლილებებთან. მოთხოვნის ზრდის დაჩქარება (აქსელერაცია) ხელს უწყობს ინვესტიციების მოცულობის ზრდას.

თუ ძირითადი კაპიტალი ჯერ არ არის სრულად ამოქმედებული, მოთხო-ვნის ზრდის შემთხვევაში ინვესტიციების უფრო ნაკლები მოცულობაა საჭირო. აქსელერატორის პრინციპის სრული ეფექტურობის წინაპირობას, შესაბამისად, სამეწარმეო სიმძლავრეების სრული ამოქმედება და წარმოების მოცულობის მკვეთრი საზღვრები წარმოადგენს, რომელიც არ დაუშვებს არსებული ძირითა-დი კაპიტალის მოქმედ ადაპტაციას მოთხოვნის ცვლილებებთან. ამავედროულ-ად, მეწარმე მოთხოვნის ცვლილებას ინვესტიციის განხორციელებამდე უნდა განიხილაოდეს როგორც მყარსა და ხანგრძლივს. და ბოლოს, აქსელერატორის თეორია არაპირდაპირი ფორმით წინა პლანზე აყენებს ახალი ინვესტიციების რეალიზებისათვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობების არსებობას და ამით ხელს უწყობს იმ გარემოებას, რომ მათი შიდა დარიცხვა აღემატებოდეს საბა-ზრო განაკვეთს.

აქსელერატორის თეორია ინვესტიციების წახალისებლად არა მხოლოდ ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის ცვლილებებს მიიჩნევს ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების ამოსავალ წერტილად. იგი ასევე გვთავაზობს კერ-ძო საინვესტიციო მოთხოვნასთან დაკავშირებულ განსაკუთრებული კონიუნ-ქტიურული სენსიტიურობის განმარტებას. ვინაიდან, აქსელერაციის პრინცი-პის თანახმად, ინვესტიციის დონე და ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის ცვლილება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, კონიუნქტიურის გაუარესების პირობებში, მოთხოვნის ზრდის შემცირება ინვესტიციების სრულ კლებას იწვევს. მეორე მხრივ, მოთხოვნის ზრდის დაჩქარება კონიუნქტიურის გაუმჯობესების პი-რობებში, საინვესტიციო მოთხოვნის დონეს მაქსიმალურად ზრდის.



### 7.2.3 დადებითი სექტორული და რეგიონული გარე ეფექტები

ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ინვესტიციების სტრატეგიული როლი იმითაც არის განპირობებული, რომ ცალკეული ინვესტიციის დაგეგმვა ხშირად სხვა საინვესტიციო პროექტებზეც დადებით გარე ეფექტებს ახდენს. მსგავსი გარე ეფექტები, შესაძლოა იყოს როგორც ფულადი, ასევე ტექნოლოგიური ხასიათის. მათ შესაძლოა მოიცვან ინვესტიციების რენტაბელურობის ასპექტები ან მოთხოვნის ეფექტები. მათი მოქმედების არეალი შესაძლოა მოიცავდეს ერთ რომელიმე დარგს ან რომელიმე გეოგრაფიულ ერთეულს. დადებითი ტექნოლოგიური გარე ეფექტების შემთხვევაში, როგორც ეს მე-3 თავში იყო აღწერილი, არსებობს საბაზრო ჩავარდნის საფრთხე, ვინაიდან საბაზრო ფასებში საზოგადოებრივი პრეფერენციები საკმარისად არ აისახება. ამდენად, ინვესტიციების წახალისებისათვის საჭირო სახელმწიფო ღონისძიებები ხშირად გამართლებულია იმ არგუმენტით, რომ ბაზრის მიერ შექმნილი ინვესტიციებისათვის საჭირო სტიმული საზოგადოებისათვის ოპტიმალურზე ბევრად ნაკლები ინვესტიციის მოზიდვას შეუწყობდა ხელს.

დადებითი სექტორული გარე ეფექტები წარმოიქმნება იმ დარგების ფარგლებში, რომლებშიც ცალკეული მწარმოებლები ტექნოლოგიური თვალსაზრისით ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. მოცემული დარგის ერთ-ერთი საწარმოში წარმოების მოცულობის ზრდას შეუძლია თავიდან აგვაცილოს პროდუქციის დეფიციტი, რომელიც ასევე დადებითად მოქმედებს მოცემული დარგის სხვა საწარმოების პროდუქციის ზრდაზე. ამასთან, წარმოებაში განხორციელებული ინვესტიციები, ხშირად, ტექნოლოგიური ინოვაციების დაწერვასთან არის დაკავშირებული. ერთი დარგის ფარგლებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესწავლა შესაძლებელია საკმაოდ სწრაფად სხვა საწარმოებზეც გავრცელდეს.

ინვესტიციების დადებითი გარე ეფექტების და მათთან დაკავშირებული ინოვაციების გამოყენების მიზნით, ხშირად, მონათესავე დარგებში მოღვაწე მეწარმეები რეგიონულ კლასტერებში ერთიანდებიან. გეოგრაფიული სიახლოვე და მათგან იძლევა კომპლემენტარული საწარმოო ფაქტორების უკეთესი გამოყენების საშუალებას, მაგალითად, სპეციალიზებული სამუშაო ძალების საერთო რესურსებთან ხელმისაწვდომობის სახით. შესაბამისი რეგიონული ინფრასტრუქტურის აგების გზით, რომელიც საკომუნიკაციო საშუალებებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოიცავს, სახელმწიფოს მხრიდან წახალისებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მსგავსი გაერთიანებების ჩამოყალიბებაზე და ამით ხელი შეუწყოს კერძო ინვესტორთა მზაობას. თუმცა, როგორც იმ დისკუსიის შემთხვევაში, რომელიც შეეხებოდა საბაზრო ნაკლოვანებების გამოსასწორებლად ყველაზე გონივრული სტრატეგიის ძიებას, ასევე რეგიონული ინდუსტრიული ჯგუფის შემთხვევაშიც, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მსგავსი გარე ეფექტების კერძო ინტერნალიზაციისათვის საკმაოდ ძლიერი სტიმულის არსებობის შესაძლებლობა. როგორც კი კერძო საკუთრებისა და განკარგვის უფლება საკმარისად მკაფიოდ ჩამოყალიბდება, მეწარმეები მაშინვე მიმართავენ ღონისძიებებს, ინვესტიციების დადებითი გარე ეფექტებიდან სხვა საწარმოებში შეძლებისდაგვარად დიდი მოგების მიღების მიზნით. რომელიმე კონკრეტული დარგის ფარგლებში საინვესტიციო ტრანსფერის გაზრდისათვის საჭირო შესაძლებლობებს, მაგალითისათვის, წარმოადგენენ ერთობლივად ამოქმედებული კვლევითი ცენტრები. აღნიშნული ცენტრების ეფექტიანი ფუნქცი-

ონირების შემთხვევაში, მათი ზემოქმედება ინვესტორთა ქცევებზე ყველა მონაწილე საწარმოში დადებითად აისახება.

### 7.3 ინვესტიციების ხელშეწყობის ინსტრუმენტები

ინვესტიციების თეორიის საფუძველზე, ინვესტიციების წახალისების მიზნით, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები შესაძლოა მიმართული იყოს  $r$  საბაზრო განაკვეთზე, ინვესტირებიდან მოსალოდნელ მოგებაზე, შესაბამისად,  $i$  შიდა განაკვეთზე და ასევე  $Y$  მოთხოვნის ცვლილებაზე. ამასთან უნდა განვსხვავოთ, მთლიან ეკონომიკაზე ორიენტირებული კონიუნქტიურისა და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის ფარგლებში, საჭიროა თუ არა მთლიანი ინვესტიციის მოცულობაზე გავლენის მოხდენა, თუ ეკონომიკური პოლიტიკის ინტერესის საგანი, სტრუქტურული პოლიტიკის თვალსაზრისით, კერძო ინვესტიციების მხოლოდ ერთი ნაწილია.

გლობალური ეკონომიკის ინვესტიციების ხელშეწყობის ინსტრუმენტებს წარმოადგენენ ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ საბაზრო განაკვეთის შემცირებას და ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის გამოცოცხლებას. სახელმწიფოს მხრიდან საინვესტიციო კრედიტების მიმდინარე მომსახურებაზე სუბსიდირების გზით, საფინანსო პოლიტიკის ფარგლებშიც შესაძლებელია განაკვეთის გავლენის მოხდენა. აქედან გამომდინარე, საგადასახადო პოლიტიკის ღონისძიებების გატარებით და მიმდინარე ხარჯების სუბსიდირებით (ე.წ. საგადასახადო შეღავათები კაპიტალის მოგების დაბეგვრაზე), შესაძლებელია ინვესტიციებიდან მოსალოდნელი მოგების გაზრდა და სახელმწიფო ხარჯების მოცულობის ზრდით ერთობლივი მოთხოვნის ზრდაზე უშუალო გავლენის მოხდენა. ამასთან, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გზით, ექსპორტის მიზანმიმართული წახალისებითა და იმპორტის შეზღუდვით, ჩნდება შესაძლებლობა, საგარეო ვაჭრობის შედეგად გაიზარდოს მოთხოვნა. თუ მიმდინარე საინვესტიციო ხარჯები წარმოიშობა დამატებითი სამუშაო ძალის დასაქმების შედეგად, საბოლოო ჯამში შესაძლებელია, ხელფასებისა და შემოსავლების პოლიტიკის ფარგლებში, შრომის ხარჯების შემცირება და აქედან გამომდინარე, მოგების მოლოდინების გაზრდა, რაც გამოიწვევდა საინვესტიციო მოთხოვნის ზრდას. რაც შეეხება სტრუქტურული პოლიტიკის მხრიდან ჩარევას, რომლის მიზანსაც სექტორული და რეგიონული ინვესტიციების ხელშეწყობა წარმოადგენს, საინვესტიციო პოლიტიკის ზემოთხსენებული ინსტრუმენტების გამოყენებისას მიზანმიმართულია დიფერენცირება. საფინანსო პოლიტიკის სფეროში იგეგმება საგადასახადო და სუბსიდირების პოლიტიკის შერჩევითი ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც წინასწარ განსაზღვრული ინვესტიციების წახალისება მიზანმიმართულად ხორციელდება. განსაზღვრულ სექტორებსა თუ რეგიონებში მოთხოვნაზე მიზანმიმართულ ზეგავლენას განეკუთვნება ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის სელექციური მართვა, რომლის მიღწევაც შესაძლებელია საბაზრო პოლიტიკის ღონისძიებებისა თუ სტრუქტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით დიფერენცირებული სახელმწიფო შეკვეთების გაცემის გზით.

### 7.4 მაგალითი: რეგიონული ინვესტიციების ხელშეწყობა გერმანიაში

გერმანიაში ერთობლივ კერძო ინვესტიციებზე ეკონომიკურ-პოლიტიკურ გავლენის გარდა, რომელიც კონიუნქტიურული მართვის პრიორიტეტულ საშუალებას წარმოადგენს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტიციების სელექციური წახალისება რეგიონული სტრუქტურული პოლიტიკის ფარგლებში. სახელმწიფო ინსტანციების ვალდებულება, რეგიონულ ეკონომიკურ სტრუქტურებზე მიზანმიმართული ზემოქმედების თვალსაზრისით, ძირითადი კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ეფუძნება თანასწორობის პრინციპს, რომელიც უფრო კონკრეტულად ასახულია ფედერალური კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტში და განმარტავს, რომ ცხოვრების პირობების თვალსაზრისით თანასწორობის დაცვა ფედერაციის მასშტაბით ვალდებულებას წარმოადგენს.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დაარსების უკვე პირველივე წლებიდან აღმოჩნდა, რომ წარმოების ზრდა და დასაქმების შესაძლებლობები, განსაკუთრებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსაზღვრე რეგიონში, თუმცა ასევე ბავარიის მაღალმთიან რეგიონებში, ემსლანდსა და ზაარლანდში, ბევრად ჩამორჩებოდა მჭიდროდ დასახლებულ ინდუსტრიულ რეგიონებში არსებულ განვითარების დონეს. ცალკეული ფედერალური მხარეებისათვის რეგიონული პოლიტიკის ღონისძიებებთან ერთად, ფედერალურმა სახელმწიფომ პირველად 1951 წელს აამოქმედა რეგიონული ხელშეწყობის საშუალებები. თუმცა რეგიონული პოლიტიკის განვითარებისთვის საჭირო ერთიანი კონცეფციის შემუშავება 60-იანი წლების ბოლომდე ვაჭიანურდა. 1969 წელს ფედერალური კონსტიტუციის 91-ე მუხლის შემოღებით დაისახა რეგიონული ეკონომიკური სტრუქტურის გაუმჯობესება, როგორც ფედერალური სახელმწიფოსა და ფედერალური მხარეების ერთობლივი ვალდებულება, რომელიც თანაბრად უნდა დაფინანსებულიყო ფედერალური და სამხარეო ბიუჯეტების მიერ. ერთობლივი ვალდებულების შესახებ კანონი „რეგიონული ეკონომიკური სტრუქტურის გაუმჯობესება“, არეგულირებდა მიზნებსა და პრინციპებს და ტერიტორიული თვალსაზრისით მიჯნავდა სტრუქტურული პოლიტიკის ხელშეწყობის ღონისძიებებს. იმავე წელს მიღებული კანონი დამატებითი კაპიტალდაბანდების შესახებ ითვალისწინებდა ინვესტორთა საქმიანობის მიზანმიმართული ზემოქმედების უზრუნველყოფას წახალისებელ რეგიონებში. და ბოლოს, 1971 წელს მიღებული კანონი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსაზღვრე რეგიონის წახალისების შესახებ ითვალისწინებდა რეგიონული პოლიტიკის თვალსაზრისით, ეკონომიკური განვითარების წახალისებას საზღვრისპირა რეგიონში. აღნიშნული კანონი გერმანიის გაერთიანების შემდეგ გაუქმდა.

გერმანიის რეგიონული პოლიტიკის განსაკუთრებულ მიზანს წარმოადგენს სტრუქტურულად სუსტ რეგიონებში წარმოებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება კერძო ინვესტიციების მიზანმიმართული ხელშეწყობის გზით. ამასთან, წამახალისებელი ღონისძიებები მოიცავენ პირდაპირ საინვესტიციო დანამატებსა და სუბსიდიებს, რომელთა დასაშვები ზედა ზღვარი საინვესტიციო ხარჯების 25%-ს შეადგენს, დოტაციებს სესხზე მომსახურებაზე, სპეციალურ კრედიტებსა და ინვესტიციის დასაფინანსებლად საჭირო სესხებს, ასევე გადასახადებისგან გათავისუფლებას, განსაკუთრებით საზღვრისპირა რეგიონებში ინვესტიციების განხორციელებისას ამორტიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივებას. სახელმწიფო სექტორის მიერ ინფრასტრუქტურ-

რაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა, როგორცაა, მაგალითად, ინდუსტრიული ზონების გახსნა, სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება ან ელექტროენერჯის მიწოდებისა და საგანმანათლებლო უწყებების მშენებლობა, იმავდროულად უნდა შეამციროს წახალისებელ რეგიონებში არსებული ხარვეზები. ინვესტიციების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ ხარჯებზე მიზანმიმართული გავლენის მოხდენა ასევე შესაძლებელია სახელმწიფო კომპანიების მიერ ადგილმდებარეობის მიხედვით განსხვავებული ტარიფის დადგენის გზით. მაგალითად, გერმანიის რკინიგზამ განსაზღვრულ ხელშესაწყობ რეგიონებში სატრანსპორტო ტარიფი იმ ზღვრამდე შეამცირა, რაც მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულ რეგიონთან დაკავშირება საწყალოსნო გზით არის შესაძლებელი.

რეგიონული მოთხოვნის განვითარებაზე ზემოქმედებისათვის გამოიყენება ადგილმდებარეობის მიხედვით დიფერენცირებული სახელმწიფო შეკვეთების გაცემა. რეგიონული მოთხოვნის ზრდა, სხვათა შორის, გამომდინარეობს ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სახელმწიფო ღონისძიებებიდან, რომლებიც ხელს უწყობენ დიდი რაოდენობით გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნას, მაგალითად სახელმწიფო უწყებების გადატანის, საავადმყოფოების მშენებლობისა ან ახალი უნივერსიტეტების დაარსების სახით.

საზოგადოებრივი ვალდებულების „რეგიონული ეკონომიკური სტრუქტურის გაუმჯობესება“ – და ინვესტიციების წახალისების უამრავი ინსტრუმენტის შემოღების მიუხედავად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 70-იანი წლების დასაწყისიდან გამწვავდა რეგიონული უთანასწორობა. მჭიდროდ დასახლებულ ინდუსტრიულ რეგიონებსა და სოფელს შორის არსებული სამუშაო ადგილების სრულიად უთანაბრო სტრუქტურას თან დაერთო ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით, მზარდი და მკვეთრად გამობატული განსხვავება, ხოლო გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ამას კიდევ დაემატა განსხვავება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. რეგიონული პოლიტიკის კრიტიკოსები აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე მიუთითებენ, რომ წახალისებელი რეგიონების მუდმივმა გაფართოებამ, რამაც საერთო ჯამში გერმანიის მთლიანი ტერიტორიის 60%-ი შეადგინა, ხელი შეუშალა სტრუქტურული თვალსაზრისით განსაკუთრებულად სუსტი რეგიონების მიზანმიმართულ წახალისებას. გარდა ამისა, კრიტიკოსები პრობლემას ხედავენ აუნაზღაურებელი საწყისი დანახარჯების ხშირ გამოყენებაში. იგი ჩნდება ისეთი პროექტების ინვესტიციების შედეგად, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან წახალისების გარეშე განხორციელდებოდნენ. საბოლოოდ, რეგიონული პოლიტიკის განვითარებისათვის გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის კვლევა ცხადყოფს, რომ ფინანსურმა სტიმულირებამ მხოლოდ მცირე შემთხვევებში შეუწყო ხელი პოტენციურად მზარდი კომპანიების სტრუქტურული თვალსაზრისით სუსტ რეგიონებში გადატანას. ხშირად ისინი უპირატესობას ანიჭებენ ფილიალების გახსნას, რომლებიც კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე ნაკლები მოთხოვნით გამოირჩევიან და, რომლებიც დასაქმების პოლიტიკის თვალსაზრისით, კონიუნქტიურულ მერყეობებზე მძაფრად რეაგირებენ.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ახალ ფედერალურ მხარეებში ინვესტირება განსაკუთრებით აქტუალური გახდა. 90-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ გერმანიაში მხოლოდ საწარმოო სექტორში ნეტო ინვესტიციებზე წლიური მოთხოვნა შეფასებული იყო 100 მილიარდ გერმანულ მარკად ათ წელზე მეტი ხნის პერიოდით, რათა კაპიტალისა და პროდუქტიულობის თვალსაზრისით მომხდარიყო დასავლეთ გერმანიასთან არსებული განსხვავებების მინიმუმამ-

დე დაყვანა. თუმცა, კერძო ნეტო ინვესტიციების რეალური ღირებულება საჭირო ოდენობის მხოლოდ მეთოდს შეადგენდა. კერძო ინვესტიციების სიმცირის მიზეზს წარმოადგენდა აღმოსავლეთ გერმანიაში საკუთრების სამართლებრივი დაცვის არასაიმედოობა, აღმოსავლეთ გერმანიაში არსებული კომპანიების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის მოლოდინების სიმცირე და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონეტარული პოლიტიკიდან გამომდინარე სარგებლის განაკვეთის მაღალი ღირებულება.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, აღმოსავლეთ გერმანიაში მიზანმიმართულად ამოქმედდა რეგიონული ინვესტიციების წახალისების ინსტრუმენტები. 1990 წელს დამატებითი ინვესტიციების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, აღმოსავლეთ გერმანიაში ინვესტიციებისათვის გაიცა განსაკუთრებული ფინანსური დანამატები, ხოლო 1991 წელს საგადასახადო ცვლილებების შესახებ კანონით, შესაძლებელი გახდა ინვესტიციებზე სპეციალური დანიშნულების სა-ამორტიზაციო ანარაჩების შემოღება. საინვესტიციო შეღავათები თავდაპირველად გაიცემოდა საზღვრისპირა რეგიონების ხელშეწყობის კანონისა და საზოგადოებრივი ვალდებულების – „რეგიონული ეკონომიკური სტრუქტურის გაუმჯობესების“ შესახებ კანონის ფარგლებში. განსაკუთრებული სახელმწიფო სუბსიდიები სესხზე მომსახურებისთვის და გადასახადებისაგან გათავისუფლება სრულყოფდა რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტებს. ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო მასობრივ სახელმწიფო ინვესტიციებს მნიშვნელოვანი იმპულსი უნდა მიეცათ რეგიონული მოთხოვნისათვის და ასევე ხელი შეეწყოს ტრანსპორტირების ხარჯების შემცირების გზით, კერძო ინვესტიციების ხარჯების შემცირებისათვის.

**ძირითადი ცნებები**

- ინვესტიცია დანაზოგი ფელდშტეინ-ჰორიკას პარადოქსი შიდა საპროცენტო განაკვეთი აქსელერატორის თეორია კლასტერი
- სტრუქტურული პოლიტიკა რეგიონული პოლიტიკა გაერთიანების ამოცანა გაერთიანება

**დავალებები**

- 1. ინვესტიციების ოპტიმალური რაოდენობა**  
მიზანშეწონილია თუ არა ინვესტიციების ღირებულების შეუზღუდავი ზრდა, თუ არსებობს ინვესტიციების ოპტიმალური საერთო ეკონომიკური რაოდენობა? როგორ შეიძლება ამის დადგენა რენტაბელობის ასპექტების თვალსაზრისით?
- 2. კონიუნქტურის აქსელერატორის თეორია**  
განმარტეთ, როგორ შეიძლება ინვესტიციების მოთხოვნის აქსელერატორის თეორია ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის კონიუნქტიურული რყევების თეორიად ჩამოყალიბდეს.

**3. ეკონომიკური ზრდის რეგიონული ცენტრები აღმოსავლეთ გერმანიაში**  
გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება იმ მოსაზრებასთან მიმართებაში, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების წახალისება მხოლოდ ეკონომიკური ზრდის რეგიონალური ცენტრების ხელშეწყობის მიზნით გამოიყენებოდა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

რენტაბელობის ასპექტებისა და მოთხოვნის ცვლილებების გავლენა ინვესტირებაზე, განსაკუთრებით კონიუნქტურული ზემოქმედების გათვალისწინებით, *Maußner* (1994). ეკონომიკური ზრდის ახალი თეორიის ფარგლებში, ეკონომიკური ზრდისათვის ინვესტიციების როლი და რეალური და ადამიანური კაპიტალის შექმნის დადებითი გარე ფაქტორების მნიშვნელობა, *Maußner/Klump* (1996).  
რეგიონული ინვესტიციების წახალისების ზოგადი ამოსავალი წერტილი, *Armstrong/Taylor* (2000). გერმანიაში რეგიონული წახალისების ცალკეულ დეტალებს გაეცნობით გერმანიის ეკონომიკისა და ტექნოლოგიების ფედერალური სამინისტროს ვებგვერდზე ([www.bmwi.de](http://www.bmwi.de)).



# კონიუნქტურული სტაბილიზაციის მიღწევა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მართვის გზით

|   |            |
|---|------------|
| <b>8.1 კონიუნქტურული რყევების მიზეზები.....</b>   | <b>171</b> |
| 8.1.1 ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი<br>მიწოდება .....   | 171        |
| 8.1.2 რეცესიისა და სტაგფლაციის განმარტება ....  | 174        |
| <b>8.2 უმუშევრობის მიზეზები .....</b>   | <b>176</b> |
| 8.2.1 სტრუქტურული (კლასიკური) უმუშევრობა ..   | 177        |
| 8.2.2 კონიუნქტურული (კეინზიანური)<br>უმუშევრობა .....   | 179        |
| 8.2.3 უმუშევრობა მაკროეკონომიკური სინთეზის<br>მოდელში .....   | 180        |
| <b>8.3. სტაბილიზაციის პოლიტიკის საწყისები .....</b>   | <b>183</b> |
| 8.3.1 ფისკალური პოლიტიკა .....  | 183        |
| 8.3.2 მონეტარული პოლიტიკა .....   | 187        |
| 8.3.3 სახელფასო პოლიტიკა .....  | 188        |
| 8.3.4 მიწოდების პოლიტიკა .....  | 188        |
| <b>8.4 მაგალითი: ერთობლივი მოთხოვნის მართვის<br/>ფისკალურ-პოლიტიკური ინსტრუმენტები<br/>სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის<br/>კანონის მიხედვით .....</b> | <b>189</b> |

### სწავლების მიზნები

- კონიუნქტურული რყევები შესაძლებელია ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის მოდელის ფარგლებში განვიხილოთ. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება რეცესიის მიზეზი შეიძლება გახდეს, ხოლო ერთობლივი მიწოდების ნაკლებობას სტაგფლაციამდე მივყავართ.
- სტრუქტურული (კლასიკური მაკროეკონომიკური თეორიის მიხედვით) უმუშევრობა მეტისმეტად მაღალი ხელფასების შედეგად ჩნდება. კონიუნქტურული (კინზიანური მაკროეკონომიკური თეორიის მიხედვით) უმუშევრობის მიზეზი სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირებაა. მაკროეკონომიკური სინთეზის მოდელში შესაძლებელია ორივე შეხედულების რაციონალურად და ეკონომიკური ციკლების კავშირის გათვალისწინებით ინტეგრირება.
- უმუშევრობის დასაძლევად, კონიუნქტურული მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა კონკურენციის ინტენსიურობა, ნომინალური ერთობლივი მოთხოვნის ზრდა და ნომინალური ხელფასების შემცირება. რეალური და ჰუმანური კაპიტალის შექმნის წახალისებისას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს შრომის პროდუქტიულობის ზრდას, გასათვალისწინებელია შესაძლო შრომის კაპიტალით ჩანაცვლების ეფექტები.
- ფისკალური პოლიტიკა (საგადასახადო სისტემის მართვა, საბიუჯეტო ხარჯების კონტროლი და სახელმწიფო ვალის მართვა) გავლენას ახდენს ეკონომიკის ერთობლივ მოთხოვნაზე. თუმცა, არსებობს იმის რისკი, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეტისმეტად აქტიური ქმედებები ხელს შეუწყობს არა დამატებითი მოთხოვნის გაჩენას, არამედ მის შემცირებას კერძო სექტორში.
- მონეტარული პოლიტიკა ლიკვიდურობის დეფიციტის (სიტუაცია, როცა დაბალი განაკვეთების მიუხედავად ფულზე მოთხოვნა არ იზრდება) არსებობის შემთხვევაში კარგავს თავის გავლენას ერთობლივ ეკონომიკურ მოთხოვნაზე.
- თუ სახელფასო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს დასაქმებისათვის მიმზიდველი ნომინალური ხელფასის დაწესებას, ამის მიზეზი შესაძლოა იყოს დასაქმების ბაზარზე არსებული ფუნქციური ხარვეზები, ძლიერი ინტერესთა ჯგუფების საბაზრო ძალაუფლება ან სტაბილიზაციის პოლიტიკის სხვა სფეროებთან კოორდინაციის ნაკლებობა.
- მიწოდების პოლიტიკა ერთდროულად აკეთებს გათვლას ინვესტიციების წახალისებასა და კონკურენციის ინტენსიურობაზე.
- 1967 წელს გერმანიაში სტაბილურობისა და ზრდის კანონის (Bundesgesetz zur gesamtwirtschaftlichen Stabilität und Förderung des Wirtschaftswachstums) მიღებით შეიქმნა სამართლებრივი ბაზა მიზანმიმართული კონიუნქტურული მართვისათვის, რომლითაც უნდა მომხდარიყო ფისკალური პოლიტიკისა და სახელფასო პოლიტიკის კოორდინირება. საწყის ეტაპზე ხანმოკლე წარმატების მიუხედავად, კანონთან დაკავშირებულმა მოლოდინებმა არ გაამართლა.

### 8.1 კონიუნქტურული რყევების მიზეზები

ეკონომიკის განვითარება ყოველთვის ერთგვაროვნად როდი მიმდინარეობს. ხშირად მას ასახიათებს ამკარად გამოხატული რყევები. კონიუნქტურულ ციკლში აღმავლობის ფაზას სტაგნაცია ცვლის. ეკონომიკური ციკლის შემდგომით მსგავსი კონიუნქტურული რყევები გავლენას ცალკეულ ბაზრებზე ახდენენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა მათ ენიჭებათ შრომის ბაზარზე, სადაც ისინი სპეციფიკურ ფუნქციურ პრობლემებთან ერთად უმუშევრობას განაპირობებენ. ამდენად, კონიუნქტურული რყევების მიზეზებისა და მათი აღმოფხვრის შესწავლა, ეკონომიკური ციკლების კავშირის გათვალისწინებით, ლოგიკურ კავშირშია უმუშევრობის შესაძლო მიზეზების ანალიზთან.

ეკონომიკური პოლიტიკის დონისძიებების ჩამოყალიბების მიზნით, რომელთა დახმარებითაც უნდა შემცირებულიყო საერთო ეკონომიკური განვითარების რყევები და თავიდან აცილებულ უნდა ყოფილიყო კონიუნქტურული დასაქმების პრობლემები, პირველი მრავლისმომცველი თეორიული საფუძვლების შექმნა უკავშირდება ჯონ მენარდ კეინსს (1936). ამ კონცეფციის მაკროეკონომიკურ გაგებას მიკროეკონომიკურ ანალიზთან მიმართებაში მნიშვნელოვანი აბსტრაქტული დამუშავები შემოაქვს. ეროვნულ ეკონომიკაში არსებული საბაზრო ურთიერთობების მრავალფეროვნება შემოიფარგლება წარმომადგენლობითი ბაზრების (საქონლის, ფულისა და შრომითი ბაზარი) ანალიზით, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი მოთხოვნის განვითარებას  $Y^D$ :

$$Y^D = Y = C + I + B \tag{8.1}$$

რომელიც (დახურულ ეკონომიკაში)  $C$  კერძო მოხმარების,  $I$  კერძო ინვესტიციებისა და  $B$  სახელმწიფო დანახარჯებისგან შედგება. აღნიშნული მოთხოვნის შედეგად წარმოებული  $Y$  ეროვნული შემოსავალი, როგორც წესი, მდებარეობს ეკონომიკის წარმოების პოტენციალის ქვევით, რომლის მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა ყველა არსებული საწარმოო ფაქტორის სრული დატვირთვის შემთხვევაში. შედეგად სამუშაო ძალებიც დაუსაქმებელნი რჩებიან და თავს იჩენს კონიუნქტურული უმუშევრობა. ფასების მოქნილობის შემთხვევაში, მას ასევე შეუძლია გავლენა მოახდინოს საერთო ეკონომიკური ფასების დონეზე (და აქედან გამომდინარე, არაპირდაპირ ასევე ინფლაციის დონეზეც).

#### 8.1.1 ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება

$Y$  ეროვნული შემოსავლისა და  $P$  ფასების დონის განვითარების ანალიზის ყველაზე მარტივ ფორმას წარმოადგენს ნახაზზე 8.1. გამოსახული ეკონომიკის ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის მოდელი. იგი ძალიან ჰგავს ბაზრის მიკროეკონომიკურ მოდელს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არა საბაზრო, არამედ ციკლურ ურთიერთობებს ასახავს. ვერტიკალური წრფე აღნიშნავს  $Y_0$  ეკონომიკის მთლიანი წარმოების პოტენციალს. იგი  $P$  ფასების დონეზე დამოკიდებული არ არის და განისაზღვრება ეროვნული ეკონომიკის ხელმისაწვდომი რეალური კაპიტალით, არსებული ჰუმანური კაპიტალის დონითა და ტექნიკური ცოდნით, აგრეთვე რეალურად არსებული სამუშაო ძალით.


ერთობლივი მოთხოვნის მრუდი (ისევე როგორც მიწოდების მიკროეკონომიკური ფუნქცია),  $P$  ფასების დონის კლებისკენ არის მიდრეკილი. ეს მაგალითად, აისხნება კერძო მოხმარების ქონებრივი ეფექტებით. ფასების ზრდის შემთხვევაში, ქონების რეალური ღირებულება მცირდება. იმ შემთხვევაში, თუ მოხმარება განკარგავდა რეალურ ქონებაზე დამოკიდებული, მცირდება კერძო მოხმარება და, შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნა. დამატებით, შესაძლოა წარმოიშვას სარგებლის ეფექტი, როდესაც ზრდადი ფასის დონის შემთხვევაში, კლებულობს ნაღდი ფულის რეალური ღირებულება. ნომინალურად ფულის რაოდენობის შემცირების შემთხვევაში, ასეთ დროსაც იზრდება სარგებლის განაკვეთის დონე, რომელიც თავის მხრივ, კერძო ინვესტიციებზე მოთხოვნის შემცირებას უწყობს ხელს.

**ჯონ მეინარდ კეინსი და დასაქმების ზოგადი თეორია**

ჯონ მეინარდ კეინსი (1883-1946) დაიბადა კემბრიჯში. იგი თავდაპირველად სწავლობდა მათემატიკას, ფილოსოფიასა და ისტორიას, ხოლო მოგვიანებით ალფრედ მარშალის გავლენით, ეკონომიკით დაინტერესდა. 1906-დან 1909 წლამდე იგი ინდოეთის ფინანსებისა და ვალუტის სამეფო კომისიისათვის ამუშავებდა ინდოეთის სავალუტო რეფორმის გეგმას. 1909 წლიდან კეინსმა კემბრიჯის უნივერსიტეტში მიიღო ეკონომიკური მეცნიერებების დოქტორის ადგილი. 1911 წლიდან იგი გამოსცემდა *Economic Journal*-ს. 1915 და 1919 წლებში კეინსი იყო ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროს მრჩეველი, ხოლო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მან, როგორც ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა, მონაწილეობა მიიღო პარიზში გამართულ სამშვიდობო კონფერენციაში. იგი აკრიტიკებდა ვერსალის ხელშეკრულებას და პროგნოზირებდა გერმანიაში ნაციონალიზმის გაძლიერებას მაღალი სარეპარაციო გადასახადების საფუძველზე. 1920 წელს ის პროფესორის რანგში კემბრიჯში დაბრუნდა. 30-იანი წლების დიდი დეპრესიის პერიოდში, იგი კრიზისის დაძლევის მიზნით, მხარს უჭერდა ექსპანსიურ ფულად და საფინანსო პოლიტიკას. 1944 წელს მერვე მსოფლიო ომის მიწურულს, კეინსი Bretton Woods-ის საერთაშორისო სავალუტო კონფერენციაზე ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის დელეგაციას. აღნიშნულმა კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და მსოფლიო ბანკის (International Bank for Reconstruction and Development, IBRD) დაარსებას და ხელი შეუწყო მსოფლიოს მასშტაბით ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის შემოღებას. კეინსის მთავარ შრომებს წარმოადგენს: *A Treatise on Probability* (London, 1921); *A Treatise on Money* (London, 1930); *A General Theory of Employment, Interest and Money* (London, 1936).

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თავის ყველა პუბლიკაციაში კეინსი მუშაობდა იმ შედეგებზე, რომლებიც არასწორი მონეტარული განვითარების გამო რეალური ეკონომიკური განვითარების ციკლზე აისახება. სამეცნიერო კვლევაში ფულის შესახებ, კეინსმა 1930 წელს განავითარა თანამედროვე ციკლის ანალიზის საფუძველები. თავისი ზოგადი თეორიით მან 1936 წელს მაკროეკონომიკას ჩაუყარა საფუძველი. კეინსმა აჩვენა, რომ მონეტარული ეკონომიკის პირობებში, რომელიც მისთვის ბევრად უფრო მასშტაბური იყო,

ვიდრე არამონეტარული ეკონომიკის მოდელი, ფულის ბაზარზე არსებული უთანაბრობის გავლენა განაკვეთის მეშვეობით დასაქმების ბაზარზეც კი აღწევს ისე, რომ ნომინალური ფასებისა და ხელფასების ცვლილებები წონასწორობის სწრაფ აღდგენას არ იწვევს. ეკონომიკურ ციკლზე დამოკიდებული საბაზრო ჩავარდნით იგი ასაბუთებდა სახელმწიფოს მხრიდან სტაბილიზაციის პოლიტიკით ჩარევის აუცილებლობას. იგი აფრთხილებდა ცენტრალურ ბანკს ქმედითუნარიანობის მეტისმეტად მკაცრი წესებით შეზღუდვის გამო და ამას იმით ხსნიდა, რომ ამით ცენტრალურ ბანკს ასევე ლიკვიდობის ხანმოკლე კრიზისის დაძლევის შესაძლებლობაც ერთმეოდა. იგი მხარს უჭერდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ წარმოდგენილი ახალი მსოფლიო ფულის შემოღებას წარმატებული მსოფლიო ვაჭრობის უზრუნველსაყოფად. ასევე იგი აღიარებდა გაზრდილ სახელმწიფო დანახარჯებს დაევალიანების გაზრდის ხარჯზეც კი, თუ ამ უკანასკნელით შესაძლებელი გახდებოდა ერთობლივი მოთხოვნის შემცირების კომპენსაცია. მის მიერ დაარსებულმა კეინზიანურმა სკოლამ მერვე მსოფლიო ომის შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე, მსოფლიო მასშტაბით მაკროეკონომიკურ აზროვნებაში გარდატეხა შეიტანა. მხოლოდ XX საუკუნის 1960-იანი წლების ბოლოს, Bretton Woods-ის სისტემის დაშლის შემდეგ, ასევე იმ პერიოდში, როდესაც ინფლაციისა და უმუშევრობის დონის ერთდროულად მატებას კეინზიანური რეცეპტები ვეღარ შეელოდა, ეკონომიკურ-პოლიტიკური პრაქტიკის ასპარეზზე გამოვიდა სტაბილიზაციის პოლიტიკის ახალი მეთოდები, ისეთი, როგორიცაა მაგალითად, მონეტარიზმი.



**ნახაზი 8.1:** ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის მოდელი

$Y_0$ -ი ასახავს წარმოების გრძელვადიან პოტენციალს.  $Y^D$ -ი არის ერთობლივი მოთხოვნა, რომელიც ეკონომიკის ფასების საერთო დონესთან უარყოფით კავშირშია.  $Y^S$ -ი არის მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდება, რომელიც ინფლაციის მოცემული მოლოდინების შემთხვევაში, ფასების დონეზე დადებითად არის დამოკიდებული. მიწოდებისა და მოთხოვნის გადაკვეთის წერტილში ფიქსირდება  $P_0$  წონასწორული ფასების დონე.

გრძელვადიანი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის მრუდების გადაკვეთის წერტილში  $Y_0$  პოტენციურ შემოსავლებთან, წარმოიქმნება ეკონომიკაში ფასის საერთო დონე  $P_0$  განაკვეთით. ამ წერტილის გავლით მიემართება მიწოდების მოკლევადიანი ფუნქცია, რომელიც (მიწოდების მიკროეკონომიკური ფუნქციის




მსგავსად)  $P$  ფასების დონის მატებისკენ არის მიდრეკილი. დადებითი ზრდა განპირობებულია ფასების დონის განვითარების მცდარი შეფასებებით, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში გამოსწორებას ექვემდებარებიან. მიწოდების ფუნქციის მოკლევადიანი ზრდის მიზეზებად შესაძლებელია დავასახელოთ:

- მცდარი ინფორმაცია: მიმწოდებლებს  $P$ -ს ზრდა შეუარღებთი ფასის ზრდაში ემსებათ და შედეგად, აფართოებენ მიწოდებას.
- ხელფასის არაელასტიკურობა: მყარი ნომინალური ხელფასების შემთხვევაში,  $P$ -ს ზრდა რეალური ხელფასის შემცირებას იწვევს. შესაბამისად, იზრდება შრომაზე მოთხოვნა და წარმოებული საქონლის მიწოდება.
- ფასის არაელასტიკურობა: მენიუს ხარჯებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა ფასის  $P$ -ს ზრდის დონესთან მყისიერი შესაბამისობა. შედარებით იაფი პროდუქტების მიმწოდებლებს შეუძლიათ მცირე დროით თავიანთი მიწოდების გაფართოება.

**8.1.2 რეცესიისა და სტაგფლაციის განმარტება**


მაკროეკონომიკური მოდელის გამოყენება შესაძლებელია კონუნქტურული რყევების წარმოქმნის განმარტების მიზნით, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოების პოტენციალიდან ეროვნული შემოსავლების დროებით გადახრას. შესაძლებელია როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხარეზე არსებული კონუნქტურული კრიზისის განმარტება. კეინზიანური თეორიის თანახმად, კონუნქტურული რყევები წარმოიშობა ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებების შედეგად. თუ, მაგალითად, მეწარმეთა მხრიდან უარყოფითი სამომავლო მოლოდინების გამო, ადგილი აქვს კერძო სექტორში ინვესტიციებზე მოთხოვნის შემცირებას, მოცემული ფასების პირობებში, ნახაზზე 8.2. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი  $Y^D_1$ -დან ქვევით  $Y^D_2$ -სკენ გადაინაცვლებს. თუ  $Y_0$  წარმოების პოტენციალის შესაბამისი საწყისი მაკროეკონომიკური წონასწორობა  $A$  წერტილში მდებარეობდა, მოკლევადიანი მიწოდებისა და მოთხოვნის ფუნქციების ახალი გადაკვეთის  $B$  წერტილი აღმოჩნდება შემცირებულ ეროვნულ შემოსავალთან და შემცირებულ ფასების დონესთან შესაბამისობაში, რის გამოც ეკონომიკა რეცესიაში აღმოჩნდება.  $B$  არ შეიძლება იყოს გრძელვადიანი წონასწორობა. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის გარეშე უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ გაგრძელდა ფასების დონის შემცირება, მოთხოვნის ფუნქციის გასწვრივ საბოლოოდ გაჩნდება  $C$  წერტილი, რომელთანაც ისევ წარმოიშობა  $Y_0$  წარმოების პოტენციალი.  $Y^D_2$ -ს გასწვრივ მოძრაობით ეტაპობრივი გადანაცვლება შეესაბამება მოკლევადიანი მიწოდების ფუნქციას. იგი აიხსნება ფასთან დაკავშირებული მოლოდინების შემცირებასთან ადაპტაციით, რომელიც თანდათანობით ხელფასებისა და ფასების შემცირებაში აისახება. ამიტომ, ახალი გრძელვადიანი წონასწორობის  $C$  წერტილში ასევე უნდა გაიაროს ახალმა მოკლევადიანმა მიწოდების  $Y^S_2$  მრუდმაც.

მიწოდების მხარეს არსებული კონუნქტურული რყევების განმარტება საჭირო ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც  $A$  საწყისი წერტილში მიწოდების მოკლევადიანი ფუნქცია გადაინაცვლებს. ნახაზზე 8.3. გამოსახულია შემთხვევა, რო-



ნახაზი 8.2: რეცესიის წარმოშობა და მისი დაძლევა

საწყისი წერტილს წარმოადგენს  $A$  წერტილში არსებული წონასწორობა. მოთხოვნის შემცირების შედეგად, ერთობლივი მოთხოვნა გადაინაცვლებს მარცხნივ  $Y^D_2$ -ზე. ახალი მოკლევადიანი წონასწორობა მდებარეობს  $B$  წერტილში. აღნიშნულ წერტილში შემცირებულია როგორც ფასების დონე, ასევე წარმოება. თუ ინფლაციასთან დაკავშირებული მოლოდინები შესაბამისობაში მოვა შემცირებული ფასების დონესთან, მოკლევადიანი მიწოდების მრუდიც ქვევით გადაინაცვლებს მანამ, სანამ  $C$  წერტილში არ აღმოჩნდება ახალი გრძელვადიანი წონასწორობა. ხანგრძლივი ვადით ფასების დონის დაცემის თავიდან აცილების მიზნით, მოთხოვნის პოლიტიკის გატარებით შესაძლებელი იქნებოდა პირველადი მოთხოვნის შემცირების კომპენსაცია.



ნახაზი 8.3: სტაგფლაციის წარმოშობა და მისი დაძლევა

საწყისი წერტილს წარმოადგენს  $A$  წერტილში არსებული წონასწორობა. ვარე ფაქტორებით გამოწვეული შოკის, მაგალითად, ნედლეულზე ფასების მოულოდნელი ზრდის შედეგად, მოკლევადიანი მიწოდების მრუდი გადაინაცვლებს  $Y^S_2$ -ზე. მოთხოვნის მრუდის უცვლელიობის შემთხვევაში მოკლევადიანი წონასწორობა  $D$  წერტილში აღმოჩნდებოდა. აღნიშნულ წერტილში წარმოება შემცირებული, ხოლო ფასების დონე მომატებულია. მოთხოვნის დამატებითი ექსპანსიის გარეშე ფასების დონე ხანგრძლივი დროის მანძილზე ისევ შემცირდებოდა და, შესაბამისად, მოკლევადიანი მიწოდების მრუდი კვლავ  $A$  წერტილს დაუბრუნებოდა. დამატებითი მოთხოვნის პოლიტიკის გატარების შედეგად მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაინაცვლებს და  $E$  წერტილში ახალი გრძელვადიანი წონასწორობა მიიღწევა.


დესაც ნედლეულზე გარე ფაქტორებით განპირობებული ფასების ზრდა ხელს უწყობს მიწოდების მრუდის ზემოთ გადაადგილებას  $Y^S_1$ -დან  $Y^S_2$ -კენ.  $D$  წერტილში, მოთხოვნის მრუდთან, ჩნდება ახალი გადაკვეთის წერტილი, სადაც წარმოების პოტენციალთან მიმართებაში ეროვნული შემოსავალი შემცირებული, ხოლო ფასების დონე გაზრდილია. მიწოდების შოკი, ამდენად, სტაგფლაციას იწვევს. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის გარეშე სავარაუდოა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია, კვლავ დავეუბრუნდეთ  $A$  წერტილს. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საწარმოო სიმძლავრეების არასრული დატვირთვა ხელფასებსა და ფასებზე უარყოფითად აისახება, რაც ფასებთან დაკავშირებული მოლოდინების კლებასა და, საბოლოოდ, ფასების შემცირებას იწვევს. შედეგად, მიწოდების მოკლევადიანი ფუნქცია კვლავ უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას. სხვა შედეგებს ვიღებთ იმ შემთხვევაში, როცა კონიუნქტურის სტაბილიზაციისთვის სახელმწიფო დამატებით ღონისძიებებს მიმართავს.

აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობდნენ ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციის ზევით გადაადგილებას  $Y^D_2$ -სკენ. გრძელვადიანი წონასწორობა შესაძლებელია,  $E$  წერტილში აღმოჩენილიყო. აღნიშნულ წერტილში კვლავ წარმოიქმნება  $Y_0$  წარმოების პოტენციალი, თუმცა ფასების მომატებული დონით. მიწოდების შოკის დაძლევა მოთხოვნაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებით, როგორც ვხედავთ, ფასების დონის ზრდის ხარჯზე ხორციელდება.

## 8.2 უმუშევრობის მიზეზები

შრომის ბაზარზე დაკვირვებით შესაძლებელია, კიდევ ერთხელ დავინახოთ განსხვავებები მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ ანალიზს შორის. შრომის ბაზრის იზოლირებულ მოდელში, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე 8.4., შრომის მიწოდებისა და შრომის მოთხოვნის ურთიერთქმედებით წარმოიქმნება შრომის ბაზრის წონასწორობა. შიდამეურნეობის (მომხმარებლის)  $NS$  შრომის მიწოდება  $W/P$  რეალურ ხელფასზე მკვეთრად დადებითად არის დამოკიდებული, ხოლო მეწარმეთა მხრიდან  $ND$  შრომის მოთხოვნა – უარყოფითად. წონასწორობის პირობებში ერთდროულად განისაზღვრება  $N_0$  – სამუშაო ძალის მიწოდება სრული დასაქმებისას და  $(W/P)_0$  რეალური ხელფასის წონასწორობის დონე. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკის მოცემული რეალური კაპიტალი მუდმივია, სრული დასაქმების დროს, სამუშაო ძალის მიწოდება განსაზღვრავს  $Y_0$  წარმოების პოტენციალის დონეს.

შემდგომში წარმოდგენილი იქნება უმუშევრობის წარმოქმნის სამი განსხვავებული მიზეზი. სტრუქტურული უმუშევრობა (კლასიკური მაკროეკონომიკური თეორიის მიხედვით) მიკროეკონომიკური მოდელის ფუნქციების დარღვევით აიხსნება. კონიუნქტურული უმუშევრობა (კეინზიანური მაკროეკონომიკური თეორიის მიხედვით) განპირობებულია შრომის მიკრობაზრების (დარგების ან რეგიონების მიხედვით დასაქმების ცალკეული ბაზრების) უკურნაქციით ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაზე.



ნახაზი 8.4: შრომის ბაზრის წონასწორობა მიკროეკონომიკურ პერსპექტივაში

შრომის ბაზარზე ერთმანეთს ხედებიან მეწარმეთა მხრიდან შრომის მოთხოვნა და შიდა მეურნეობების მხრიდან შრომის მიწოდება. ორივე დამოკიდებულია  $(W/P)$  რეალურ ხელფასზე, სადაც  $W$  ნომინალური ხელფასს, ხოლო  $P$  ფასების დონეს აღნიშნავს. მზარდი რეალური ხელფასის შემთხვევაში იზრდება შრომის მიწოდება, ხოლო შრომის მოთხოვნა მცირდება. შრომის მიწოდებისა და შრომის მოთხოვნის გადაკვეთის წერტილში განისაზღვრება წონასწორობის რეალური ხელფასი და შრომის ბაზარზე არსებული სრული დასაქმების დონე.


და ბოლოს, სინთეზის მოდელი ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების მოდელზე დაყრდნობით ცდილობს, უმუშევრობა წარმოგვიდგინოს, როგორც ყველა ბაზარზე – დასაქმების, საქონლის და ფულის ბაზრებზე წონასწორობიდან გადახრის შედეგი, რომელიც, როგორც ეკონომიკურ ციკლებს შორის კავშირის შედეგი, არ შეიძლება იზოლირებულად იყოს განხილული.

### 8.2.1 სტრუქტურული (კლასიკური) უმუშევრობა

შრომის ბაზრის მიკროეკონომიკურ მოდელში სტრუქტურული უმუშევრობა წარმოიქმნება მოქმედი მინიმალური ფასის შედეგად. როგორც ეს ნახაზზე 8.5 ჩანს,  $(W/P)_1$  რეალური ხელფასი, რომელიც წონასწორობის რეალურ ხელფასს აღემატება, იწვევს ბაზარზე წონასწორობის დარღვევას, შესაბამისად, შიდა მეურნეობის მხრიდან შრომის მიწოდებასთან შედარებით, მეწარმეების მოთხოვნა დასაქმებაზე მცირდება. უმუშევრობის დონე შეადგენს  $N_2 - N_1$ .

მიკროეკონომიკური მოდელის ლოგიკის თანახმად, სტრუქტურული უმუშევრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა რეალური ხელფასის შემცირება, რომელიც შრომის ბაზარზე არსებულ წონასწორობასთან შედარებით, მეტისმეტად მაღალია. რეალური ხელფასი არ წარმოადგენს ფასს, რომლის მიხედვითაც დასაქმების ბაზარზე უშუალოდ დგება შრომითი გარიგება (კონტრაქტი).  $P$  ფასების დონის მუდმივობის დაშვებიდან გამომდინარე, შრომითი ხელშეკრულების მხარეებს (სატარიფო მხარეებს) შეუძლიათ  $W$  ნომინალური ხელფასის განაკვეთის ცვლილებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება. თუ ერთობლივი მიწოდების ან მოთხოვნის ცვლილებების შედეგად იცვლება ფასების დონე, შრომითი ხელშეკრულების მხარეთა გადაწყვეტილებებმა ნომინალური ხელფასის სიდიდესთან დაკავშირებით საბოლოოდ შესაძლებელია, რეალურ ხელფასზე გავლენა არც იქონიონ.

შრომის ბაზარსა და საერთო ეკონომიკურ განვითარებას შორის ურთიერ-  
 თდამოკიდებულებას კიდევ ერთხელ დავინახავთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ  
 მუდმივი ნომინალური ხელფასის შემთხვევაში, რეალური ხელფასის შემცირე-  
 ბა ასევე შესაძლებელია ეკონომიკაში ფასების დონის ზრდის შედეგად. თუმცა,  
 ნაკლებ სავარაუდოა, რომ ნომინალური ხელფასი ინფლაციის ზრდის გათვა-  
 ლისწინებით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუდმივი დარჩება. თუ ნომი-  
 ნალური ხელფასი შეიცვლება ფასების ზრდის შესაბამისად, რეალური ხელფა-  
 სი მუდმივი დარჩება და სპირალი ხელფასი-ფასი ხანგრძლივად შენარჩუნდება.




ნახაზი 8.5: კლასიკური უმუშევრობის წარმოშობა და მასთან ბრძოლა

მიკროეკონომიკურ მოდელში უმუშევრობა შრომის ბაზარზე წარმოიშობა, როდესაც რეალური ხელ-  
 ფასი თავის წონასწორობის დონეს აღემატება.  $(W/P)_1$  რეალური ხელფასის დროს შრომის მიწოდება  
 აჭარბებს შრომის მოთხოვნას. არსებული  $N_2 - N_1$  განსხვავება შეესაბამება უმუშევრობას. კლასიკური  
 უმუშევრობის დაძლევა შესაძლებელია ფასების უცვლელი პირობებში ნომინალური ხელფასის  
 შემცირებით, მუდმივი ნომინალური ხელფასის დროს ფასების დონის ზრდით ან დონისძიებით,  
 რომელთა შედეგადაც მოხდება შრომის მოთხოვნის მრუდის გადაადგილება.

კლასიკური უმუშევრობის დაძლევის მესამე შესაძლებლობის მიხედვით, შრომა-  
 ზე მოთხოვნა ისე უნდა გაიზარდოს, რომ  $N_1^D$  გადაადგილდეს მარჯვნივ  $N_2^D$ -სკენ.  
 იდეალურ შემთხვევაში,  $(W/P)_1$  რეალური ხელფასის დროს  $N_2$ -თან წარმოიქმნე-  
 ბა სრული დასაქმება. მეწარმეთა მხრიდან შრომაზე მოთხოვნის მსგავსი ზრდა  
 მოსალოდნელია, როდესაც შრომის მწარმოებლურობა იმდენად იზრდება,  
 რომ იგი მაღალ რეალურ ხელფასს შეესაბამება. შრომის მწარმოებლურობის  
 ზრდა პირდაპირ კავშირშია რეალურ ან ჰუმანურ კაპიტალში ინვესტიციებთან.  
 ინვესტიციები თავის მხრივ, წარმოადგენს საქონელზე ერთობლივი მოთხოვნის  
 ნაწილს ისე, რომ ციკლებს შორის კავშირების საპასუხო რეაქციები აქვს გასათ-  
 ვალისწინებელია. ერთი მხრივ, მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ ინ-  
 ვესტიციების ზრდისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ მოცულობის, არ-  
 ამედ აგრეთვე მოთხოვნის ეფექტებიც, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოების,  
 ეროვნული შემოსავლისა და დასაქმების გრძელვადიან ზრდას. განსაზღვრულ  
 პირობებში ასევე შესაძლებელია, რომ შრომის მწარმოებლურობის ზრდამ გა-  
 მოიწვიოს სამუშაო ძალის გაძლიერებული გამოთავისუფლება, ეროვნული შე-  
 მოსავლისა და ერთობლივი მოთხოვნის შემცირება.

8.2.2 კონუნქტურული (კეინზიანური) უმუშევრობა

ერთობლივი მოთხოვნის სიმცირე კეინზიანური უმუშევრობის მიზეზს წარმოად-  
 გენს. ერთობლივი მიწოდება-მოთხოვნის მოდელის შედეგების გათვალისწინე-  
 ბით ცხადი ხდება, რომ მთელი ეკონომიკისათვის მაქსიმალურად შესაძლებელი  
 $Y_0$  წარმოების მოცულობის მისაღწევად გადაწყვეტი მნიშვნელოვანი ენიჭება არა  
 მხოლოდ გამოყენებული სამუშაო ძალის რაოდენობას, არამედ აგრეთვე  $Y^D$  სა-  
 ქონელზე ერთობლივი მოთხოვნის მოცულობასაც. დამოუკიდებელი ხარჯების  
 (უპირველესად, გადასახადები – ე.ი. ის ხარჯები, რომლებიც მომხმარებელმა  
 საკუთარი პრეფერენციებისგან დამოუკიდებლად უნდა გასწიოს) ან ფულის მი-  
 წოდების შემცირების საფუძველზე  $Y^D$ -ს ქვევით გადაადგილების შემთხვევაში,  
 როგორც ეს ნახაზზე 8.2 არის ნაჩვენები, უეცრად აღმოჩნდება, რომ ერთობლი-  
 ვი მოთხოვნა სამუშაო ძალის სრული დასაქმებისათვის საკმარისი აღარ არის.



ნახაზი 8.6: კეინზიანური უმუშევრობის წარმოშობა

კონუნქტურული (კეინზიანური) უმუშევრობა წარმოიქმნება, როდესაც შრომის მოთხოვნა შეზღუდუ-  
 ლია საქონელზე მოთხოვნის დონით. რეალური ხელფასის დონის მიუხედავად, შრომის მოთხოვნა  
 მდებარეობს  $N_3$ -თან, უმუშევრობა წარმოიქმნება  $N_0 - N_3$ -ის სხვაობის მიხედვით. კეინზიანური უმუშევ-  
 რობის დაძლევა შესაძლებელია არა რეალური ხელფასის ცვლილებით, არამედ მხოლოდ ერთობ-  
 ლივი მოთხოვნის ზრდით.

აღნიშნული კავშირი მიკროეკონომიკური შრომის ბაზრის პოზიციიდან, ასახ-  
 ულია ნახაზზე 8.6. მეწარმეები თავიანთ წარმოებას მიუსადაგებენ შემცირებულ  
 მოთხოვნას. სამუშაო ძალაზე მათი მოთხოვნა იქნება არა  $N_0$ , – არამედ  $N_3$ , მხო-  
 ლოდ პროდუქციის შემცირებული წარმოების შესაბამისად. უცვლელად დარ-  
 ჩენილი მაღალი  $(W/P)_0$  რეალური ხელფასის შემთხვევაში, შრომის ბაზარზე  
 წარმოიქმნება არასრული დასაქმება ისე, რომ  $N_3$  – რეალური დასაქმება მაქსი-  
 მალურად შესაძლო  $N_0$  – სრული დასაქმების დონეს არ შეესაბამება.

ნომინალური სახელფასო განაკვეთის შემცირების გზით რეალური ხელფა-  
 სის შემცირებამ, შესაძლოა გამოიწვიოს მეწარმეების მხრიდან მოთხოვნილი  
 $N_3$  დასაქმების გათანაბრება შრომის მიწოდებასთან. თუმცა, მსგავსი სიტუაცია  
 იქნებოდა არასრულ დასაქმებასთან დაკავშირებული გრძელვადიანი წონას-  
 წორობის მდგომარეობა. შესაბამისად, კეინზიანური უმუშევრობის წინააღმდეგ



ბრძოლის ადეკვატური ფორმა მდგომარეობს არა რეალური ხელფასის შემცირებისკენ მიმართულ ღონისძიებებში, არამედ უმუშევრობის დაძლევის მიზნით, საჭიროა რეალური ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა  $Y_0$  მიწოდების იმ მაქსიმალურ რაოდენობამდე, რომლის წარმოებაც შესაძლებელია.

ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, ნომინალური ერთობლივი მოთხოვნის კომპონენტები რეგულირებადია. რამდენად ეფექტიანი შეიძლება იყოს მოთხოვნის პოლიტიკის გატარება რეალური ერთობლივი მოთხოვნის თვალსაზრისით, დამოკიდებულია ფასების დონის განვითარებაზე, რომელიც, როგორც ვიცით, ერთობლივი მიწოდება-მოთხოვნის მოდელში თავადაც შიდა ეფექტებით არის განპირობებული. და ბოლოს, კეინზიანური უმუშევრობის წარმატებით დაძლევისათვის, ცხადია, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფს თუ არა რეალური ხელფასი ხანგრძლივი დროის მანძილზე წონასწორობის შენარჩუნებას. ფასების დონის შიდა ეფექტებით განპირობებულმა ცვლილებებმა ან ნომინალური ხელფასების გარე ეფექტებით განპირობებულმა ცვლილებებმა შეიძლება საქმე იქამდე მიიყვანოს, რომ შეიცვალოს რეალური ხელფასი, ისე, რომ მოთხოვნის დეფიციტის წარმატებული კომპენსაციის შემდეგ, კეინზიანური უმუშევრობის ნაცვლად თავი იჩინოს კლასიკურმა უმუშევრობამ.

### 8.2.3 უმუშევრობა მაკროეკონომიკური სინთეზის მოდელში

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კლასიკური და კეინზიანური უმუშევრობის ყველაზე მარტივ მოდელში ციკლებს შორის კავშირებს მეტისმეტად მცირე ყურადღება ეთმობა, თანამედროვე შრომის ბაზრის თეორიამ განავითარა სინთეზის მოდელი, რომელიც ეკონომიკის ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის მოდელშია ინტეგრირებული. ხანგრძლივი უმუშევრობა, რომელსაც მივყავართ დასაქმების იმ მოცულობასთან, რომელიც სრული დასაქმების პოტენციალზე ნაკლებია, აღნიშნული მოდელის ფარგლებში ახსნილი იქნება ხელფასების ფორმირებასა და მოთხოვნის დინამიკას შორის ურთიერთქმედების ტრიკომი.

მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომლის მიხედვითაც მთლიანი ეროვნული შემოსავალი  $Y$  იწარმოება მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებული ერთი წარმომადგენლობითი მეწარმის მიერ.  $Y$  წარმოება და  $N$  შრომის მიწოდება, რეალური კაპიტალისა და სხვა დასაშვები საწარმოო ფაქტორების უცვლელობის პირობებში, დაკავშირებულია საერთო-ეკონომიკური წარმოების ფუნქციით:

$$Y = F(N) \tag{8.2}$$

ამ წარმოების ფუნქციას აქვს შრომის დადებითი, მაგრამ კლებადი ზღვრული მწარმოებლურობა, ისე რომ 1. და 2. რიგის წარმოებულებისათვის მოქმედებს:  $F'(N) > 0$ -სა და  $F''(N) < 0$ . წარმომადგენლობითი მეწარმე მოქმედებს მონოპოლური კონკურენციის პირობებში ისე, რომ იგი აღმოჩნდება მოცემული ფასი-გასაღება-ფუნქციის წინაშე.


ასეთ საერთო-ეკონომიკურ გარემოში, ფასი-გასაღების-ფუნქცია გამოხატავს უარყოფით კავშირს ეკონომიკის მთლიან წარმოებასა და ფასების დონეს შორის:

$$P = P(Y) \tag{8.3}$$

გამარტივების მიზნით დასაშვებია, რომ არსებობს მოთხოვნის მუდმივი ელასტიკურობა ფასის მიმართ. რაც უფრო ნაკლებად რეაგირებს საქონლის მოთხოვნა ფასის ცვლილებებზე, მით უფრო მაღალია მეწარმის საბაზრო ძალაუფლება. საბაზრო ძალაუფლება ასახულია  $\mu$  მოგების ნაზარდში პროდუქციის ზღვრულ ხარჯებზე, რომლებიც მარტივი მოდელის ფარგლებში, მუდმივ  $W$  ნომინალურ ანაზღაურებას შეესაბამება.

ასეთი დაშვებების პირობებში, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ მეწარმე მაქსიმალურ მოგებაზეა ორიენტირებული, რეალურ ხელფასსა და  $N^*$  დასაქმების მოცულობას შორის მიიღება უარყოფითი კავშირი:

$$\frac{W}{P} = \frac{F'(N)}{\mu} \tag{8.4}$$



ნახაზი 8.7: შრომის ბაზრის წონასწორობა მაკროეკონომიკურ პერსპექტივაში

სინთეზის მოდელის ფარგლებში, როგორც რეალური ხელფასი, ისე დასაქმების დონე ენდოგენურად განისაზღვრება. ერთი მხრივ, ფასის დაწესების ფუნქცია და, მეორე მხრივ, დასაქმების ფუნქცია აღწერს

\* ფორმალურად წარმომადგენლობითი მეწარმის მოგების ფუნქციის მაქსიმიზაციიდან (8.4) გასაღების რაოდენობის (8.2) არჩევით, წარმოების ფუნქციისა და ფასი-გასაღება-ფუნქციის გათვალისწინებით, გამოდინარეობს (8.3):

$$\begin{aligned} \max G &= P \cdot Y - W \cdot N = P(Y)Y - W \cdot N \\ \frac{\partial G}{\partial Y} &= P + Y \frac{\partial P}{\partial Y} - W \cdot \frac{\partial N}{\partial Y} = P \left( 1 + \frac{1}{\delta} \right) - \frac{W}{F'(N)} = 0 \\ \frac{\partial G^2}{\partial Y^2} &= \frac{\partial P}{\partial Y} \left( 1 + \frac{1}{\delta} \right) + \frac{W \cdot F''(N)}{F'(N)^3} < 0 \end{aligned}$$

ამასთან,  $\delta = \frac{\partial Y}{\partial P} \cdot \frac{P}{Y} < 0$  წარმოადგენს (მუდმივად მიჩნეულ) მოთხოვნის ელასტიკურობას ფასის მიმართ. საბაზრო ძალაუფლების არსებობიდან გამომდინარე, დასაშვებია ელასტიკურობა  $-\infty$  და  $-1$  შორის. ხელფასის ზღვრულ ხარჯებზე მუდმივი (დადებითი) მოგების ნაზარდის დეფინიციით  $\mu = \frac{\delta}{1+\delta}$  მიიღება ფასების დაწესების ფუნქცია (8.4)

ორ ცვლადს შორის არსებულ კავშირებს, რომლებიც გამომდინარეობენ ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების მოდელიდან. თუ წონასწორობა  $H$ -თან, მაშასადამე  $NS$  შრომის მიწოდების ფუნქციიდან მარცხნივ მდებარეობს,  $(W/P)^*$  რეალური ხელფასის შემთხვევაში,  $N^*$  დასაქმების დონე უმუშევრობაზე მიუთითებს. სრული დასაქმების მიღწევა შესაძლებელია იმ დონისძიებებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ფასის ფუნქციის გადაადგილებას, მაგალითად  $I$  წერტილამდე, ან დასაქმების ფუნქციის გადაადგილებას  $J$  წერტილამდე.

აღნიშნული კავშირი ნახაზზე 8.7. გამოსახულია, როგორც ფასის დაწესების ფუნქცია. მისი გადაადგილებების პარამეტრები მონოპოლიური საბაზრო ძალაუფლების გზით მიღებული  $\mu$  დამატებითი მოგება და სხვა შესაძლო საწარმოო ფაქტორებია, რომლებიც შრომის მწარმოებლობაზე გავლენას ახდენენ. საქონლის ბაზარზე ინტენსიური კონკურენციის გამო დამატებითი მოგების კლება, რაც ფასის მიმართ მოთხოვნის ელასტიკურობას უწყობს ხელს, ან შრომის მწარმოებლობის გარე ფაქტორებით გამოწვეული ზრდა, მაგალითად რეალური და ჰუმანური კაპიტალის ინვესტირების გზით, ფასის დაწესების ფუნქციას მარჯვნივ გადაადგილებს.

სინთეზის მოდელის მეორე კომპონენტია ე.წ. დასაქმების ფუნქცია, რომელიც გამომდინარეობს ფულის რაოდენობრივი განტოლებიდან (6.4). ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფულის რაოდენობრივი განტოლების თანახმად,  $Y/P$  ფაქტიური ერთობლივი ნომინალური მოთხოვნა ერთობლივ ნომინალურ დანახარჯებს შეესაბამება, რომელთა გამოსახვაც შესაძლებელია  $M$  ფულის რაოდენობისა და მისი  $V^*$  ბრუნვის სიჩქარის სახით. თუ რაოდენობრივ განტოლებას  $W$  ნომინალურ ხელფასამდე გავაფართოებთ და მთლიანი წარმოების ფუნქციის შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნება რეალურ წარმოებასა და დასაქმებას შორის კავშირი (8.2), მივიღებთ რეალურ ხელფასსა და დასაქმებას შორის დადებით კავშირს:

$$\frac{W}{P} = F(N) \cdot \frac{W}{M \cdot v^*} \tag{8.5}$$

ნახაზზე 8.7. გამოსახული დასაქმების ფუნქციის განლაგების პარამეტრებია ნომინალური ხელფასი და, შესაბამისად, შრომის ბაზარზე სატარიფო მხარეების ქცევა ხელფასის დაწესების დროს, ერთობლივი ნომინალური დანახარჯები, რომლებიც განპირობებულია ფულისა და საქონლის ბაზრებზე მოთხოვნის განვითარებით და ასევე სხვა შესაძლო საწარმოო ფაქტორები. საერთო ნომინალური დანახარჯების ცვლილება შედეგია ფულის რაოდენობის ცვლილების ან ფულის ბრუნვის სიხშირის ცვლილებისა, რაც შესაძლებელია, მაგალითად, კაპიტალის ბაზარზე განაკვეთების მრუდის გადაადგილებამ გამოიწვიოს. საერთო ნომინალური დანახარჯების ზრდა დასაქმების ფუნქციას მარჯვნივ, ხოლო ნომინალური ხელფასის მომატება – მარცხნივ გადაადგილებს, ზუსტად ისევე, როგორც სხვა საწარმოო ფაქტორების როლის ზრდა, რომელთა სამუალებითაც შრომის მწარმოებლობა მალღდება.

ნახაზზე 8.7. ფასის დაწესებისა და დასაქმების ფუნქციების გარდა, ასევე გამოსახულია  $NS$  შრომის მიწოდების მიკროეკონომიკური ფუნქცია. იგი მიუთითებს მოცემულ მომენტში არსებული რეალური ხელფასის პირობებში შიდა მუშაობების მხრიდან მაქსიმალურად უზრუნველყოფილ შრომის მიწოდებაზე.

მაკროეკონომიკური პერსპექტივიდან უმუშევრობა თავს იჩენს, როცა არ არის შესაძლებელი აღნიშნული შრომის მიწოდების სრულყოფილად ათვისება, ვინაიდან ფასის დაწესებისა და დასაქმების ფუნქციების გადაკვეთის წერტილი  $NS$ -დან მარცხნივ,  $H$  პუნქტში მდებარეობს. უმუშევრობის მიზეზი შეიძლება იყოს სასაქონლო ბაზარზე კონკურენციის ნაკლებობა, ერთობლივი მოთხოვნის სიმცირე ან მეტისმეტად გაზრდილი ნომინალური ხელფასი. დასაშვებია ასევე ჩამოთვლილ ფაქტორთაგან რამდენიმეს თანხვედრა. სინთეზის მოდელის თვალსაზრისით, უმუშევრობის წარმატებული დაძლევა შესაძლებელია, თუ სასაქონლო ბაზარზე ინტენსიური კონკურენციის გზით შემცირდება  $\mu$  მოგების ნაზარდი და ფასის დაწესების ფუნქცია მარჯვნივ გადაინაცვლებს. სრული დასაქმების წონასწორობა წერტილ  $I$ -თან გაზრდილ რეალურ ხელფასთანაც კი იქნებოდა დაკავშირებული. მეორე შესაძლებლობა დასაქმების გაზრდისათვის მდგომარეობს ერთობლივ ნომინალურ მოთხოვნასა და ნომინალურ ხელფასს შორის არსებული დამოკიდებულების გაზრდაში. ამის განხორციელება შესაძლებელია ერთობლივი მოთხოვნის გაზრდის ან ნომინალური ხელფასის შემცირების გზით. ამ ფორმით მიღწეული სრული დასაქმების წონასწორობა მდებარეობს  $J$  წერტილში და მომატებული ფასების დონის ან შემცირებული ნომინალური ხელფასის გამო, დაკავშირებულია შემცირებულ რეალურ ხელფასთან. გაურკვეველი რჩება, თუ რა ეფექტს ახდენს რეალურ ან ჰუმანურ კაპიტალში მეტი ინვესტიციების ჩადება, რომელიც ჯერ ერთი, უფრო მწარმოებლურს ხდის შრომის მიწოდებას, მეორე მხრივ, შესაძლოა, გამოიწვიოს ერთობლივი ნომინალური მოთხოვნის ზრდა და შესამეც, ხელს უწყობს სხვა საწარმოო ფაქტორებით სამუშაო ძალის ჩანაცვლებას.

### 8.3. სტაბილიზაციის პოლიტიკის საწყისები

#### 8.3.1 ფისკალური პოლიტიკა

სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკის დონისძიებებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს კონუნქტურული მართვის მიზნით ერთობლივ მოთხოვნაზე ან მის ცალკეულ კომპონენტებზე გავლენის მოხდენა, ფისკალური პოლიტიკა ეწოდება. ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები და მათი ამოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტის საკვანძო საკითხების გამარტივებული ფორმის საფუძველზეა შექმნილი და სისტემაში მოყვანილი. საქონელსა და მომსახურებაზე სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნას  $B$  (ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი) უპირისპირდება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში შესული გადასახადები  $T$ . თუ სახელმწიფო დანახარჯები აღემატება გადასახადებიდან მიღებულ შემოსავლებს, ადგილი აქვს ბიუჯეტის დეფიციტს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ცენტრალურ ბანკში ან კერძო სექტორისგან (კომერციული ბანკები, მომხმარებლები) აღებული შემდეგი სიდიდის კრედიტით უნდა დაიფაროს

$$D = B - T \tag{8.6}$$

თუ  $T$  გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები (საგადასახადო შემოსავლები), პირიქით აღემატება  $B$  სახელმწიფო დანახარჯებს, ადგილი აქვს სახელ-

მწიფო ბიუჯეტის სიჭარბეს, მის პროფიციტს, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ცენტრალურ ბანკში სარეზერვო კაპიტალის შესაქმნელად ან სახელმწიფო კრედიტების დასაფარად.

სახელმწიფო მოთხოვნის  $B$ , როგორც  $Y^D$  ერთობლივი მოთხოვნის შემადგენელი ნაწილის ექსპლიციტურმა განხილვამ უკვე აჩვენა, თუ რა ფორმით არის შესაძლებელი სახელმწიფო დანახარჯების უშუალო გავლენა ეროვნულ შემოსავლებსა და დასაქმებაზე. ფასების უცვლელობის პირობებში  $B$ -ს  $AB$ -ით გაზრდა, ხელს უწყობს ერთობლივი მოთხოვნისა და ეროვნული შემოსავლების ზრდას. იზრდება რა მოხმარება, რომელიც თავის მხრივ, ერთობლივი მოთხოვნის შემდგომ ზრდას იწვევს, ადგილი აქვს სახელმწიფო დანახარჯების პოლიტიკის მულტიპლიკატორის ეფექტს.

საგადასახადო პოლიტიკას შუძლია, ერთის მხრივ, გავლენა მოახდინოს უშუალოდ ინვესტიციების მოცულობაზე. 7.2.1-ში განხილული კავშირების საფუძველზე, მაგალითად, საინვესტიციო ხარჯების შემცირება ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი საგადასახადო პირობების გზით, იწვევს დისკონტური განაკვეთის  $i$  ცვლილებას. შესაბამისად, გრაფიკულად ნახაზზე 7.1. ინვესტიციების ფუნქცია მარჯვნივ გადაადგილდება. ამით ნებისმიერი  $r$  საბაზრო განაკვეთის შემთხვევაში, შესაძლებელია უფრო მეტი მოცულობის ინვესტიციის განხორციელება.

მიღა მეურნეობების მიერ გადასახადების გადახდის შემთხვევაში (სახელმწიფოს მიერ მათი შემოსავლების დაბეგვრა), საგადასახადო პოლიტიკა, არსებული შემოსავლების ზომიდან გამომდინარე, გავლენას ახდენს კერძო  $C$  სამომხმარებლო მოთხოვნაზე. გადასახადების  $AT$ -ით შემცირება, რის შედეგადაც იზრდება მიღა მეურნეობებში მოხმარებისათვის განკუთვნილი შემოსავლები და სამომხმარებლო მოთხოვნა, ხელს უწყობს ერთობლივი მოთხოვნის გაფართოებას და, თავის მხრივ, მულტიპლიკატორის ეფექტს იწვევს. იმის გამო, რომ საგადასახადო პოლიტიკის ეფექტურობა, რომელიც კერძო სამომხმარებლო მოთხოვნით ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედებს, სახელმწიფო დანახარჯების პოლიტიკის ეფექტურობაზე მცირეა, რომელიც მოხმარების ეფექტების გარდა უშუალო გავლენას ასევე ერთობლივ მოთხოვნაზე ახდენს, შესაძლოა გამოიკვეთოს მთლიანი ბიუჯეტის მეტად საინტენესო შედეგები კონიუნქტურისთვის. დამატებითი სახელმწიფო დანახარჯების  $AB$  დაფინანსება გადასახადების შესაბამისი გაზრდის გზით ( $AT = AB$ ), მოთხოვნაზე დადებითი საერთო ეფექტის მოლოდინს აღძრავს. აღნიშნულ კავშირს ასევე ჰაველმოს თეორემას უწოდებენ.

სრულიად განსხვავებული შედეგებია მოსალოდნელი, როდესაც დამატებითი სახელმწიფო მოთხოვნის დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან კრედიტების  $D$  აღებით ხორციელდება. სახელმწიფოს მხრიდან ცენტრალურ ბანკში კრედიტების აღება მონეტარული პოლიტიკის ეფექტებიდან გამომდინარე, განხილული იქნება შემდეგ პარაგრაფში. კაპიტალის ბაზარზე  $D$  კრედიტის აღების გაზრდამ, დამატებითი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით, წონასწორობის შესაბამისი ეროვნული შემოსავლების დეტერმინანტებზე შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით მოახდინოს გავლენა. პირველ რიგში, ფასიანი ქაღალდების მიწოდების გაზრდა გამოიწვევს მათ გაიაფებას, შესაბამისად, კაპიტალის ბაზარზე განაკვეთის მატებას. აქედან გამომდინარე, მცირდება განაკვეთზე დამოკიდებული ინვესტიციების მოცულობაც. სახელმწიფო მოთხოვნით გამოწვეულ კერძო ინვესტიციების ცვლილებებს, რომელიც სახელმწიფო კრედიტებით ფინანსდება, ინვესტორთა შევიწროვების ეფექტი ეწოდება (*Crowding out-Effekt*). იგი მით უფრო მცირდება, რაც უფრო სუსტად რეაგირებს ინვესტიციების მოთხოვნა განაკვეთის ცვლილებებზე.

$D$  კრედიტის აღების გაზრდას შესაძლოა, კერძო სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირება მოჰყვეს. თუ კაპიტალის ბაზარზე კრედიტის აღების გამო წარმოშობილი ვალეების მომსახურება არ დაფინანსდება მუდმივად გაზრდილი სახელმწიფო დავალიანებით, მათი დაფარვა მომავალში მხოლოდ გაზრდილი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებით იქნება შესაძლებელი. ვინაიდან, მიღა მეურნეობები ითვალისწინებენ მაღალი გადასახადებით დატვირთვას და, შესაბამისად, არსებული შემოსავლების შემცირებას, ისინი სამომხმარებლო ფუნქციის დაშვებების შესაბამისად, ზღუდავენ თავიანთ სამომხმარებლო მოთხოვნას. თუ არსებობს დადებითი კავშირი სახელმწიფო გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ოდენობასა და ეროვნული შემოსავლის სიდიდეს შორის, როგორც საერთო სამომსავლო გადასახადების შემთხვევაში, მაშინ მოცემულ პირობებში, ვალეების მომსახურების დასაფინანსებლად საგადასახადო პოლიტიკური დამატებითი ღონისძიებების გატარება საჭირო აღარ იქნება. კერძოდ, თუ მოხერხდება სახელმწიფო მოთხოვნის გაფართოების გზით ეროვნული შემოსავლების ხანგრძლივი დროით გაზრდა, ავტომატურად იზრდება გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებიც.

**ოლბან ფილიპსი და ინფლაციისა და უმუშევრობას შორის ალტერნატივა**

ოლბან უილიამ ფილიპსი (1914-1975) დაიბადა ახალ ზელანდიაში. იგი თავდაპირველად ავსტრალიაში მუშაობდა, ხოლო 1937 წელს ემიგრაციით ბრიტანეთში წავიდა. ლონდონის ეკონომიკის სკოლაში ის სწავლობდა ეკონომიკურ მეცნიერებებს, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგაც, აქვე დაიწყო მისი სამეცნიერო კარიერა. 1949 წელს მან განავითარა ნომინალური ეროვნული შემოსავლის ანგარიშების გამოთვლა (Monetary National Income Account Computer (MONIAC)), ეკონომიკური ციკლის ორგანოზომილებიანი მოდელი, რომელშიც ავზებს შორის არსებული წყალგაცვანილობა ციკლურ დინებებს განასახიერებდა. MONIAC-ი რომლის მხოლოდ 14 ეგზემპლარი აიგო, გამოიყენებოდა აკადემიურ სწავლებასა და პოლიტიკური ღონისძიებების სიმულაციისათვის. 1967 წელს ფილიპსი დაბრუნდა ავსტრალიაში, სადაც მან კანბერაში ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრის გამგის პოსტი დაიკავა. მის მთავარ შრომას წარმოადგენს: ურთიერთობა უმუშევრობასა და ნომინალური ხელფასის ცვლილების სიჩქარეს შორის ინგლისში 1861-1957 წლებში“ („The Relationship between Unemployment and the Rate of Change of Money Wages in the UK 1861-1957) (Economica, 1958).

ფილიპსის „ეკონომიკური ციკლის წყლის მოდელი“ (ზიარი ჭურჭელის პრინციპი) ხელს უწყობდა ე.წ. ჰიდრაულიკური კინეზიანიზმის წარმოდგენას – სტაბილიზაციის პოლიტიკას შესწევს უნარი, თითქმის საინჟინრო-ტექნიკური მეცნიერების სიზუსტით მოახდინოს გავლენა კონიუნქტურულ განვითარებაზე. ბრიტანეთის შრომის ბაზრის ისტორიული მონაცემების გაანალიზებით, ფილიპსი მივიდა დასკვნამდე, რომ იმ პერიოდში, როდესაც უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალი იყო, ნომინალურმა ხელფასმა მხოლოდ მცირედით მომატა მაშინ, როდესაც უმუშევრობის დაბალი დონის პირობებში, ნომინალური



ხელფასი მკვეთრად გაიზარდა. ფილიპსის მრუდის სახელით ცნობილი ეს მიზეზობრივი კავშირი მოგვიანებით კიდევ უფრო განვითარდა (მათ შორის, პოლ სამუელსონისა და რობერტ სოლოუს მიერ) და ჩამოყალიბდა თეორიად უმუშევრობის დონესა და ინფლაციის მაჩვენებელს შორის უარყოფითი კავშირის შესახებ. თეორია ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ინფლაციის მუდმივი მოლოდინების პირობებში, ფასების დონის ზრდა ამცირებს რეალურ ხელფასს, რითაც ხელს უწყობს დასაქმების დონის ზრდას. ფილიპსის მრუდი მოცემული ფორმით წარმოადგენდა სტაბილიზაციის პოლიტიკისათვის ერთგვარ შესაძლებლობას, არჩევანი გაეკეთებინა კონკრეტულ ინფლაციის მაჩვენებელსა და ასევე განსაზღვრულ უმუშევრობის დონეს შორის. აღნიშნული კონცეფცია გააკრიტიკა მილტონ ფრიდმანმა, განიხილავდა რა მას მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში. ფრიდმანი თვლიდა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, ინფლაციის შემდეგობით უმუშევრობა ბუნებრივ დონეზე ქვემოთ არ შემცირდებოდა. რობერტ ლუკასის აზრით, რაციონალური მოლოდინების ჰიპოთეზიდან გამომდინარე, ზემოთხსენებულ მოკლევადიან ეფექტებსაც კი არ ექნებოდათ ადგილი, ვინაიდან სატარიფო მხარეები ნომინალური ხელფასების განსაზღვრისას უკვე წინასწარ გაითვალისწინებდნენ ინფლაციასთან დაკავშირებულ მოლოდინებს. ფილიპსის მრუდის გარშემო არსებული დისკუსიებზე დღეს ისმის კითხვა, ნეოკლასიკური სინთეზის მოდელის ფარგლებში უმუშევრობის რა დონე შეესაბამება ინფლაციის მაჩვენებლის (და არა ფასების) მუდმივ დონეს. ინფლაციის მიმართ სტაბილური უმუშევრობა (nonaccelerating inflation rate of unemployment, NAIRU) წარმოადგენს დამსაქმებლებისა და დასაქმებულების განაწილების მოთხოვნებს შორის არსებულ წონასწორობას. NAIRU-ს ფარგლებს მიღმა განაწილების განსხვავებული მოთხოვნა იწვევს ნომინალური ხელფასის ზრდას ან შემცირებას, რაც ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებებში და, შესაბამისად, საბოლოოდ ინფლაციისა და დეფლაციის პროცესებში პოულობს ასახვას.

მოთხოვნის ცალკეულ კომპონენტებზე საბიუჯეტო ხარჯებისა და შემოსავლების პოლიტიკის ღონისძიებების გზით გავლენის მოსახდენად საჭირო უამრავი შესაძლებლობა ფისკალურ პოლიტიკას, კონიუნქტიურისა და დასაქმების პოლიტიკის ფარგლებში, განუსაზღვრელად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს განსაკუთრებით ხაზგასმულია ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის კონცეფციაში, რომელიც კონიუნქტურული განვითარების სტაბილიზაციისა და ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის თვალსაზრისით, ძირითად პასუხისმგებლობას სახელმწიფოს აკისრებს. რეცესიის ფაზებში, რომლებიც ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის შემცირებით ხასიათდება, ასევე მზარდი სახელმწიფო დავალიანების გათვალისწინებით, კერძო მოთხოვნის სიმცირის კომპენსაცია დამატებითი სახელმწიფო დანახარჯების გზით უნდა განხორციელდეს. მაღალი კონიუნქტურის ფაზებში, სახელმწიფო დანახარჯების რეპატრიაციამ (საწყის დონეზე დაბრუნებამ) პირიქით, უნდა შეამციროს ერთობლივი მოთხოვნა. პროფიციტური ბიუჯეტი გამოყენებული უნდა იქნას არსებული სახელმწიფო დავალიანებების დასაფარად ისე, რომ კონიუნქტიურული ციკლის მანძილზე მნიშვნელოვნად არ გაიზარდოს სახელმწიფო ვალეები.

და მაინც, ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება უამრავ პრობლემასთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, როგორც წესი, ეკისრება არა რომელიმე ცალკეულ ინსტანციას, არამედ სწორედ რომ ფედერალური მოწყობის სახელმწიფო-ებში უამრავ პასუხისმგებელ პირზეა გადანაწილებული. ამდენად, ფისკალური

პოლიტიკის მდგრადი კონიუნქტურული განვითარება გულისხმობს საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შეთანხმებას სახელმწიფოს სხვადასხვა დონეზე. ვინაიდან კოორდინაციის მსგავსი პროცესები დროს მოითხოვს, არსებობს იმის საფრთხე, რომ კონიუნქტურული პოლიტიკის თვალსაზრისით საჭირო ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილებები დაგვიანებულად იყოს მიღებული და განხორციელებული.

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კონიუნქტურული სტაბილიზაცია სახელმწიფო ვაჭრობის მხოლოდ ერთ სფეროს წარმოადგენს, რომელიც სხვა სფეროებთან, მაგალითად, ეკონომიკური ზრდის სპეციფიკური წახალისების ღონისძიებებთან ან შემოსავლების განაწილებასთან, კონკურენტულ ურთიერთობაში იმყოფება. სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ ფისკალურ-პოლიტიკური მიზნებისათვის განკუთვნილი ნაწილი შესაბამისად, შეზღუდულად უნდა ჩაითვალოს. მას უკავშირდება საფრთხე, რომ პრინციპში შესაძლებელია, გაიზარდოს მოთხოვნის გამოცოცხლებისთვის საჭირო გადასახადებით ან კრედიტებით დაფინანსებული სახელმწიფო დანახარჯები, თუმცა მაღალი კონიუნქტიურის პერიოდში სახელმწიფო მოთხოვნის შესაბამისი რეპატრიაცია ვერ განხორციელდება. შედეგად, ადგილი ექნება საგადასახადო ტვირთის მუდმივ ზრდას და სახელმწიფო დავალიანებას, რომელიც სულ უფრო მეტად შეამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის კონიუნქტიურულ-პოლიტიკური მოქმედების არეალს.

**8.3.2 მონეტარული პოლიტიკა**

ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენის მოხდენა შესაძლებელია ასევე მონეტარული პოლიტიკის საშუალებითაც. როგორც ეს 6.3-ში იყო ნაჩვენები, არსებობს ტრანსმისიის სრულიად განსხვავებული გზები. მნიშვნელოვან როლს მონეტარული პოლიტიკის იმპულსების უფრო გრძელვადიანი შედეგიანობისათვის ასრულებენ კაპიტალის ბაზარზე წარმოქმნილი ეფექტები, ვინაიდან ისინი გავლენას ახდენენ საინვესტიციო მოთხოვნაზე.

ე.წ. ლიკვიდობის დეფიციტის საშუალებით შესაძლებელია ფულის რაოდენობის ზრდაზე სარგებლის შემამცირებელი ეფექტის თავიდან აცილება. ლიკვიდობის დეფიციტი თავს იჩენს მაშინ, როდესაც ფულის ბაზარზე არსებულ საწყის წონასწორობაში მოსალოდნელი აღარ არის განაკვეთის შემდგომი შემცირება, შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების ნომინალური ფასის შემდგომი ზრდა. ვინაიდან ეკონომიკურ სუბიექტებს ფასიანი ქაღალდებში ქონების დაბანდება მეტისმეტად სარისკოდ ეჩვენებათ, ისინი ფულს, რომელიც მათთან ფულის გაზრდილი მიწოდების შედეგად მიეღივნება, ანგარიშზე ინახავენ და არ აქვთ მოთხოვნა დამატებით ფასიანი ქაღალდებზე. ამით აზრს კარგავს ფულის რაოდენობის ზრდაზე განაკვეთის შემცირების ეფექტი, რასაც შეეძლო გამოეწვია ინვესტიციებზე მოთხოვნის ზრდა და მათი მულტიპლიკატორის ეფექტის საშუალებით, ერთობლივი მოთხოვნის შემდგომი გაფართოება.

სათუნანსო პოლიტიკის ღონისძიებების გატარება ერთობლივი მოთხოვნის მართვის მიზნით შესაძლებელია, გააძლიერებულ იქნას მონეტარულ პოლიტიკასთან კომბინაციის გზით. მაგალითად, დამატებითი სახელმწიფო დანახარჯების დაფინანსება ცენტრალური ბანკის კრედიტის საშუალებით, მოთხოვნის პირდაპირ ეფექტს იმით შეავსებდა, რომ ფულის რაოდენობის ზრდა განაკვე-

თის შემცირებას იწვევს და ამით ხელს უწყობს კერძო ინვესტიციებზე მოთხოვნას. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნას საფრთხე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შეუზღუდავი დაფინანსება ფულის მასის გაზრდის ხარჯზე, ინფლაციას იწვევს. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება სახელმწიფო დანახარჯების შემცირების გზით, შესაძლებელია შეივსოს ცენტრალურ ბანკში ჭარბი ბიუჯეტის რეზერვებით. ვინაიდან ამ ფორმით კომერციულ ბანკებს ცენტრალური ბანკის ფული ჩამოერთმევათ, მცირდება ფულის მთლიანი მიწოდება ეკონომიკისათვის, რაც იწვევს განაკვეთის ზრდას და, შესაბამისად, როგორც წესი, კერძო საინვესტიციო ქმედებების შემცირებას.

**8.3.3 სახელფასო პოლიტიკა**

სრული დასაქმების აღდგენა ნომინალური ხელფასის შემცირების გზით, თეორიულად ასევე შესაძლებელია მაკროეკონომიკური სინთზის მოდელის მიხედვითაც. რეალურად, სახელფასო პოლიტიკას უმუშევრობის დაძლევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება. საქონლის ბაზრებზე ერთობლივი მოთხოვნისა და კონკურენციის მდგომარეობის, ასევე შრომის მქარმოვლურობის განვითარების შესახებ მოქმედი დაშვებებით, სატარიფო მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ნომინალურ ხელფასზე, რომელიც სრულ დასაქმებასთან თანხვედრაში მოდის. თუკი ეს ასე არ ხდება, ადგილი აქვს შრომითი ბაზრების არაფექტურ ფუნქციონირებას, ანუ ინფორმაციის ასიმეტრიულობას, რაც აღწერილია მე-3 თავში. ამის მიზეზი ასევე შესაძლებელია იყოს შრომითი ბაზრის ცალკეული მოთამაშის საბაზრო ძალაუფლება. როგორც ეს მე-16 თავშია ნაჩვენები, არ არის აუცილებელი, რომ საერთო ინტერესების მქონე პირთა ძლიერი ჯგუფები საერთო ეკონომიკური მიზნებით ხელმძღვანელობდნენ. სწორედ შრომით ბაზრებზე უპირისპირდებიან ერთმანეთს პროფესიული კავშირები და დამსაქმებელთა გაერთიანებები განსაკუთრებულად კარგად ორგანიზებულ საერთო ინტერესის მქონე პირთა ჯგუფებს. მოცემული პერსპექტივით, სრულ დასაქმებაზე ორიენტირებული სახელფასო პოლიტიკის წინაპირობა იქნებოდა შრომითი ბაზრის რეფორმა, რომელიც სატარიფო მხარეებს შორის მეტი კონკურენციის არსებობაზე იზრუნებდა.

თუმცა, სახელფასო პოლიტიკამ შესაძლოა დაკარგოს თავისი გავლენა, თუ საქონლისა და ფულის ბაზრებზე არსებული ჩარჩო პირობები გათვალისწინებელი ფორმით შეიცვლება. აქედან გამომდინარე, მოცემულ მომენტში არსებული კონიუნქტურული მდგომარეობის გათვალისწინებით, თეორიულად გარკვეულწილად საჭიროა სახელფასო პოლიტიკისა და ერთობლივი მოთხოვნის მართვის კოორდინაცია, როგორც ეს მე-18 თავშია ნაჩვენები. პრაქტიკაში აღნიშნული კოორდინაცია რთულად თუ მიიღწევა. გერმანიაში მან უკვე არაერთხელ განიცადა წარუმატებლობა.

**8.3.4 მიწოდების პოლიტიკა**

სტაგულაციასთან ბრძოლა, რომელიც გამოწვეულია მიწოდების მხრიდან მაკრო-წონასწორობის დარღვევით, პრინციპში, შესაძლებელია გადაიჭრას მოთხოვნის პოლიტიკის საშუალებით, თუმცა მხოლოდ მზარდი ინფლაციის

ხარჯზე. ეფექტური იქნებოდა ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მიწოდების პირობების გაუმჯობესებას. სტაბილიზაციის პოლიტიკის აღნიშნულ სტრატეგიას მიწოდების პოლიტიკასაც უწოდებენ (Supply Side Policy).

მიწოდების პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს გადასახადების შემცირების გზით კერძო ინვესტიციების წახალისება და სახელმწიფო სამომხმარებლო დანახარჯებისა და სახელმწიფო დავალიანების შემცირების გზით სახელმწიფო ბიუჯეტის გაჯანსაღება. სამაგიეროდ ასევე შესაძლებელია კერძო ინვესტიციებისთვის მაღალპროდუქტიული სახელმწიფო ინვესტიციები (ე.ი. სახელმწიფო დაკვეთების გაცემა კერძო ფირმებზე) გონივრულად იქნას ინტეგრირებული მიწოდების პოლიტიკის სტრატეგიაში. ვარდა ამისა, მიწოდების პოლიტიკა მხარს უჭერს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის მნიშვნელოვან შემცირებას, რათა მოხდეს კერძო კონკურენციის გამოცოცხლება და შედეგად, ყველა სახის ბაზარზე მონოპოლისტური საბაზრო ძალაუფლების თავიდან აცილება. როგორც შრომის ბაზრის სინთეზური მოდელი გვიჩვენებს, მნიშვნელოვანია სწორედ მონოპოლიების საბაზრო ძალაუფლების შემცირება, რათა ინვესტიციების წამახალისებელმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგები გამოიღოს. მონოპოლიების ძალაუფლების შემცირებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთაშორისო კონკურენციის წახალისება საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის გზით.

**8.4 მაგალითი: ერთობლივი მოთხოვნის მართვის ფისკალურ-პოლიტიკური ინსტრუმენტები სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის კანონის მიხედვით**

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1967 წელს ძალაში შესული ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის ხელშეწყობის კანონით ადგილი ჰქონდა მცდელობას, შექმნილიყო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ყოვლისმომცველი სპექტრი კონიუნქტურული ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციისა და მოთხოვნით განპირობებული უმუშევრობის დაძლევის მიზნით. სტაბილიზაციის კანონის §1-ით ფედერაციისა და ფედერალურ მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, გაატარონ აქტიური კონიუნქტურული, სტაბილიზაციისა და დასაქმების პოლიტიკა: „ფედერაციამ და ფედერალურმა მხარეებმა თავიანთ ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის ღონისძიებებში უნდა გაითვალისწინონ მაკრო-წონასწორობის მოთხოვნები. საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც საბაზრო-ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში ერთდროულად შეუწყობენ ხელს ფასების დონის სტაბილურობას, დასაქმების მაღალ დონესა და საგარეო-ეკონომიკურ წონასწორობას, მუდმივი და სათანადო ეკონომიკური ზრდის პირობებში.“

სტაბილიზაციისა და ზრდის კანონში გათვალისწინებული კონიუნქტურული მართვის ინსტრუმენტები სათავეს იღებენ ფისკალური პოლიტიკიდან, თუმცა ასევე ხაზგასმულად არის გათვალისწინებული ფისკალური პოლიტიკის ღონისძიებების კოორდინაცია მონეტარული და შემოსავლების პოლიტიკის გადაწყვეტილებებთან, განსაკუთრებული საინფორმაციო, დაგეგმვისა და საკოორდინაციო ინსტრუმენტების გზით. სტაბილიზაციის კანონის §2 ფედერა-

ლურ მთავრობას ავალდებულებს, წარმოადგინოს წლიური ეკონომიკური ანგარიში, რომელშიც ასახული იქნება ეკონომიკის მოსალოდნელი განვითარება რაოდენობრივი პროგნოზის ფორმით. სტაბილიზაციის კანონის §17 მოთხოვს ფედერაციისა და ფედერალური მხარეების საბიუჯეტო გეგმების ურთიერთშეთანხმებას, მათგან გამომდინარე კონიუნქტურული იმპულსების გათვალისწინებით. 1969 წელს მიღებული კანონი ბიუჯეტის შესახებ ამ მიზნით ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საფინანსო დაგეგმვის საბჭოს შექმნას. სტაბილიზაციის კანონის §9 მოთხოვს ფედერაციის საშუალო ვადიანი საფინანსო გეგმის ჩამოყალიბებას, რომელშიც ხუთი წლის ვადით გაწერილი იქნება საფინანსო პოლიტიკის საკვანძო მონაცემები, დაგეგმილი შემოსავლებისა და დანახარჯების განვითარების თვალსაზრისით. სტაბილიზაციის კანონის §3-ის პირველ მუხლში გათვალისწინებულია ტერიტორიული კორპორაციების (განსაზღვრულ ტერიტორიაზე საჯარო უფლებების მქონე იურიდიული პირი), პროფკავშირებისა და მეწარმეთა გაერთიანებების საერთო ქმედება, რომელიც წარმოადგენს ფისკალური და შემოსავლების პოლიტიკის სტრატეგიის ადაპტაციისათვის საჭირო ინსტრუმენტს. და ბოლოს, სტაბილიზაციის კანონის §18 შეიცავს ფედერაციის, ფედერალური მხარეებისა და კომუნების კონიუნქტურული საბჭოს შექმნას, რომელიც კონიუნქტურული პოლიტიკის სტრატეგიის შეთანხმებასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს სახელმწიფო ვალდებულების პოლიტიკის კოორდინაციაზე მსჯელობას. სტაბილიზაციის კანონის §18-ის მე-3 მუხლი ფედერალურ ბანკს, როგორც მონეტარული პოლიტიკის გამტარებელს, ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, მონაწილეობა მიიღოს კონიუნქტურული საბჭოს შეხვედრებში. სტაბილიზაციისა და ეკონომიკური განვითარების კანონის პრაქტიკაში განხორციელებით, გერმანიის ფედერალურმა ბანკმა, გარდა ამისა, მონაწილეობა მიიღო სტაბილიზაციის კანონის § 3-ის თანახმად შეხვედრებში შეთანხმებული ქმედებისათვის, რათა გავლენა მოეხდინა ფისკალური და შემოსავლების პოლიტიკასა და მონეტარულ პოლიტიკას შორის არსებულ მდგომარეობაზე.

კონიუნქტურის მართვისათვის ფისკალური პოლიტიკის ცალკეული ინსტრუმენტები ასახულია სტაბილიზაციის კანონის §5, §6, §11 და §15-ში და §19-დან §26-მდე და სქემურად თავმოყრილია ნახაზზე 8.8. აღნიშნული ინსტრუმენტები, ერთი მხრივ, მოქმედებენ ბიუჯეტებისა და საწარმოების მოთხოვნაზე, რომელზეც გავლენის მოხდენა შესაძლებელია საშემოსავლო და კორპორაციული გადასახადების შეთანხმებული წინასწარი გადახდით და ასევე, საშემოსავლო და კორპორაციული გადასახადების დაბეგვრის განაკვეთებში ხანგრძლივი საკანონმდებლო პროცედურის გარეშე არაუმეტეს 10 პროცენტის ცვლილებების შეტანით. მეწარმეთა მხრიდან ინვესტიციების მოთხოვნის სტიმულირებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საინვესტიციო ბონუსი საშემოსავლო და კორპორაციული გადასახადების დავალიანების შემცირების ფორმით. საინვესტიციო ქმედებების შესამცირებლად კი, პირიქით, გათვალისწინებულია საამორტიზაციო შესაძლებლობების შეზღუდვა.

თავად სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნასთან დაკავშირებული ქცევების მართვა შესაძლებელია სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის კანონის ინსტრუქციის თანახმად, რომლის დროსაც, სახელმწიფო ფედერალურ ბანკში ქმნის კონიუნქტურული წინასწარობის რეზერვს. დამატებითი სახელმწიფო დანახარჯების დასაფინანსებლად კონიუნქტურული წინასწარობის რეზერვის გარდა, ასევე შესაძლებელია, რომ ფედერაციამ აიღოს 5 მილიარდი გერმანული მარკის (გაცვლითი კურსის შესაბამისად, ევროს) დამატებითი კრედი-

| დასახული შედეგი               | სახელმწიფოს მოთხოვნის შეცვლა  |
|-------------------------------|---|
| ერთობლივი მოთხოვნის ექსპანსია | <p>§ 5 მუხლი 3: ჭარბი დანახარჯების შექმნა, კონიუნქტურული წინასწარობის რეზერვიდან დაფინანსება.</p> <p>§ 6 მუხლი 2 და 3: დამატებითი დანახარჯების დაფინანსება (საბიუჯეტო გეგმისთვის) კონიუნქტურული გამოთანაბრების ტრანსფერებით შექმნილი რეზერვიდან ან 5 მილიარდი DM-ის ოდენობის დამატებითი კრედიტით.</p> <p>§ 11: საინვესტიციო პროექტის შედგენისა და გადაცემის დაჩქარება.</p>  |
| ერთობლივი მოთხოვნის შემცირება | <p>§§ 5 მუხლი 2 და 15: გერმანიის ფედერალურ ბანკში კონიუნქტურული გამოთანაბრების ტრანსფერიდან შექმნილი რეზერვებისა და დამატებითი ვალდებულების დაფარვიდან მიღებული შემოსავლების კონსერვაცია.</p> <p>§ 6 მუხლი 1: გერმანიის ფედერალურ ბანკში სახელმწიფო დანახარჯების გადავადება და თავისუფალი ფულადი საშუალებების კონსერვაცია.</p> <p>§§ 19-დან 25-მდე: სახელმწიფოს მხრიდან კრედიტის აღების შესაძლებლობების შეზღუდვა.</p> |

| დასახული მიზანი               | ცვლილება კერძო მოთხოვნაში  | ცვლილება კერძო საინვესტიციო მოთხოვნაში  |
|-------------------------------|--|---|
| ერთობლივი მოთხოვნის ექსპანსია | <p>§ 26 Nr. 1: კონიუნქტურულ განვითარებასთან საშემოსავლო გადასახადების წინასწარი გადახდის შესაბამისობა</p> <p>§ 26 Nr. 3: საშემოსავლო გადასახადების შემცირება არაუმეტეს 10%-ით, არაუმეტეს 1 წლის ვადით.</p> | <p>§§ 26 Nr. 1, 27 და 28: საშემოსავლო, კორპორაციული და სარეწაო გადასახადების წინასწარი გადახდის შესაბამისობა</p> <p>§ 26 Nr. 3: საინვესტიციო პრემიის მინიჭება: განსაზღვრული საინვესტიციო საქონლის შესაძენი ან შესაქმნელი ხარჯებისათვის საშემოსავლო და კორპორაციული დავალიანებიდან შესაძლებელია ჩამოიწეროს მხოლოდ 7,5%-მდე.</p> <p>§ 26 Nr. 3: საშემოსავლო და კორპორაციული გადასახადების შემცირება არაუმეტეს 10%-ით, არაუმეტეს 1 წლის ვადით.</p> |
| ერთობლივი მოთხოვნის შემცირება | <p>§ 26 Nr. 1: საშემოსავლო გადასახადების წინასწარი გადახდის შესაბამისობა კონიუნქტურულ განვითარებასთან</p> <p>§ 26 Nr. 3: საშემოსავლო გადასახადების გაზრდა არაუმეტეს 10%-ით, არაუმეტეს 1 წლის ვადით.</p>    | <p>§§ 26 Nr. 1, 27 და 28: საშემოსავლო, კორპორაციული და სარეწაო გადასახადების წინასწარი გადახდის შესაბამისობა</p> <p>§ 26 Nr. 3: საამორტიზაციო შესაძლებლობების შეზღუდვა სპეციალური ამორტიზაციის გაუქმების ან შეჩერების, ასევე ამორტიზაციის შემცირება გაზრდილი და დეგრესიული ამორტიზაციის ჩამოწერის გზით (AfA)</p> <p>§26 Nr. 3: საშემოსავლო და კორპორაციული გადასახადების გაზრდა არაუმეტეს 10%-ით, არაუმეტეს 1 წლის ვადით.</p>                   |

**ნახაზი 8.8:** მოთხოვნის ფისკალურ-პოლიტიკური მართვის ინსტრუმენტები სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის კანონის მიხედვით

ნახაზზე თავმოყრილია ის ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს სახელმწიფო მოთხოვნისა და კერძო სამომხმარებლო და საინვესტიციო მოთხოვნაზე ზემოქმედება. ამასთან, ერთმანეთისგან განსხვავებულ ექსპანსიურ და რესტრიქციულ ღონისძიებებს. გათვალისწინებული არ არის საზღვარგარეთ არსებულ მოთხოვნაზე გავლენის მოხდენი ღონისძიებები, რომლებიც ასევე შეიძლება სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის კანონში

ტი. მოთხოვნის შესამცირებლად, პირიქით, იზღუდება სახელმწიფოს მხრიდან კრედიტის აღება. და ბოლოს, სახელმწიფოს მხრიდან დანახარჯებთან დაკავშირებული ქცევები საშუალო ვადიანი საფინანსო გეგმით გათვალისწინებული



საინვესტიციო პროექტის შედეგებისა და სახელმწიფო შეკვეთების გადაცემის დაჩქარების გზით, შესაბამისად, დაგეგმილი სახელმწიფო დანახარჯების დროებითი გადავადებით, უკეთ უნდა მოერგოს მოცემულ კონუნქტურულ სიტუაციაში ეკონომიკური პოლიტიკის მოთხოვნებს.

სტაბილურობისა და ზრდის კანონში ჩადებული მცდელობა, ეკონომიკური განვითარების კონუნქტურულ-პოლიტიკურ დახვეწილ მართვასთან დაკავშირებით, ფისკალური, მონეტარული და შემოსავლების პოლიტიკის შეთანხმებული ღონისძიებების გზით, მხოლოდ საწყის ეტაპზე იყო წარმატებული. კანონის მიღების პარალელურად ფედერალურმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, კონუნქტურის გამოსაცოცხლებლად გაეტარებინა ორი ღონისძიება, რომლებიც დამატებითი სახელმწიფო დანახარჯებითა და ინვესტიციების წახალისებისათვის საჭირო სპეციალური საამორტიზაციო გადასახადებით, 1967 წელს არსებული რეცესიის დასაძლევად მნიშვნელოვანი იმპულსის მიმცემი გახდა. მოთხოვნის ბუმის პერიოდში, 1969-1973 წლებს შორის, რომელიც წარმოიშვა გერმანული მარკის გაუფასურებისა და ფედერალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის შეზღუდულობის გამო, იყო მცდელობა, ფისკალური პოლიტიკის არაერთი კონუნქტურული პროგრამის საშუალებით შემცირებულიყო ერთობლივი მოთხოვნის განვითარება. პროგრამების თანახმად, უნდა დაენერგილიყო კონუნქტურული წონასწორობის რეზერვი, სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯების შემცირება, სახელმწიფოს მხრიდან კრედიტების აღების შემცირება, საამორტიზაციო შესაძლებლობების შეზღუდვა, ასევე საშემოსავლო და კონსოლიდაციურ გადასახადებზე დანახარჯების შემოღება, თუმცა ყოველივე ამას არ მოჰყოლია კონუნქტურული განვითარების ხანგრძლივი სტაბილიზაცია. ინფლაციის მზარდმა დონემ გამოიწვია ის, რომ პროფესიული კავშირების მიერ დასახული შემოსავლების პოლიტიკის მიზნები, მიუხედავად შეთანხმებულ ქმედებაში მათი ჩართულობისა, გაორმაგებული ძალით იქნა მიმართული რეალური ხელფასის უზრუნველყოფისა და გაზრდისაკენ. მას შემდეგ, რაც ფედერალურმა ბანკმა გერმანული მარკის გაცვლითი კურსის საბოლოო გათავისუფლების შემდეგ აღიდგინა ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა, რათა გაეტარებინა რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებები ინფლაციის შემცირების მიზნით, ხოლო 1973 და 1974 წლებისთვის სატარიფო გადაწყვეტილებების საფუძველს ინფლაციასთან დაკავშირებული მოლოდინები წარმოადგენდა, რის გამოც საქმე უმუშევრობის მკვეთრ ზრდამდე მივიდა. იგი ნავთობის კრიზისის შედეგად, კიდევ უფრო გაიზარდა. 1973 წლის ბოლოსა და 1974 წელს ფისკალური პოლიტიკა ცდილობდა, კონუნქტურული სტაბილიზაციისათვის მიეცა ექსპანსიური იმპულსები. ფედერალური მთავრობის კონუნქტურული პროგრამები ითვალისწინებდა დამატებით სახელმწიფო დანახარჯებს, ასევე სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის კანონის რეგულირებიდან გადახვევით, საყოველთაო ინვესტირების განხორციელებას.

ამ პერიოდისათვის უკვე გამოიკვეთა ფისკალური პოლიტიკის შეზღუდული მოქმედების არეალი. სახელმწიფო ბიუჯეტის ახალი დავალიანების შემდეგ, რომელიც მხოლოდ 1969 წელს 2,5 მილიარდ გერმანულ მარკას შეადგენდა, 1973-1975 წლებს შორის პერიოდში 11,4 მილიარდიდან 53,6 მილიარდ მარკამდე გაიზარდა და, შესაბამისად, გაჩნდა კერძო სექტორის ინვესტიციების გამოდევნის საფრთხე, ფედერალურმა მთავრობამ ბიუჯეტის სტრუქტურის შესახებ კანონის საშუალებით, რომელიც 1976 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში, შემოიღო ბიუჯეტის კონსოლიდაციის ფაზა. 1977 წლამდე მან მართლაც შეუწყო ხელი ნეტო კრედიტის შემცირებას. 1977 წლის შუა პერიოდიდან ფედერალური მთავრობის

კონუნქტურულმა პოლიტიკამ კვლავ დაიწყო მნიშვნელოვანი ექსპანსიური კურსის გატარება. სამომავლო ინვესტიციების წახალისების პროგრამასთან ერთად, საგადასახადო შეღავათებისა და გაზრდილი სატრანსფერო დანახარჯების საშუალებით, უნდა გამოცოცხლებულიყო კერძო სამომხმარებლო მოთხოვნაც. შესაბამისად კვლავ გაიზარდა ახალი სახელმწიფო დავალიანება. სახელმწიფო შემოსავლების შემცირებასთან ერთად, მსოფლიოს მასშტაბით ამოქმედებული რეცესიის შედეგად, 1981 წელს იგი 70 მილიარდ მარკამდე გაიზარდა. აქედან გამომდინარე, მკვეთრად გაიზარდა ასევე წლიური საპროცენტო დანახარჯები, რომელთა წილი სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან დანახარჯებში 1975 და 1982 წლებს შორის პერიოდში გაორმაგდა მაშინ, როდესაც, მეორე მხრივ, სახელმწიფო ინვესტიციებისათვის საჭირო დანახარჯების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა. 1975 წლიდან თანდათანობით შემცირდა უპირველეს ყოვლისა, ფედერალური მიწებისა და კომუნების საინვესტიციო დანახარჯები, ასე რომ ფედერაციის საინვესტიციო პროგრამამ ერთადერთი რაც შეძლო, იყო სახელმწიფო საინვესტიციო ქმედებების შემდგომი შემცირების დამუხრუჭება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, 80-იანი წლების დასაწყისიდან, მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტის კონუნქტურული პოლიტიკის მოქმედების არეალი. ამასობაში ასევე შეიცვალა მოთხოვნაზე ორიენტირებული კონუნქტურული მართვის სხვა ჩარჩო პირობებიც. 1977 წლიდან პროფესიული კავშირები აღარ მონაწილეობენ შეთანხმებული ქმედებისათვის საჭირო შეხვედრებში, ასე რომ მისი, როგორც ფისკალური და ფულადი პოლიტიკის შემოსავლების პოლიტიკასთან კოორდინაციის ინსტრუმენტის გამოყენება დღის წესრიგიდან მოიხსნა. 1998 წლიდან წარუმატებელი აღმოჩნდა ასევე შრომის კავშირის საშუალებით კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკის გამოცოცხლება. 1977 წლის მომავლის ინვესტიციების პროგრამა უკვე იძლეოდა სიგნალს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის ორიენტაცია ძირფესვიანად უნდა განახლებულიყო. მრავალწლიანი მოქმედებისა და ეკონომიკური ზრდისა და ეკოლოგიური პოლიტიკის სფეროში მისი გამოკვეთილი მიზნების გამო, იგი ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის დამსახურებდა უნდა ჩაითვალოს, რომელიც მკვეთრად გაზრდილი უმუშევრობის დაძლევას, ერთობლივი ეკონომიკური მიწოდების საშუალებით ცდილობდა. დიდი რაოდენობით სახელმწიფო ინვესტიციები, რომლებიც გაერთიანების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიაში განხორციელდა, იგივე მიზანს ემსახურებოდნენ. ვალების მუხრუჭის შემოღებით, რომელიც 2009 წლიდან კონსტიტუციის 109-ე მუხლის მე-3 თავში შევიდა, გერმანიაში ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის შესაძლებლობებისათვის ახალი საკანონმდებლო საფუძველი შეიქმნა.

### ძირითადი ცნებები

- ფასების დონე წარმოების პოტენციალი ერთობლივი ეკონომიკური მიწოდება ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნა რეცესია სტაგფლაცია
- ფისკალური პოლიტიკა მულტიპლიკატორის ეფექტი ინვესტორთა შევიწროების ეფექტი (crowding out effect) მონეტარული პოლიტიკა ლიკვიდურობის ხაფანგი სახელფასო პოლიტიკა ინტერესთა ჯგუფები მიწოდების პოლიტიკა
- უმუშევრობა კლასიკური უმუშევრობა კეინზიანური უმუშევრობა სინთეზის მოდელი ფასების დადგენის (დაწესების) ფუნქცია დასაქმების ფუნქცია
- სტაბილურობისა და განვითარების კანონი საერთო ეკონომიკური წონასწორობა საერთო ქმედება ვალეების მუხრუჭი

### დავალეებები

- 1. სტაბილიზაციის პოლიტიკა ღია ეკონომიკაში**  
განმარტეთ, რატომ არის კეინზიანურად ინსპირირებული მოთხოვნის მართვა ღია ეკონომიკაში ჩვეულებრივ, ნაკლებ ეფექტიანი, ვიდრე დახურულ ეკონომიკაში.
- 2. შრომის ბაზრის დერეგულირება**  
მაკროეკონომიკური სინთეზის მოდელის თარგლებში იმსჯელეთ, რასთან არის დაკავშირებული ის ფაქტი, რომ შრომის ბაზარზე რეგულირების გაუქმება, მაგალითად, დაუსაბუთებლად სამსახურიდან გათავისუფლებისგან დაცვის შესუსტება, ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას.
- 3. ინვესტიციების ხელშეწყობა და დასაქმება**  
აღმოსავლეთ გერმანიაში სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების მასობრივი წახალისების მიუხედავად, უმუშევრობის რაოდენობა კვლავინდებურად მაღალია. ამის რა მიზეზები შეიძლება არსებობდეს სინთეზის მოდელის მიხედვით?
- 4. რიკარდოს ეკვივალენტი**  
დევიდ რიკარდოს თეორემის მიხედვით, გადასახადების შემცირება, რომელიც ფინანსდება მაღალი სახელმწიფო დავალიანების ხარჯზე, არანაირ გავლენას არ ახდენს წარმოებაზე, შემოსავლებსა თუ დასაქმებაზე, ვინაიდან ყველა ინდივიდმა კარგად იცის, რომ სამომავლოდ გადასახადების ზრდა განდაუვალაია. იმსჯელეთ, რამდენად შეესაბამება აღნიშნული თეორემა რეალობას.

### გამოყენებული ლიტერატურა

ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის მოდელი კარგად არის ასახული Blanchard/Illing-თან (2009). მაკროეკონომიკური სინთეზის მოდელის გათვალისწინებით, დასაქმების ბაზრის პრობლემის კარგ ანალიზს გვთავაზობენ Landmann/Jerger-ი (1999) და Franz-ი (2009).  
ფისკალური პოლიტიკის საფუძვლების განმარტებას გვთავაზობს Hesse (1998). გერმანიაში სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის კანონის გამოცდილებას აანალიზებს Kloten-ი (1976).

## საგადასახდელო ბალანსისა და გაცვლითი კურსის პოლიტიკა

|     |  |     |
|-----|--|-----|
| 9.1 | საგადასახდელო ბალანსი და ეკონომიკური<br>ციკლი.....                           | 198 |
| 9.2 | ვალუტის ბაზარი და გაცვლითი კურსი .....                                       | 200 |
| 9.3 | საგადასახდელო ბალანსისა და გაცვლითი<br>კურსის პოლიტიკის საწყისები .....      | 202 |
| 9.4 | მაგალითი: საგადასახდელო ბალანსის<br>პოლიტიკის ინსტრუმენტები გერმანიაში ..... | 206 |



**სწავლების მიზნები**

- საგადასახდლო ბალანსი მოიცავს ეროვნული ეკონომიკის სავალუტო ნაკადებს დანარჩენ მსოფლიოსთან. ამასთან, განასხვავებენ ტრანზაქციებს, განსაკუთრებით, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობასა და ფინანსურ სფეროებში. საგარეო ვაჭრობა გავლენას ახდენს პროდუქტისა და მომსახურების ადგილობრივ მოთხოვნაზე, ხოლო საერთაშორისო კაპიტალის ნაკადები – ფულისა და კაპიტალის ეროვნულ ბაზრებზე.
- გაცვლითი კურსი წარმოიქმნება ვალუტის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ურთიერთქმედებით. მათ მიღმა კი კვლავ საგადასახდლო ბალანსში ასახული უცხოეთთან მიმდინარე ტრანზაქციები დგას.
- სახელმწიფოს მხრიდან გაცვლითი კურსის ფიქსირებით ვალუტის ბაზრის ფუნქციონირებაში ჩარევას ისეთივე შედეგები მოჰყვება, როგორც საქონლის ბაზრებზე მოქმედი მაქსიმალური და მინიმალური ფასების დაწესებას. არსებობს ორი გზა: ცენტრალური ბანკის ინტერვენციის გზით ბაზრიდან ჭარბი უცხოური ვალუტის ამოღება ან უცხოურ ვალუტაზე ჭარბი მოთხოვნის გადაფარვა ეროვნული სავალუტო რეზერვების შემცირების გზით.
- საგადასახდლო ბალანსზე ეკონომიკურ-პოლიტიკური გავლენა შესაძლებელია ფასების დონის, შემოსავლებისა და განაკვეთების ცვლილებებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე, საბაჟო ტარიფების ან გაცვლითი კურსის ცვლილებებით.
- გერმანიის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიმართულება ეფუძნება თავისუფალი საგარეო ვაჭრობის იდეალს. ევროპული ინტეგრაციის შედეგად არაერთი სავაჭრო შეზღუდვა დროთა განმავლობაში მოძველებული და გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ეს ეხება აგრეთვე სავალუტო კურსის პოლიტიკას, რადგან ევროს შემოღების შემდეგ, გაუქმდა ეროვნული კომპეტენცია გაცვლითი კურსის პოლიტიკაში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ 1973 წლამდე გერმანიაში ფიქსირებული გაცვლითი კურსის ფაზის შენარჩუნება პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა, ვინაიდან იგი სავალუტო რეზერვების ბალანსის პროფიციტთან და ინფლაციის ზრდის მოლოდინთან იყო დაკავშირებული.

**9.1 საგადასახდლო ბალანსი და ეკონომიკური ციკლი**

ეროვნულ ეკონომიკაში, რომელიც მჭიდრო კავშირშია საერთაშორისო ეკონომიკასთან, მნიშვნელოვანი საერთო-ეკონომიკური შედეგები განპირობებულია ადგილობრივი მეწარმეების, შიდა მეურნეობებისა და სახელმწიფო ხაზინის უცხოეთის ქვეყნებთან ტრანზაქციებით. საქონლის მოთხოვნას ქვეყნის შიგნით

ემატება მოთხოვნა უცხოეთიდან. საზღვარგარეთთან ფულადი, ქონებრივი ან საკრედიტო ტრანზაქციები გავლენას ახდენენ ადგილობრივ ფულის და კაპიტალის ბაზრებზე. ეკონომიკის ფინანსურ და რეალურ სექტორებს შორის არსებული ტრანზაქციების ურთიერთდამოკიდებულებამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს გაცვლით კურსზე. იმ შემთხვევაში, თუ გაცვლითი კურსი ფორმირდება თავისუფალ სავალუტო ბაზრებზე, მოლოდინების ცვლილებებმა შესაძლოა, სავალუტო კურსის ძლიერი რყევები გამოიწვიოს, რომლებსაც საერთაშორისო ეკონომიკური ციკლის ურთიერთდამოკიდებულების შეწყვეტამდე და აქედან გამომდინარე, მაკროეკონომიკურ კრიზისამდე მიყვავართ. სახელმწიფოს მიერ სავალუტო კურსის განსაზღვრამ შესაძლოა, გამოიწვიოს დისბალანსი, რასაც ასევე უარყოფითი გავლენა აქვს კონიუნქტურის სტაბილურობის მიზნებზე.

| გადასახდლების შემოღება                                    | გადასახდლების გაღება                  | ქვებალანსები   |
|---|---------------------------------------|--|
| საქონლის ექსპორტი   | საქონლის ექსპორტი                     | სავაჭრო ბალანსი  |
| მომსახურების ექსპორტი                                     | მომსახურების ექსპორტი                 | მომსახურების ბალანსი                                       |
| საწარმოო ფაქტორების ექსპორტი                              | საწარმოო ფაქტორების ექსპორტი          | პროფესიული საქმიანობიდან და ქონებიდან მიღებული შემოსავლები |
| მიღებული მიმდინარე ტრანსფერები                            | მიღებული მიმდინარე ტრანსფერები        | ტრანსფერების ბალანსი                                       |
|   |                                       | მიმდინარე ანგარიშების ბალანსი                              |
| მიღებული ქონების ტრანსფერები                              | გაცემული ქონების ტრანსფერები          | ქონების ტრანსფერების ბალანსი                               |
| კაპიტალის იმპორტი   | კაპიტალის ექსპორტი                    | კაპიტალბრუნვის ბალანსი                                     |
|   | ეროვნული სავალუტო რეზერვების ცვლილება | სავალუტო რეზერვების ბალანსი                                |
| სტატისტიკური უზუსტობები და მიღებული შედეგების კორექტირება |                                       | კომპენსაციებისა და არარეგისტრირებული ნაშთების ნაკადი       |

ნახაზი 9.1: საგადასახდლო ბალანსის სტრუქტურა

საგადასახდლო ბალანსის აქტივების მხარეს აღირიცხება ყველა ის მიმდინარე ოპერაცია და ფინანსური ტრანზაქცია, რომლებიც სავალუტო ნაკადების შემოღებას უწყობენ ხელს. პასივების მხარეს კი გამოისახება ოპერაციები, რომლებიც მათ გადინებას უწყობენ ხელს. იმ შემთხვევაში, თუ სავალუტო ნაკადების შემოღება აჭარბებს გადინებას, საქმე გვაქვს ეროვნული სავალუტო რეზერვების ზრდასთან (დადებითი ნეტო სავალუტო რეზერვი).

ყველა ეკონომიკური ტრანზაქცია, რომელსაც ეროვნული ეკონომიკა განსაზღვრულ პერიოდში საზღვარგარეთთან აწარმოებს, საგადასახდლო ბალანსში აის-

ახემა მისი ღირებულების სიდიდის შესაბამისად. (მდრ. ნახაზი 9.1.) განასხვავებენ საანგარიშსწორებო და საფინანსო ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, სავადასახდელო ბალანსში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსხვავება მიმდინარე ანგარიშების ბალანსსა და კაპიტალის ბალანსს შორის. მესამე მნიშვნელოვანი პუნქტია მოცემულ ქვეყანასა და საზღვარგარეთს შორის ქონების ტრანსფერების სალდო. ამ სამი პუნქტის დაჯამების შედეგად წარმოქმნილი შესაძლო სალდოები გამოისახება სავალუტო რეზერვების ბალანსში, რომელშიც ასახულია ეროვნულ სავალუტო რეზერვებში არსებული ცვლილებები. სავალუტო რეზერვების კორექტირება შეცვლილი გაცვლითი კურსის ან ოქროს ფასის საფუძველზე, ხშირად, სავადასახდელო ბალანსში ცალკე კომპენსაციების პუნქტის სახით ხდება. მონაცემთა შეკრებისას სავადასახდელო ბალანსში აღირიცხება ასევე ნაშთები, რომლებიც გვიჩვენებენ უცხოეთთან სტატისტიკურად არარეგისტრირებულ ან რეგისტრირებულ ტრანზაქციებს, განსაკუთრებით ადგილობრივი მეწარმეების მიერ საზღვარგარეთ მიმწოდებლების კრედიტების ფორმით აღებულ პირდაპირ კრედიტებს.

მიმდინარე ანგარიშების ბალანსი თავის მხრივ იყოფა ოთხ ქვებალანსად. სავაჭრო და მომსახურების ბალანსში შედის საქონლის ან/და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი. მომსახურების ბალანსში შედის: მგზავრთა გადაყვანა, ტურიზმის ან საზღვრისპირა საკონსულტაციო, სადაზღვევო და სატრანსპორტო მომსახურება. პროფესიული საქმიანობიდან და ქონებიდან მიღებული შემოსავლების ბალანსში აღირიცხება საზღვრის მიღმა გაცემული ხელფასები, კაპიტალის მოგება და გადახდილი პროცენტები. ხოლო ამის საპირისპიროდ სატრანსფერო ბალანსში შედის საზღვარგარეთთან ეკონომიკურ ბრუნვაში არაანაზღაურებადი მიმდინარე ოპერაციები, მაგალითად მოცემულ ქვეყანაში მყოფი უცხოელი თანამშრომლების მიერ თავიანთ ქვეყანაში თანამემამულეებისათვის გაწეული გადარიცხვები, ადგილობრივი მთავრობის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის გადახდილი თანხები და განვითარებისათვის საჭირო დახმარებები.

კაპიტალის ბალანსში აღირიცხება ყველანაირი ცვლილებება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ კაპიტალზე არსებულ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის. უცხოური ფასიანი ქაღალდების შესყიდვა ადგილობრივების მიერ წარმოადგენს კაპიტალის ექსპორტს, ხოლო უცხოელი მეწარმეების მიერ პირდაპირი ინვესტიცია – კაპიტალის იმპორტს. ამასთან, ხშირად განასხვავებენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი კაპიტალბრუნვის ბალანსის შემადგენელ ნაწილებს, ხოლო სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კაპიტალის ტრანზაქციები კერძო ეკონომიკური სუბიექტების ოპერაციებისგან განცალკევებულია.


### 9.2 ვალუტის ბაზარი და გაცვლითი კურსი

საერთაშორისო სავაჭრო და კაპიტალის ნაკადების სხვადასხვა სავალუტო ზონებს შორის მოძრაობის დაწყებისთანავე ხდება მათი საერთაშორისო სავალუტო ბაზართან დაკავშირება მიწოდებისა და მოთხოვნის მეშვეობით. საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე ადგილი აქვს სხვადასხვა ეროვნული ვალუტის ურთიერთგაცვლას. აღნიშნულ პროცესში წარმოქმნილი ვალუტის ფასს, რომელიც მეორე ვალუტის ერთეულით არის გამოხატული, გაცვლითი ანუ სავალუტო კურსი ეწოდება. ეგრეთწოდებული პირდაპირი კოტირების დროს სავალუტო კურსი

ეს არის ფასი, რომელიც გამოისახება უცხოური ვალუტის ერთი ერთეულის-თვის ადგილობრივი ვალუტის ერთეულით. არაპირდაპირი კოტირების დროს სავალუტო კურსი ზომავს ადგილობრივი ვალუტის ერთ ერთეულს უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. ევროპის ცენტრალური ბანკი მისდევს არაპირდაპირ კოტირებას, შესაბამისად, მაგალითად, ხდება გამოთვლა, თუ რამდენი დოლარის გაცვლაა საჭირო ერთი ევროს მისაღებად. არაპირდაპირი კოტირება გულისხმობს ეროვნული ვალუტის ნომინალური ღირებულების ზრდას გაცვლითი კურსის ზრდის დროს. გაცვლითი კურსის დაცემა კი პირიქით, გულისხმობს, რომ ეროვნული ვალუტის ერთი ერთეულისთვის უცხოური ვალუტის ერთეულით გამოხატული გადახდილი თანხა მცირდება. ამას ასევე ეროვნული ვალუტის ნომინალური ღირებულების შემცირება ეწოდება.

ვალუტის ბაზარი და სავადასახდელო ბალანსი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ადგილობრივ ვალუტის ბაზარზე ვალუტის მიწოდება იწყება საზღვარგარეთ საქონლის ექსპორტით და საზღვარგარეთიდან კაპიტალის იმპორტით. შესაბამისად, მოთხოვნა ვალუტაზე ხორციელდება საქონლის იმპორტითა და კაპიტალის ექსპორტით. მიმდინარე ოპერაციებსა და კაპიტალის ტრანზაქციებზე სხვა დანარჩენი გავლენის მომხდენი პირობების სტაბილურობის შემთხვევაში, ასევე ბაზრის შესაძლო არასრულყოფილების გამორიცხვის შემთხვევაში, შეიქმნებოდა ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობა გაცვლით კურსზე.

აღნიშნულ დაბალანსებულ მდგომარეობას შესაძლოა, გამოეწვიოს სავაჭრო და მომსახურების ბალანსში ცვლილებები, ვინაიდან ნომინალურ სავალუტო კურსს გადამწყვეტი გავლენა აქვს საერთაშორისო ბაზარზე გასაყიდი საქონლის ფასის კონკურენტუნარიანობაზე.



ნახაზი 9.2: გაცვლითი კურსის წარმოქმნა ვალუტის ბაზარზე

სრულყოფილად ფუნქციონირებელ ვალუტის ბაზარზე ვალუტის მოთხოვნა-მიწოდებას ჩვეული მიმდინარეობა აქვს, რაც დამოკიდებულია მიმდინარე ფასზე და ფასების კოტირებით მოცემულ ვალუ-

ტებს შორის  $e$  გაცვლით კურსზე. მაშასადამე, იგი ზომავს საგარეო ვალუტის ფასს ქვეყნის შიდა ვალუტის ერთეულებში. თუ ეს ფასი იზრდება, მაშინ უფასურდება ქვეყნის შიდა ვალუტა, რაც როგორც წესი, იწვევს ვალუტის მიწოდების ზრდას ექსპორტის მზარდი შემოდინების გამო და იკლებს მოთხოვნა ვალუტაზე, რადგან სულ უფრო მცირდება დასაფინანსებელი იმპორტი. წონასწორობის გაცვლითი კურსი დგინდება  $e^*$ -ზე. გაცვლითი კურსის  $e$ , დონეზე დაფიქსირება გამოიწვევს ვალუტის გადაჭარბებულ მიწოდებას, რაც ბაზრიდან შესყიდვების გზით ამოღებულ უნდა იქნეს ცენტრალური ბანკის მიერ. თუ ფიქსირებული გაცვლითი კურსი მოცემულია  $e_2$ -ით, მაშინ ადგილი აქვს ვალუტაზე გადაჭარბებულ მოთხოვნას, რისი კომპენსირებაც ცენტრალური ბანკის მიერ უნდა მოხდეს სავალუტო რეზერვების შემცირების გზით.

ეროვნული ვალუტის ნომინალური ღირებულების ზრდა (გამყარება, რევალვაცია) აძვირებს ადგილობრივ საქონელს მსოფლიო ბაზარზე და, როგორც წესი, აუარესებს სავაჭრო და მომსახურების ბალანსების საღდოებს. ნომინალური ღირებულების შემცირება (გაუფასურება, დევალვაცია), პირიქით, აუმჯობესებს ადგილობრივი ექსპორტიორების ფასის მიერ კონკურენტუნარიანობას უცხოელ კონკურენტებთან მიმართებაში და, როგორც წესი, იწვევს სავაჭრო და მომსახურების ბალანსის გაუმჯობესებას.

ვალუტის ბაზრის მართვებში მოდელში მოცემულია ვალუტის მიწოდების და მოთხოვნის ის ცვლილებები, რომლებიც გამოიწვევს გარე ფაქტორებით. მაგალითად, სარგებლის განაკვეთის ცვლილება ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ ცვლის კაპიტალის ბალანსს. ქვეყნის გარეთ სავაჭროცენტო განაკვეთის ზრდა, ჩვეულებრივ, იწვევს ნეტო კაპიტალის ექსპორტის ზრდას, შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა ვალუტაზე და აღნიშნული გარემოება იწვევს ადგილობრივი ვალუტის ნომინალური ღირებულების შემცირებას. სარგებლის განაკვეთის ზრდა ქვეყნის შიგნით, პირიქით, ჩვეულებრივ, იწვევს ეროვნული ვალუტის ნომინალური ღირებულების გაზრდას. მართივად ახსნადა სავალუტო ბაზარზე გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მოლოდინების გავლენა. ნომინალური ღირებულების ზრდის მოლოდინი როგორც წესი ხელს უწყობს ნეტო-კაპიტალის იმპორტის ზრდას, იზრდება რა ვალუტის მიწოდება და ხდება ნომინალური გაცვლითი კურსის ზრდა. საერთაშორისო კაპიტალბრუნვის მოლოდინებზე დამოკიდებულებამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს ვალუტის ბაზრებზე მოულოდნელად წარმოქმნილ სავალუტო კურსის მკვეთრ გადახრას.

### 9.3 საგადასახდლო ბალანსისა და გაცვლითი კურსის პოლიტიკის სანქციები

სახელმწიფოს მხრიდან ვალუტის ბაზარზე პირდაპირ ჩარევას (ფიქსირებული გაცვლითი კურსის დაწესებით) ისეთივე შედეგები მოსდევს, როგორც საქონლის ბაზრებზე მაქსიმალური ან მინიმალური ფასების შემოღებას. ადგილი აქვს ვალუტის ჭარბ მიწოდებას ან ვალუტაზე ჭარბ მოთხოვნას, რაც ეროვნული სავალუტო რეზერვების ზრდას ან შემცირებას იწვევს. ზრდადი სავალუტო რეზერვები თავის მხრივ იწვევს ეროვნულ ვალუტაში ფულადი მასის „გაბერვას“ და, შესაბამისად, ინფლაციას. სავალუტო რეზერვების მუდმივი შემცირება უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგზე და შესაძლოა, დავალიანების თვალსაზრისით კრიზისი გამოიწვიოს. ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის ფარგლებში ეროვნული ვალუტის გაუფასურება ან

გამყარება სახელმწიფოთშორისი პარიტეტების ოფიციალურ ცვლილებებზე მიუთითებენ, რომლებიც, შესაბამისად, ზევით ან ქვევით არის მიმართული.

სახელმწიფოს მხრიდან ერთიანი საგადასახდლო ბალანსის ან ცალკეული ქვებალანსების ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვა და სხვადასხვა საგარეო-ეკონომიკურ ტრანზაქციებში მისი მეტნაკლებად პირდაპირი ჩარევა პრინციპში შესაძლებელია. კერძოდ, შესაძლებელია საქონლის ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობაზე ლიმიტის დაწესება, კაპიტალის ბრუნვაზე კონტროლის დაწესებით საერთაშორისო კაპიტალის ბრუნვის შეზღუდვა ან მისი სრული შეჩერება. თუმცა, საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალბრუნვაში მსგავსი ჩარევები ეწინააღმდეგება შრომის ოპტიმალურ მსოფლიო ეკონომიკურ დანაწილებას და ხშირად, ეკონომიკური სუბიექტები მის თავიდან აცილებას ცდილობენ. უფრო გონივრულია საგადასახდლო ბალანსზე არაპირდაპირი გავლენის მოხდენა, რომელიც მიმბრუნდება საერთაშორისო სასაქონლო და ფინანსური ტრანზაქციების სხვადასხვა დეტერმინანტებთან.

მიკროეკონომიკური თეორიის თანახმად, საქონლის მიწოდება და მასზე მოთხოვნა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფასზე. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ექსპორტი და იმპორტი და მათთან ერთად მიმდინარე ანგარიშების ბალანსის საღდო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საერთაშორისო ფასებზე შორის სხვაობაზე და შესაბამისად, მათ ცვლილებებზე. საერთო ეკონომიკურ პერსპექტივაში მსგავსი ცვლილებები შეიძლება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არსებული ინფლაციის სხვაობით აიხსნას. გარდა ფასის დონის ცვლილებისა, საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ფასწარმოქმნაში დიდ როლს თამაშობენ ასევე საბაჟო ტარიფები და გაცვლითი კურსის ცვლილებები. რამდენადაც მაღალია უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფები და რამდენადაც ეროვნული ვალუტა უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გაუფასურებას განიცდის, მით უფრო მცირდება ქვეყნის შიგნით მოთხოვნა იმპორტზე. კეინზიანური თეორიის თანახმად, მოთხოვნა შემოსავლების პირდაპირპროპორციულია. ანალოგიურად შეიძლება ითქვას, რომ უცხოურ საქონელსა და მომსახურებაზე ადგილობრივი მოთხოვნა დამოკიდებულია ქვეყანაში შემოსავლების დონის დინამიკაზე. ვინაიდან, უცხოეთიდან იმპორტზე მოთხოვნა ადგილობრივი საქონლის ექსპორტის პირდაპირპროპორციულია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე ანგარიშების ბალანსი საერთაშორისო დონეზე შემოსავლებს შორის განსხვავებაზე დამოკიდებულია.

კაპიტალის იმპორტისა და ექსპორტის მნიშვნელოვან დეტერმინანტებად, რომლებიც კაპიტალბრუნვის ანგარიშში აისახება, მიიჩნევა საერთაშორისო განსხვავებანი დაბანდებული კაპიტალიდან მიღებული რეალური მოგების თვალსაზრისით. რასაც კვლავ მივყავართ იმ განსხვავებებამდე, რასაც ადგილი აქვს ქვეყნებს შორის სარგებლის განაკვეთებისა და საგადასახადო რეჟიმის, ფინანსური თუ რეალური ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების და ცალკეული ეროვნული ვალუტისთვის სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული მოლოდინების თვალსაზრისით. მაგალითისთვის, თუ რომელიმე ქვეყნის ვალუტის მიმართ არსებობს მაღალი მოლოდინები რევალვაციასთან (გამყარებასთან) დაკავშირებით, კაპიტალის იმპორტის ზრდა იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ ქვეყნის შიგნით კაპიტალდაბანდებაზე სარგებლის განაკვეთი ქვეყნის გარეთ არსებულ სარგებლის განაკვეთზე დაბალია.



რობერტ მანდელი და ოპტიმალური სავალუტო ზონა

რობერტ ალექსანდერ მანდელი (დაბ. 1932 წ. კინგსტონი, კანადა) სწავლობდა ეკონომიკის ფაკულტეტზე ვანკუვერში ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტში, ლონდონის ეკონომიკის სკოლაში და მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, სადაც 1956 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. საერთაშორისო სავალუტო ფონდში, ასევე აშშ-სა და ევროპაში სხვადასხვა მნიშვნელოვან პოზიციებზე მოღვაწეობის შემდეგ, 1974 წლიდან მანდელი იყო ნიუ იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის პროფესორი. 1999 წელს მანდელი დაჯილდოვდა ნობელის პრემიით ეკონომიკური მეცნიერებების დარგში შრომებისათვის საერთაშორისო სავალუტო პოლიტიკის შესახებ: მისი მნიშვნელოვანი შრომებია: „A Theory of Optimum Currency Areas“ (American Economic Review, 1961); „The appropriate use of monetary and fiscal policy for internal and external stability“ (IMF Staff Papers, 1962).

მანდელის თავდაპირველი მოღვაწეობა, კეინზიანობის გავლენით დაკავშირებული იყო სტაბილურობის პოლიტიკის საგარეო ეკონომიკური საკითხების შესწავლასთან. მისთვის, როგორც კანადაში დაბადებული ადამიანისთვის, მნიშვნელოვანი იყო ფიქსირებულ და თავისუფლად ცვალებად სავალუტო კურსის სისტემებს შორის განსხვავების დაფიქსირება. 1960 წელს კანადა იყო ერთადერთი ინდუსტრიული ქვეყანა, სადაც გაცვლითი კურსის თავისუფალი რეჟიმი მოქმედებდა. მანდელი მიიჩნევდა, რომ სავალუტო კურსის თავისუფლად მიშვება ხელს უწყობს ეროვნული მონეტარული პოლიტიკის ქმედითუნარიანობის ზრდას, მაშინ როდესაც ფისკალური პოლიტიკა ძალზე მერყევი სავალუტო კურსის არსებობის რისკებთან არის დაკავშირებული. ფიქსირებული გაცვლითი კურსის შემთხვევაში იზრდება ეროვნული ფისკალური პოლიტიკის ეფექტურობა მაშინ, როდესაც მონეტარული პოლიტიკა კარგავს თავის დამოუკიდებლობას და ემორჩილება დომინანტი ვალუტის მქონე სახელმწიფოს მონეტარულ პოლიტიკას. 1960 წლის ბოლოსთვის მსოფლიოს მასშტაბით კეინზიანური სტაბილურობის პოლიტიკის პრობლემებთან დაკავშირებით, მანდელი გამოვიდა, როგორც Supply Side Policy-ს (მიწოდების პოლიტიკის) დამცველი და მიმდევარი და მოუწოდებდა გადასახადების მასობრივი შემცირებისაკენ ეკონომიკის გამოცოცხლების მიზნით. უკვე აღრეული პერიოდიდან მანდელი მეცნიერულად მუშაობდა ოპტიმალური სავალუტო გარემოს დეტერმინანტებზე. ერთიანი სავალუტო კავშირის წევრ ქვეყნებზე მანდელი მიიჩნევდა სახელმწიფოებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ სამუშაო ძალისა და კაპიტალის მოზილურობის მაღალი მაჩვენებლით, სადაც ფასები და ხელფასები მიწოდებამოთხოვნის პირობებთან მოქნილად თანაარსებობენ (ვინაიდან, სავალუტო კურსი არ არის შესაბამისობაში დამბალანსებელ მექანიზმებთან) და სადაც ფინანსური დამბალანსებელი მექანიზმები პრობლემების შესამცირებლად გამოიყენება. მანდელის ანალიზი მეტად აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს მასშტაბით მოხდა ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემების ნგრევა და ევროპის მასშტაბით სახელმწიფოებმა დაიწყეს სავალუტო კურსის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის კონცეფციების ძებნა. ამ პროცესმა საბოლოოდ ერთიანი ევროპული სავალუტო კავშირის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, ხოლო მანდელი დღეს ევროს ერთ-ერთ მამად მიიჩნევა.

საგარეო-ეკონომიკური ტრანზაქციების სხვადასხვა დეტერმინანტებზე ზემოქმედებისათვის შეგვიძლია უამრავი ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტრუმენტი დავასახელოთ, რომლებიც გამოიყენება საგადასახდლო ბალანსის პოლიტიკის სფეროში. მიმდინარე ანგარიშების ბალანსზე გავლენის მოხდენის მიზნით, გამოიყენება საფინანსო პოლიტიკის ინსტრუმენტები – შემოსავლებსა და ხარჯების ვარიაციები, ეროვნულ შემოსავლებზე მათი ზემოქმედებიდან გამომდინარე. მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებები გავლენას ახდენენ, როგორც ეროვნულ შემოსავლებზე, ასევე ქვეყანაში ინფლაციის დონეზე. საბაჟო პოლიტიკისა და გაცვლითი კურსის პოლიტიკის გატარებით, რაც ეროვნული სავალუტო კურსის ზრდას ან ვარდნას გულისხმობს, შესაძლებელია, მიზანმიმართულად მოხდეს იმპორტის ან ექსპორტისთვის ხელშეწყობა.

საერთაშორისო კაპიტალზრუნვაზე ეკონომიკურ-პოლიტიკური ზეგავლენისათვის მისაღებია საფინანსო პოლიტიკა, რომელიც კაპიტალდაბანდების დაბეგვრაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. მონეტარული პოლიტიკა დიდად ზემოქმედებს ქვეყანაში სარგებლის განაკვეთის დინამიკაზე, გაცვლითი კურსის ფორმირებასა და მის მიმართ მოლოდინებზე. ეს უკანასკნელნი, ცხადია, ასევე ექვემდებარებიან პირდაპირი სავალუტო-პოლიტიკური ღონისძიებების გატარებას, რაც გაცვლითი კურსის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრას გულისხმობს.

სავალუტო რეზერვების ბალანსის ცვლილებები დღემდე განიხილებოდა მხოლოდ, როგორც საერთაშორისო ვაჭრობასთან და კაპიტალზრუნვასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებს შორის არსებული პასიური სალდო. სინამდვილეში, სავალუტო რეზერვების ბალანსზე ასევე დიდ გავლენას ახდენს სავალუტო ბაზარზე პირდაპირი ინტერვენცია, ასევე ცენტრალური ბანკის ან სხვა სახელმწიფო სავალუტო უწყების მიერ სავალუტო კრედიტის აღება და, შესაბამისად, გაცემაც. ცენტრალური ბანკის ინტერვენცია სავალუტო ბაზარზე, შესაძლოა, მიზნად ისახავდეს მუდმივად დაბალანსებული გაცვლითი კურსის უზრუნველყოფას მოთხოვნა-მიწოდების დარეგულირების გზით, ისე, რომ არ მოხდეს მყარი გაცვლითი კურსის ფიქსირება.

სავალუტო კურსის და საგადასახდლო ბალანსის პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აიხსნება იმ საკითხის საშუალებით, თუ რომელი ეკონომიკურ-პოლიტიკური საშუალებებით ხდება საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის თავიდან აცილება, რომელიც, როგორც წესი, სავალუტო რეზერვების ბალანსის დეფიციტთან, ანუ ქვეყნის სავალუტო რეზერვების შემცირებასთან არის გაიგივებული. რამდენადაც სავალუტო რეზერვების ბალანსის დეფიციტი მიმდინარე ანგარიშების ბალანსის დეფიციტს ასახავს, მის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, როგორც რესტრიქციული ფინანსური პოლიტიკის ღონისძიებების (მისი შემზღუდავი მოქმედების გამო, როგორც შემოსავლებზე, ასევე ფულის მოთხოვნაზე), ასევე რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების გატარება. ამასთან, ეს უკანასკნელნი ქვეყანაში ხელს შეუწყობდნენ დისინფლაციურ პროცესებს და, შესაბამისად, ექსპორტზე მოთხოვნის გამოცოცხლებას. სარგებლის განაკვეთის მატებასთან ერთად ხდება კაპიტალის იმპორტის ზრდა, რაც, თავის მხრივ, ამცირებს სავალუტო რეზერვების ბალანსის დეფიციტს. საბაჟო ტარიფების ზრდის ან ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო, შედეგად ვიღებთ იმპორტის შემცირებას. თუმცა შესაძლებელია ასევე კაპიტალის ექსპორტის ზრდაც, რის გამოც, სავალუტო რეზერვების ბალანსის დეფიციტი თავდაპირველად იზრდება. მიმდინარე ანგარიშების ბალანსზე ეროვნული ვალუტის გაუფასურების ხანგრძლივი

მოქმედება ყველა შემთხვევაში მხოლოდ მაშინ არის მოსალოდნელი, როცა მას შედეგად მოჰყვება მოთხოვნის შემცირება, რაც მიიღწევა რესტრიქციული კონიუნქტურული პოლიტიკის გატარების შედეგად.

იმ შემთხვევაში, თუ სავალუტო რეზერვების ბალანსის დეფიციტის უპირველეს მიზეზს წამოადგენს კაპიტალის ექსპორტის სიჭარბე კაპიტალის იმპორტთან მიმართებაში, შესაძლებელია რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკის სარგებლის განაკვეთის ზრდისათვის საჭირო ღონისძიებებთან ერთად მოხდეს ადგილობრივი კაპიტალდაბანდებისათვის ხელსაყრელი საგადასახდლო პირობების ფორმირებაც. კაპიტალის იმპორტის ზრდა შესაძლოა ასევე დაკავშირებული იყოს ცენტრალური ბანკის მიერ კრედიტის საზღვარგარეთ აღებასთან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი), რასაც უშუალო კავშირი აქვს სავალუტო რეზერვების ბალანსის გაუმჯობესებასთან. თუმცა, ის არ აღმოთხვრის საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის რეალურ მიზეზებს და განხორციელებადია მხოლოდ მკვეთრად განსაზღვრულ ჩარჩოებში. ხშირად, სავალუტო რეზერვების ბალანსის დეფიციტის დასაძლევად საჭიროა ღონისძიებათა მთელი ციკლის ამოქმედება. არც თუ იშვიათად ადგილი აქვს საზღვარგარეთ ცენტრალურ ბანკში სესხების აღებისა და ეროვნული ვალუტის გაუფასურების, ასევე რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების კომბინაციას, რომლებიც თანაბრად უწყობენ ხელს საქონლის ექსპორტსა და კაპიტალის იმპორტს, როგორც სავალუტო ნაკადების მთავარ წყაროს.

### 9.4 მაგალითი: საგადასახდლო ბალანსის პოლიტიკის ინსტრუმენტები გერმანიაში

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საგადასახდლო პოლიტიკის ეფექტური ღონისძიებების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს 1961 წელს მიღებული კანონი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების შესახებ (AWG). ხსენებული კანონის პირველ პარაგრაფში (§1) საუბარია თავისუფალი საგარეო ვაჭრობის ძირითად პრინციპზე, რომლის თანახმადაც, გერმანიის ეკონომიკის სასაქონლო, მომსახურების, კაპიტალის და საგადასახდლო ბრუნვა უცხოეთთან არანაირ შეზღუდვებს არ ექვემდებარება. მეორე პარაგრაფის (§2) თანახმად, თავისუფალ საგარეო ვაჭრობაში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ მკაცრად შეზღუდული პირობების შემთხვევაში და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ეკონომიკური ქმედებების თავისუფლება მაქსიმალურად უმნიშვნელოდ იქნება შეზღუდული. კანონში საერთაშორისო ვაჭრობაზე მიზანმიმართული გავლენის მქონე ღონისძიებების არარსებობა ერთგვარი შედეგია იმ გარემოებისა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში გაწევრიანების შედეგად, 1958 წლიდან მოყოლებული, საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო პოლიტიკის სფეროში მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები გაერთიანების ორგანოების მიერ ხორციელდება. საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის (§§22-24 AWG) დასაძლევად იმთავითვე გათვალისწინებულ იქნა კაპიტალის ექსპორტის, კაპიტალის იმპორტის, ასევე ოქროს ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები. თუმცა, ამ წესმა დროთა განმავლობაში აზრი დაკარგა, რაც გერმანიის ერთიან ევროპულ სავალუტო სივრცეში გაერთიანებით იყო გამოწვეული.

სტაბილურობისა და ზრდის კანონში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საგარეო-ეკონომიკური წონასწორობიდან გადახრის განეიტრალებას. სტაბილიზაციისა და ზრდის შესახებ კანონის (§4) მეოთხე მუხლის თანახმად, გერმანია ვალდებულია, დაძლიოს საგადასახდლო ბალანსის სირთულეები, უპირველეს ყოვლისა, კონიუნქტურული პოლიტიკის შიდა ეკონომიკური ღონისძიებების გატარებით. ასევე გამოიყენოს საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის ყველა შესაძლებლობა, რათა ამ მეთოდით აღმოთხვრას საერთაშორისო დონეზე შემოსავლების, ფასებისა და კაპიტალიდან მიღებული მოგების განსხვავებები. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მეთოდი არ იქნება საკმარისი, იგი უფლებამოსილია გამოიყენოს სპეციალური საგადასახდლო პოლიტიკის ინსტრუმენტები.

სტაბილიზაციისა და ზრდის კანონის აღნიშნული მოთხოვნები ჯერ კიდევ 1968-1969 წლებში ამოქმედდა, სწორედ მაშინ, როდესაც Bretton Woods-ის სისტემაში გერმანული მარკის პერმანენტულმა გაუფასურებამ გამოიწვია პროფიციტი გერმანიის საგადასახდლო ბალანსში. იმპორტის გაზრდის და კაპიტალის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ექსპანსიური მონეტარული და საფინანსო-პოლიტიკური ღონისძიებები მოცემულ სიტუაციაში დასაქმების მაღალი მაჩვენებლისა და ინფლაციის ზრდადი ღონისძიებებში, საერთო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ნაკლებად გონივრული და ეფექტური აღმოჩნდა. პრობლემის აღმოთხვრის საერთაშორისო დონეზე კოორდინირებული ღონისძიებების საშუალებით წარუმატებელი გამოდგა, ვინაიდან მრავალმა პარტნიორმა ქვეყანამ უარი თქვა მზადყოფნაზე, თავის მხრივ გაეტარებინათ რესტრიქციული კონიუნქტურული პოლიტიკა. კაპიტალის იმპორტის შესაჩერებლად გატარებულმა ღონისძიებებმა, იმის გამო, რომ მის თავიდან ასაცილებლად ურთიერთსაწინააღმდეგო შესაძლებლობები დაისახა, ასევე არ გამოიღო სასურველი შედეგები. ვინაიდან, საბაჟო-პოლიტიკური ღონისძიებების გატარება მხოლოდ ევროგაერთიანების დანარჩენ ქვეყნებთან თანამშრომლობის შედეგად უნდა განხორციელებულიყო, ხოლო გერმანული მარკის გაცვლითი კურსის ნომინალური ღირებულების ზრდა (ე.ი. გამყარება) პოლიტიკური მოსაზრებით განხილვას არ ექვემდებარებოდა, საბოლოო ჯამში გერმანიის მთავრობამ ექსპორტის შეზღუდვის და იმპორტის გაზრდის მიზნით, სტაბილიზაციის კანონის §4-ის თანახმად, საგადასახდლო პოლიტიკის ღონისძიებები გაატარა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გერმანელი იმპორტიორების იმპორტის ზრუნვის ბეგარის კომპენსაციისა და გერმანული ექსპორტისათვის ექსპორტზე სპეციალური ზრუნვის გადასახადის შემოღების შესახებ. ამ ღონისძიებებმა გამოიწვია ისეთი შედეგი მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე, როგორც მაგალითად გაცვლითი კურსის ახალი წონასწორობა, ე.ი. გერმანული მარკის „არაპირდაპირი გზით გამყარება.“ ეს უკანასკნელი საერთაშორისო კაპიტალბრუნვაზე ვერანაირ შემზღუდავ ზემოქმედებას ვერ ახდენდა და აქედან გამომდინარე, ვერ მოხდებოდა გერმანიის საგადასახდლო ბალანსის სიჭარბის თავიდან აცილება. უფრო მეტიც, ამან გაზარდა გერმანული მარკის ნომინალური ღირებულების ზრდასთან დაკავშირებული მოლოდინები და ხელი შეუწყო კაპიტალის იმპორტის წახალისებას. გერმანული სავალუტო რეზერვების ზრდა შეაჩერა მხოლოდ 1969 წლის შემოდგომაზე (შემდგომში უკვე 1971 და 1973 წლებში) გერმანული მარკის ნომინალური ღირებულების ზრდამ და 1973 წლის გაზაფხულზე გაცვლითი კურსის საბოლოო გათავისუფლებამ.

გერმანული მარკის გაცვლითი კურსის დაფიქსირების უფლებამოსილება კონსტიტუციის 73-ე მუხლის N3-ის თანახმად, არა გერმანიის ფედერალური ბან-

კის, არამედ ფედერალური მთავრობის ხელში იყო. 1973 წლის გაზაფხულზე გაცვლითი კურსის გათავისუფლებამდე, გერმანიის ფედერალური ბანკი კვლავინდებურად მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო სავალუტო ბაზარზე ჭარბი ვალუტის გამოსყიდვა და ამით ხელშეწყობა ქვეყანაში ფულის რაოდენობის ზრდისათვის. ამ მოვლენით განპირობებული ინფლაციის საშიშროებამ გამოიწვია ის, რომ შემდგომ პერიოდში Bretton Woods-ის სისტემის რეკონსტრუქცია აღარ მოხდა. ნაცვლად ამისა, ევროპის მასშტაბით დაიწყო სავალუტო კურსის სტაბილიზაციის პროცესი.

1979 წელს დაარსებულმა ერთიანმა ევროპულმა სავალუტო სისტემამ, რომელშიც გერმანული მარკის გაცვლითი კურსი ევროპის სხვა მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნების ვალუტასთან მიმართებაში სიმყარით გამოირჩეოდა, საბოლოოდ, მოგვიანებით ხელი შეუწყო საერთო-ევროპული სავალუტო კავშირის დაარსებას და 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე, ერთიანი ვალუტის – ევროს შემოღებას. ევროპის სავალუტო კავშირში საგადასახდლო ბალანსის პოლიტიკის ინსტრუმენტები ახლებურად გადანაწილდა. ევროს გაცვლითი კურსის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა ევროპის ცენტრალური ბანკი, არამედ ევროსაბჭო. ევროზონაში ადგილი აღარ აქვს წევრ ქვეყნებს შორის ვალუტის მოძრაობას. მიმდინარე ანგარიშების ბალანსში ორმხრივი სალდოს დათვარევა უნდა მოხდეს კაპიტალის ბალანსის შესაბამისი სალდოს საშუალებით. როგორც ოპტიმალური სავალუტო ზონების თეორიაში არის ხაზგასმული, მსგავსი ოპერაციები ითვალისწინებს თვასებისა და ხელფასების მაღალ მოქნილობას და მათ ინტენსიურ კავშირებს ქვეყნებს შორის ვაჭრობის და კაპიტალის ზრუნვის საშუალებით.

ევროზონის ცენტრალურ ბანკებს შორის შემოღებულ იქნა კლირინგის სისტემა (TARGETS 2 – Trans – European Automated Real-time Gross Settlement Express Transfer System), რომლის მეშვეობითაც ევროზონის ბანკები თავიანთ საერთაშორისო ტრანზაქციებს ცენტრალური ბანკის ფულით განახორციელებენ. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ქვეყნების საგადასახდლო ბალანსებში არამხოლოდ კერძო კაპიტალზრუნვების დისბალანსი მოდის წინააღმდეგობაში ევროზონის ქვეყნებს შორის არსებულ მიმდინარე ანგარიშების დისბალანსებთან, არამედ ანალოგიური მდგომარეობაა ეროვნული ცენტრალური ბანკების სავალუტო რეზერვების ბალანსის სალდოს თვალსაზრისითაც (ევროპის ცენტრალურ ბანკებთან მიმართებაში ე.წ. TARGETS2 სისტემიდან გამომდინარე). ვინაიდან დღემდე არ არსებობს ეროვნული ცენტრალური ბანკების ურთიერთანგარიშსწორების არანაირი წამიერი მექანიზმი ევროპის ცენტრალურ ბანკთან მიმართებაში, ევროს კრიზისის წლებში, რომელიც ხასიათდებოდა კერძო კაპიტალის ნაკადების შემცირებით, ევროზონაში წარმოიშვა საგადასახდლო ბალანსის უწონასწორობის მაღალი მაჩვენებელი, რომელიც ევროპის ცენტრალურ ბანკში ეროვნული ცენტრალური ბანკების მიერ TARGETS2-თ ფინანსდებოდა.

**ძირითადი სწავებები**

- საგადასახდლო ბალანსი  
სავაჭრო ბალანსი  
მომსახურების ბალანსი  
ტრანსფერების ბალანსი  
კაპიტალის მოძრაობის ბალანსი  
დევიზების (სავალუტო) ბალანსი  
სავალუტო რეზერვები
- გაცვლითი კურსი  
ვალუტის ბაზარი
- რევალვაცია  
დევალვაცია  
ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე
- კანონი საგარეო ეკონომიკის შესახებ  
ბრეტონ-ვუდსის სისტემა  
მაასტრიხტის ხელშეკრულება

**დავალეგები**

1. **მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია, საგადასახდლო ბალანსი და ეკონომიკური ციკლი**  
მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის მიხედვით, ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილებები განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ორ ქვეყანას შორის ინფლაციის დონის განსხვავებებით. იმსჯელებთ, თუ საგადასახდლო ბალანსიდან რომელ მუხლებს ეხება მოცემული თეორია, ეკონომიკური ციკლის რომელ კავშირებზეა გამახვილებული ყურადღება (და რომელზე არა) და რატომ მიიჩნევა მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია გრძელვადიან პერიოდზე გათვლილ თეორიად თანამედროვე, ინდუსტრიულ ქვეყნებში.
2. **ღირებულებაზე დაბალი შეფასება ფიქსირებული გაცვლითი კურსის შემთხვევაში**  
ახსენით, თუ როდის ხდება ვალუტის ღირებულებაზე დაბალი შეფასება, ფიქსირებული სავალუტო კურსის პირობებში და იმსჯელებთ, იმ სათანადო ეკონომიკურ-პოლიტიკურ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც საჭიროა ღირებულებაზე დაბალი შეფასების აღმოსაფხვრელად.
3. **ფიქსირებული გაცვლითი კურსი თავისუფლად ცვალებადი გაცვლითი კურსის წინააღმდეგ**  
იმსჯელებთ, ფიქსირებული და თავისუფლად ცვალებადი გაცვლითი კურსების დადებით და უარყოფით მხარეებზე, კონიუნქტურული სტაბილიზაციის პოლიტიკის ეფექტიანობის გათვალისწინებით.
4. **როგორ უნდა ვაგხდეთ მსოფლიო ჩემპიონი ექსპორტში?**  
გერმანიაში, ტრადიციულად, სახეზეა სავაჭრო ბალანსის პროფიციტი. რა საერთო აქვს პროფიციტს გერმანიის მაღალ დანაზოგებთან? ხელაფთ, თუ არა,



მოცემულ შემთხვევაში, კავშირს მიმდინარე, დიდი რაოდენობის ტრანსფერებთან, რომლებიც გერმანიიდან საზღვარგარეთ იგზავნება ?

**გამოყენებული ლიტერატურა**

საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურას, გაცვლითი კურსების ახსნას და საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენას ეკონომიკურ ციკლზე განმარტავენ *Rose / Sauernheimer* (2006) და *Krugman / Obstfeld* (2009). საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სპეციფიკური საკითხებით დაკავებულია *Glastetter* (1998). გერმანული საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკისა და ტექნოლოგიის სამინისტროს ვებ-გვერდი ([www.bmwi.de](http://www.bmwi.de)). TARGETS2-ის სალდოს პრობლემატიკაზე საგადასახდელო ბალანსის პოლიტიკის თვალსაზრისით, მუშაობენ ეკონომიკის პროფესორი Sinn და სხვები (2011).

# ნახიდი IV

## ეკონომიკური წესრიგების ფორმირება: ინსტიტუციური ეკონომიკის გამოყენება

|    |  |     |
|----|--|-----|
| 10 | ეკონომიკური წესრიგების შედარება .....      | 213 |
| 11 | ეკონომიკური წესრიგების ტრანსფორმაცია ..... | 243 |
| 12 | ეკონომიკური წესრიგების ინტეგრაცია .....    | 261 |